

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
გიორგი წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

Ilia State University
GIORGI TSERETELI INSTITUTE OF ORIENTAL STUDIES

ირაკლი ფაღავა
IRAKLI PAGHAVA

საფასის მიმოქცევა ქართლ-კახეთის სამეფოში
(მასალა სახელმწიფო ფულადი პოლიტიკის შესასწავლად)

MONEY CIRCULATION IN THE KINGDOM OF KARTL-KAKHETI
(MATERIALS FOR THE STUDY OF STATE MONETARY POLICY)

თბილისი ○ Tbilisi

2025

მონოგრაფია ეძღვნება ფულის მიმოქცევას XVIII საუკუნის II ნახევრის წამყვან ქართულ სახელმწიფოში – ქართლ-კახეთის სამეფოში; წარმოქმნიდან ვიდრე რუსეთის იმპერიის მიერ ანექსიამდე (1744-1801 წწ). განხილულია ხელმისაწვდომი პირველწყაროები და წარმოდგენილია მათდამი ავტორის მეთოდოლოგიური მიდგომა. შესწავლილია სხვადასხვა ტიპის – ქალაქდისა და ლითონის – საფასის მიმოქცევა. კვლევა ეფუძნება როგორც მონეტარული (მონეტებისა და სამონეტო კომპლექსების აღმოჩენები), ასევე დოკუმენტურ-ნარატიული მასალის მეტა-ანალიზს. ფულის მიმოქცევის მონაცემებით რეკონსტრუირებულია ქართლ-კახეთის სამეფოს ხელისუფლების ფულადი პოლიტიკაც.

This monograph is devoted to the study of money circulation in the Kingdom of Kartl-Kakheti (1744–1801), the dominant Georgian polity in the second half of the eighteenth century. It reviews the available primary sources and outlines the methodological approach employed in their analysis. The author examines the circulation of various currencies, both metallic and paper. The study is based on a meta-analysis of monetary evidence (single-coin finds and hoards) as well as written sources (narrative and documentary). On the basis of data on monetary circulation, the author seeks to reconstruct the monetary policy pursued by the authorities of the Kingdom of Kartl-Kakheti.

რედაქტორი:

გიორგი სანიკიძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

Editor:

Giorgi Sanikidze
Doctor of Historical Sciences,
Professor

კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით; – გრანტი YS-21-2879. ქართლ-კახეთის სამეფოს (1744-1801) ფულადი პოლიტიკა და ისტორია. წინამდებარე მონოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და, შესაძლოა, არ ასახავდეს ფონდის პოზიციას.

This research was conducted by the financial support of Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG) – Grant YS-21-2879. *Monetary Policy and History of Kartl-Kakheti Kingdom (1744-1801)*. All ideas expressed herewith are those of the author and may not represent the opinion of SRNSFG itself.

© ირაკლი ფალავა | Irakli Paghava, 2025

ISBN 978-9941-8-8514-3

DOI 10.51364/paghava.2015.12



შვილებს

For my children

„ვენეტიკის იალდუზო, ტურფად გადამდნარი ხარ,
ოქროს წყალით დაფერილო, ზედ გაქვს ზარნიშანია.

შენი ნახვის ნატრული ვარ, ყოველთვის ვზივარ, ვტირი.
სიტყვა-პასუხი კარგი გაქვს, გაშვენებს ოქროს პირი,
შველი ხარ თუ ჯერანი ხარ, გენაცვლოს ველთ ნადირი,
ჩემისთანა მონადირე ბევრი ნაგიყვანია!”

საათნოვა, „ვენეტიკის იალდუზო”¹

„ქ. ჩვენ, მეფემ გიორგიმ, გიბოძეთ ეს წიგნი შენ,
ბეგთაბეგის-შვილს მდივანს იოანეს და შენს ძმისწულს სოლომონს,
ასე რომ ჩვენ ჯარი მოვიყვანეთ ლეკისა და იმის მისაცემად დაგვჭირდა.
შენ გამოგართვი ათასორასორმოცდაათი ბაჯალლის ოქრო
და სამი ათასი ალთმიშლული. ეს ჩვენ დავხარჯეთ. იყავ.
ამას შენ არ დაგიკარგავთ და საიდამაც იქნება შეგისრულებთ.
აპრილის ვ, ქკს უპზ.”

გიორგი XII-ის მიერ 1799 წლის 6 აპრილს მიცემული “თამასუქი”²

1 ზაზა მედულაშვილი (კრებული შეადგინა, სამივე ენაზე ტექსტების რედაქცია გასწია, სომხური და აზერბაიჯანული ლექსები ქართულად თარგმნა, წინათქმა და ლექსიკონი დაურთო), *საათნოვა* (თბილისი: კავკასიური სახლი, 2005), 45.

2 ბერძენიშვილი ნიკო (მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა), *მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. წიგნი II (ვალი, იჯარა, ვაჭრობა)* (თბილისი: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1953), 139, №191.

**“Venetic yalduz, you’re cast terrifically, and you reflect
Tints of gold water, and you are with a notch graced.**

**I dream of seeing you; I always sit and mourn.
Your words, your golden lips, decorate you and adorn.
Are you a roe deer or a jeiran? Who is like you? There’s none.
Too many ones like me you have won over.”**

Sayatnova „Venetic yalduz“¹

**“In the name of Christ.
We, King Giorgi, have granted this note unto you, Ioane Begtabegis-shvili,
chanceryman, and unto your nephew Solomon, forasmuch as we assembled a host
of Lezgians and were in need of funds to discharge its expenses. From you we
received one thousand two hundred and fifty bajaghli gold coins and three thousand
altmishlughs, which sum was expended by us. Be.
We shall not forget this obligation, and wherever occasion shall arise, we shall render
it unto you.
Given on the sixth day of April, in the Koronikon year UPZ.”**

A „promissory note“ given by Giorgi XII on 6 April 1799²

1 Georgian to English translation by Teimuraz Chanturishvili. ქართულიდან ინგლისურად თარგმნა თეიმურაზ ჭანტურიშვილმა.

For Georgian text cf. ზაზა მედულაშვილი (კრებული შეადგინა, სამივე ენაზე ტექსტების რედაქცია გასწია, სომხური და აზერბაიჯანული ლექსები ქართულად თარგმნა, წინათქმა და ლექსიკონი დაურთო), *საფათნოვა* (თბილისი: კავკასიური სახლი, 2005), 45.

2 ბერძენიშვილი ნიკო (მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა), *მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. წიგნი II (ვალი, იჯარა, ვაჭრობა)* (თბილისი: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1953), 139, №191.

სარჩევი | Contents

წინათქმა	11
თავი I. პირველწყაროები	15
თავი II. ქალაქის დერივატები.....	21
თავი III. ოქრო.....	27
თავი IV. ვერცხლი	53
თავი V. სპილენძი.....	77
თავი VI. ანალიზი	83
Preface.....	101
Chapter I. Primary Sources	105
Chapter II. Paper derivatives.....	109
Chapter III. Gold	113
Chapter IV. Silver.....	127
Chapter V. Copper.....	143
Chapter VI. Analysis.....	149
ბიბლიოგრაფია Bibliography	161

წინათქმა

ახალი დროის დასაწყისის ქართულ სახელმწიფოს, ქართლ-კახეთის გაერთიანებულ სამეფოს (1744-1801) სრულიად გამორჩეული ადგილი უკავია საქართველოსა და ქართველი ერის ისტორიაში; ამ პოლიტიკური ერთეულის ფარგლებში ქვეყნის აღმოსავლეთი მხარეები მაინც გაერთიანდა, რაც, შესაძლოა, სამეფო-სამთავროებად დაშლილი საქართველოს გამრთელების სანინდარიც გამხდარიყო. თუმცა, როგორც ვიცით, მოვლენები სხვანაირად წარიმართა. ქართლ-კახეთის სამეფოს აღზევება და დაცემა ქართველი ერის ისტორიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ტეხილს წარმოადგენს. რალა თქმა უნდა, ამ ქართული სახელმწიფოს ისტორიის ყველა ასპექტი განსაკუთრებულ ისტორიოგრაფიულ მნიშვნელობას იძენს.

საგანგებო ყურადღებას მივაქცევდით ამ პერიოდის ქართლ-კახეთის ეკონომიკას, როგორც საზოგადოებრივი და სახელმწიფო ცხოვრების ყველა სფეროს გამსჭვალავ, სისტემის მაფორმირებელ ჩონჩხედს.

ქართლ-კახეთის სამეფოს ეკონომიკური ისტორიის კვლევის მხრივ ჩვენი ყურადღების ფოკუსში მოექცა *საფასე*, – ეკონომიკური ცხოვრების ძირითადი *საშუალეა*, – და მისი მიმოქცევა ქართლ-კახეთის სამეფოს შიგნით თუ სხვა პოლიტიკურ ერთეულებთან ურთიერთობაში. მაგრამ, ქართლ-კახეთის სამეფოში საფასის, ფულის ემისია თუ შემოტანა, ტრიალი – მხოლოდ შემთხვევითი ფაქტორების მოქმედებით ვერ აიხსნება; ბუნებრივია, ყველაფერი მმართველ მონარქთა სურვილისამებრ ვერ მოხდებოდა, მაგრამ სახელმწიფოს მონეტარულ ეკონომიკას ხელისუფლების ნებაც წარმართავდა. რეალურად არსებული მდგომარეობა ერთი მხრივ, ობიექტური გარე და შიდა რეალობის, მეორე მხრივ კი, თავისი ინტერესების მქონე სახელმწიფო ნების ურთიერთქმედების პროდუქტს წარმოადგენდა. ამ ორი ძალის ურთიერთმოჭიდების შედეგს შეიძლება ქართლ-კახეთის სამეფოს ფულადი პოლიტიკა ვუნოდოთ.

უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად სხვადასხვა თაობის მკვლევართა მიერ ცალკეული საკითხების კვლევისა,¹ დღემდე არ გაგვაჩნდა შეძლები-

1 ქართლ-კახეთის სამეფოსა და მეზობელ პოლიტიკურ ერთეულთა ტერიტორიაზე მონეტების აღმოჩენები საკმაო სისრულით არის აღრიცხული, გამოქვეყნებული და, ნაწილობრივ, გაანალიზებულიც კი. ათწლეულების განმავლობაში ამ ძალიან პრომატევად საქმიანობას წარმატებულად წარმართავდა ქართული და, საზოგადოდ, კავკასიური ნუმისმატიკის კორიფე, ევგენი პახომოვი. მისი სიკვდილის შემდგომ ქართლ-კახეთის სამეფოში სამონეტო მიმოქცევის თემაზე რამდენიმე უკიდურესად საინტერესო ნაშრომი რევაზ ქებულაძესა აქვს გამოქვეყნებული. საგანგებო აღნიშვნის ღირსია ნიკოლოზ ქოიავას ნაშრომებიც. შეად. Евгений Пахомов, *Монетныеклады Азербайджана и Закавказья. Труды общества обследования и изучения Азербайджана, выпуск 3* (Баку: Издание Общества обследования

სდაგვარად ყოვლისმომცველი ზოგადი ნაშრომი, რომელშიც ბოლოდროინდელი აღმოჩენებიც იქნებოდა გათვალისწინებული და ექსკლუზიურად ქართლ-კახეთის სამეფოში ფულადი მიმოქცევისადმი იქნებოდა მიძღვნილი. ვცადეთ, აღნიშნული ხარვეზი წინამდებარე მონოგრაფიით შეგვევსო.

ქართლ-კახეთის სამეფოს, როგორც ნებისმიერი სხვა სახელმწიფოს ფულადი პოლიტიკის კვლევა რამდენიმე კომპონენტს უნდა დაეფუძნოს. ესენია: (ა) საფასე, რომელსაც უშვებდა ხელისუფლება; (ბ) საფასე, რომელიც მიმოქცეოდა სახელმწიფოში (წინა პუნქტში მითითებული საფასის იდენტური შეიძლება არც ყოფილიყო); (გ) დოკუმენტური; და, (დ) ნარატიული პირველწყაროები.

წინამდებარე ნაშრომში მიზნად დავისახეთ, სხვადასხვა ტიპის პირველწყაროების მოშველიებით კომპლექსურად შეგვესწავლა ქართლ-კახეთის სამეფოში ფულის მიმოქცევა, – როგორც ამ ქართული სახელმწიფოს ეკონომიკური ისტორიის უმნიშვნელოვანესი კომპონენტი; და, ასევე, ერთ-ერთი საშუალება, სამეფოს ფულადი პოლიტიკის გასაანალიზებლად.

*

ჩვენი კვლევა ნაწილობრივ ეფუძნება და მოიცავს ჩვენივე სტატიებს, რომელიც 2008 წლიდან მოყოლებული ქვეყნდებოდა,² ისევე როგორც ჩვენს

и изучения Азербайджана, 1926); Евгений Пахомов, *Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа. Выпуск IV* (Баку: Издательство АН Азербайджанской ССР, 1949); Евгений Пахомов, *Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа, Выпуск IX* (Баку: Издательство Академии наук Азербайджанской ССР, 1966); რევაზ ქებულაძე, „სირმა-ვერცხლის მიმოქცევის ხანგრძლივობა საქართველოში“, *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე*, ტ. 53 (1969), 757-760; რევაზ ქებულაძე, „ფხოველის განძი“, *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე*, XXXI-B (1975), 104-122; Реваз Кебуладзе, „Из истории русско-грузинских взаимоотношений по нумизматическим данным“, *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე*, 4 (1969): 91-104; ნიკოლოზ ქოიავა, „თბილისის სამონეტო ბაზარი XVIII საუკუნეში“, *თბილისი 1500. საიუბილეო კრებული* (თბილისი: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1958), 179-189; ნიკოლოზ ქოიავა, „საქართველოს ფულის მიმოქცევა XVIII საუკუნეში“, *ი. სტალინის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები*, XXVIII (1946), 1-22; ნიკოლოზ ქოიავა, *ფულის მიმოქცევა, კრედიტი და ფინანსები XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში* (თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1963).

2 იხ. მაგალითად, ირაკლი ფალავა, „ავშარიანთა დინასტიის საფასე კავკასიის ფულად მიმოქცევაში“, *ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები*, 2(8) (2010), 391-407; ირაკლი ფალავა, „ირაკლი II-ის 1765/6-1768/9 (ჰიჯრის 1179-1182) წლების სამონეტო რეფორმა“, *ენრიკო გაბიძაშვილი 90*. (რედაქტორი ნინო მელიქიშვილი) (თბილისი, 2021), 343-370; ირაკლი ფალავა, „ფულადი მიმოქცევა ქართლ-კახეთის სამეფოში (1744-1801 წწ.)“, *History, Archaeology, Ethnology. ისტორია, არქეოლოგია*, XI (2024), 739-759; ირაკლი ფალავა, „ფულადი მიმოქცევა XVIII საუკუნის II ნახევრისა და XIX საუკუნის დასაწყისის ქართლ-კახეთში – დამატებითი ცნობები“, *ახლო აღმოსავლეთი და საქართველო*, XVI (2025), 174-192; ირაკლი

2023 წელს დასტამბულ მონოგრაფიას *სირმა თეთრი. ქართული ეროვნული ვერცხლის საფასე*.³ ბუნებრივია, ადრეულ პუბლიკაციებში განხილული საკითხების ერთიანობაში და განზოგადოებულად, თუნდაც ახლებურ კონტექსტში, შესწავლა – ინფორმაციის ნაწილობრივი დუბლირების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა. ქართლ-კახეთის სამეფოში საფასის განხილვისას შეუძლებელია, ზოგიერთ საკითხს ხელმეორედ არ მივუბრუნდეთ, და, ნაწილობრივ მაინც, ჩვენივე წინარე მსჯელობა არ გავიმეოროთ. ამრიგად, წინამდებარე მონოგრაფიის ზოგიერთი ფრაგმენტი უკვე გამოქვეყნებული ნაშრომების მეტ-ნაკლებად საფუძვლიანი მოდიფიცირების პროდუქტს წარმოადგენს.

რამდენიმე სიტყვით განვმარტავთ ნაშრომის სტრუქტურას. მონოგრაფია რამდენიმე ნაწილისგან შედგება. ტექსტი, რომელიც მოჰყვება წინათქმას, დაყოფილია რამდენიმე თავად.

I თავში ვახასიათებთ ქართლ-კახეთის სამეფოში ფულადი მიმოქცევის შესასწავლად ხელმისაწვდომ პირველწყაროებსა და აღვწერთ ჩვენს

ფალავა, "ჰერალდიკური იკონოგრაფია XVII-XIX სს-ის თბილისის სპილენძის მონეტებზე", *ჰეროლდი*, 6 (2017), 90-97; ირაკლი ფალავა, იოსებ ბიჭიკაშვილი, რაულ ჩაგუნავა, „ქართლ-კახეთის სამეფოს ოქროს საფასე (ქართული ოქროს შაურის ისტორია)“, *საისტორიო კრებული*, ტომი 4 (2014), 200-272; Irakli Paghava, „Prince Teimuraz and His Essays on Georgian Sphragistics and Numismatic History (at the Dawn of National Georgian Numismatic Scholarship)“, *4th Simone Assemani Symposium. Trieste, 26-27 September, 2014* (Edited by Bruno Callegher and Arianna D’Ottone Rambach) (Trieste: EUT, 2015), 199-214; Irakli Paghava, „The Yellow Metal Coins Ascribed to Erekle II and the Fate of Georgian Dies of the 17th-18th Century“, *Caucasian Numismatics, Papers on the Coinage of Kartl-Kakheti (Eastern Georgia), 1744-1801. Supplement to Journal of Oriental Numismatic Society* 197 (2008), 33-37; Irakli Paghava, „Kingdom of Kartl-K’akheti vs. Caucasian Khanates: Peculiarities of Monetary Policy in the 2nd Half of the 18th Century – Early 19th Century“, *The Ukrainian Numismatic Annual*, Issue 7 (2023), 161-192; Irakli Paghava, „The Minting of Gold Shauris in Eighteenth Century Georgia: Monetary Evidence“, *Journal of Oriental Numismatic Society*, 204 (2010), 15-17; Irakli Paghava, „The Profitability of Minting Civic Copper Coins and the Identification of Emerging Nationalism as Seen Through Coin Imagery. A Case Study of the East-Georgian Kingdom Kartl-Kakheti“, *Iranian Numismatic Studies. A Volume in Honor of Stephen Album*. (Editor: Mostafa Fahfoury) (Lancaster/London: Classical Numismatic Group, 2017), 243-255; Irakli Paghava, Giorgi Lobzhanidze, Severiane Turkia, „Countermarking of Copper Coins in Late 18th Century Georgia“, *Caucasian Numismatics, Papers on the Coinage of Kartl-Kakheti (Eastern Georgia), 1744-1801. Supplement to Newsletter of Oriental Numismatic Society* 197 (2008), 38-46; Иракли Пагава, „Восточногрузинское царство и Гянджинское ханство (вопросы регионального нумизматического взаимодействия)“, *Эпиграфика Востока*, XXX (2013), 201-242; Иракли Пагава, „Судьба золотых шаури грузинских царей Иракли II и Георги XII (опыт историко-антропологического исследования)“, *Расмир: Східна нумізматика, III Міжнародна наукова конференція, 1-3 серпня 2013* (ред. О. Казаров, В. Безпалько) (Київ, 2016), 142-147, 171, 192.

3 ირაკლი ფალავა, *სირმა თეთრი. ქართული ეროვნული ვერცხლის საფასე* (თბილისი: მერიდიანი, 2023).

მეთოდოლოგიურ მიდგომას მათი შესწავლისადმი;

II თავი ეთმობა ქართლ-კახეთის სამეფოში (ლითონის) ფულის *ქალაღის დერივატების*, კერძოდ, თამასუქებისა და „ბარათების“ მიმოქცევას;

მომდევნო სამ თავში (III-V) ადგილობრივი ფულადი მიმოქცევა განიხილება სამონეტო ლითონების მიხედვით; განვიხილავთ ქართლ-კახეთის სამეფოში *ოქროს, ვერცხლისა და სპილენძის* საფასის ტრიალს. წარმოდგენილია როგორც ყველა ცნობილი განძის, ასევე დოკუმენტური და ნარატიული წყაროების მიერ შემონახული ცნობების მეტა-ანალიზის შედეგები; აღსანიშნავია, რომ რამდენიმე სამონეტო კომპლექსი პირველად არის ჩართული ეპოქის მონეტარული ისტორიის მეტა-ანალიზში, ზოგისთვის კი (მანავის განძი), – დაზუსტდა შემადგენლობა;

ფინალური და დასკვნითი, VI თავი, – შემაჯამებელია. მონოგრაფიის ამ ნაკვეთში ვცდილობთ ჩამოვაცალიბოთ ქართლ-კახეთის სამეფოში ფულადი მიმოქცევის ერთიანი სურათი, სახელმწიფოს არსებობის მთელი ისტორიის განმავლობაში (1744-1801). წარმოდგენილია ანალიზის შედეგები, – თუ რას გვაძლევს ქართლ-კახეთის სამეფოს ფულადი მიმოქცევის კვლევა ხელისუფლების ფულადი პოლიტიკის შესწავლის კუთხით.

პირველწყაროების მოშველიებისას მრავლად მოგვყავს ციტატები, ზოგჯერ საკმაოდ ვრცელიც. ამის მიზანი ორგვარია: (ა) პირველწყაროს წარდგენა სრული სახით, ორიგინალური ფორმით; – სამეცნიერო სიზუსტისა და ობიექტურობის მაქსიმალური დაცვა; მკითხველისთვის პირველწყაროთი სარგებლობის მაქსიმალურად გაადვილება; და, (ბ) შეძლებისდაგვარად, ეპოქის სულის გადმოცემაც.

იმედი გვაქვს, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს სამონეტო მიმოქცევის სურათი, – წინამდებარე მონოგრაფიაში რეკონსტრუირებული სახით, – თავისი ისტორიოგრაფიული მნიშვნელობის გარდა, ეპოქის ერთგვარ ძეგლადაც გამოდგეს; ეპოქისა, როდესაც საქართველო შეიძლება გაერთიანებულიყო და აღორძინებულიყო, მაგრამ, დაეცა.

*

ვისარგებლებ სასიამოვნო შესაძლებლობით, კიდევ ერთხელ გამოვთქვა ჩემი მადლიერება ყველა იმ ადამიანის მიმართ, ვის უწყვეტ მხარდაჭერასაც ვგრძნობდი ამ წიგნზე მუშაობის განმავლობაში. ვგულისხმობ მათ რჩევებსა და შემწეობას, და მათ საზოგადოებას: მანუჩარ გუნცაძეს, კოკი ფერაძეს, თეიმურაზ ჭანტურიშვილს, მაკა შონიას.

ღრმა მადლიერებას გამოვხატავ ბატონ გიორგი სანიკიძის მიმართ, ნაშრომის სკრუპულოზური და ტაქტიანი რედაქტირებისთვის.

გულითად მადლობას მოვახსენებ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდს. ფონდის ფინანსური მხარდაჭერა რომ არა, ეს ნაშრომი ამ ფორმითა და ამ დროისთვის ვერ დაინერებოდა და ვერ გამოიცემოდა.

თავი I. პირველწყაროები

მაშ, როგორი იყო ფულადი მიმოქცევა ქართლ-კახეთის სამეფოში?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შესაძლებელი ხდება სხვადასხვა წყაროს შესწავლის საფუძველზე.¹ განვმარტავთ ჩვენს მეთოდოლოგიურ მიდგომასა და გამოყენებული მასალის ბუნებას. ქართლ-კახეთის სამეფოში ფულად მიმოქცევაზე მსჯელობისათვის ვარგისი (და შემორჩენილი) პირველწყაროები შეიძლება დაიყოს ორ ძირითად ჯგუფად, რომელთაც ქვემოთ სათითაოდ განვიხილავთ:

1. მონეტარული; და
2. წერილობითი ძეგლები.

*

კლასიკურ ნუმიზმატიკურ (ამ სიტყვის ვინრო მნიშვნელობით), ანუ, მონეტარულ პირველწყაროებში ვგულისხმობთ ადგილობრივ სამონეტო ემისიებს (ქართლ-კახეთის სამეფოს მიერ ემიტირებულ საფასეს); და, ასევე, ერთი მხრივ, ქართლ-კახეთის სამეფოში აღმოჩენილ ადგილობრივ თუ იმპორტირებულ მონეტებს; მეორე მხრივ კი – ქართლ-კახეთის სამეფოში მოჭრილ და სხვა (მეზობელ) სახელმწიფოებში აღმოჩენილ, ანუ, ქართლ-კახეთის სამეფოდან ექსპორტირებულ მონეტებს.

ქართლ-კახეთის სამეფოში აღმოჩენილი (ადგილობრივი თუ იმპორტირებული) მონეტები ადგილობრივ სამონეტო მიმოქცევას ასახავს; სხვა (მეზობელ) სახელმწიფოებში ნაპოვნი კი ქართლ-კახეთის სამეფოსთან ეკონომიკური თუ სამხედრო-პოლიტიკური, ყველა შემთხვევაში, მონეტარული კავშირების დამასურათებელია; ოღონდ, მხოლოდ ქართული და არა უცხო მონეტების შემთხვევაში, – უცხო მონეტების იმპორტირება შეიძლება სხვა მიმართულებიდანაც მომხდარიყო; მაინცდამაინც ქართლ-კახეთის სამეფოდან მათ შემოტანაზე საუბარი შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამაზე რაიმე სხვა დამატებითი მითითება იქნება (დავუშვათ, სამონეტო კომპლექსის სპეციფიკური შემადგენლობა).

უნდა აღინიშნოს, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს ფულადი მიმოქცევის შესწავლის კუთხით მეტი მნიშვნელობა აქვს არა ცალკეული მონეტების, არამედ განძების, სამონეტო კომპლექსების ანალიზს:

ცალკეული მონეტის აღმოჩენის შემთხვევაში, პრაქტიკულად შეუძლებელია (თუ არ გვაქვს რაიმე არქეოლოგიური მინიშნება) მისი ტეზავრაციის აქტის, ანუ, მიმოქცევის პერიოდის დასასრულის – დათარიღება (შესაძლე-

¹ ოფიციალური თანადროული დოკუმენტაცია, სამწუხაროდ, მინიმალური რაოდენობით თუ შემოგვრჩა.

ბელია დადგინდეს მხოლოდ და მხოლოდ *terminus ante quem non* – თავად მონეტის გამოშვების თარიღის – / პერიოდის და მიხედვით); თუ საუბარია ქართლ-კახეთის სამეფოს არსებობის (1744-1801) თანადროულ უცხო მონეტებზე, მათი შემოტანა ქართლ-კახეთსა თუ მეზობელ სახელმწიფოებში თეორიულად შეიძლება 1801 წლის ანექსიის შემდეგაც მომხდარიყო; ან, პირიქით, უფრო ადრეული მონეტების ადგილობრივ შემოტანა და გასვლა ფულადი მიმოქცევიდან (შეგნებული ტეზავრაციისა თუ შემთხვევითი დანაკარგის სახით) შეიძლება ჯერ კიდევ 1744 წელს ქართლ-კახეთის სამეფოს გაერთიანება-დაარსებამდე მომხდარიყო. ორივე შემთხვევაში უშუალო კავშირი ქართლ-კახეთის სამეფოს ისტორიასთან ამ მონეტებს აღარ ექნებათ.

განსხვავებით ცალკეული მონეტების აღმოჩენებისგან, სამონეტო (მონეტების, თუ მონეტთან-ნივთთან) კომპლექსები ბევრად უფრო ადვილად, – ხშირად, საკმაოდ ზუსტადაც, – ექვემდებარება ქრონოლოგიურ ატრიბუციას: სამონეტო კომპლექსის შემადგენლობის ანალიზი ჩვეულებრივ იძლევა საშუალებას ის საკმაოდ ზოგჯერ ათწლეულის, თუ, საერთოდაც, რამდენიმე წლის სიზუსტით დავათარილოთ (განძში შემავალი უახლესი, ანუ, ყველაზე ახალგაზრდა მონეტისა და, იმავდროულად, რალაც თარიღისა თუ მოვლენის შემდგომ გახშირებულ-შემოდინებული მონეტების არარსებობის მიხედვით).

ბუნებრივია, კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, უდიდეს ინტერესს წარმოადგენს ქართლ-კახეთის სამეფოს არსებობის პერიოდში ტეზავრირებული განძები. ისინი, ბუნებრივია, ამ ქართული სახელმწიფოს ფულად მიმოქცევას ასახავს და წარმოადგენს.

ყურადსაღებია ასევე ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიის მიერ 1801 წელს ანექსიის შემდგომ პერიოდში ადგილობრივად (უწინდელი ქართლ-კახეთის სამეფოს ტერიტორიაზე) ტეზავრირებული სამონეტო კომპლექსებიც. მათ შემადგენლობაში საკმაოდ მაღალია ქართლ-კახეთის სამეფოს მონეტების ხვედრითი წილი; უდავოა, რომ ამ განძების ფორმირებაც ან 1801 წლამდე დაიწყო, ან, ყოველ შემთხვევაში, 1801 წლამდე მონეტარულ-ეკონომიკური სიტუაციის ანარეკლია. აქედან გამომდინარე, ქართლ-კახეთის სამეფოს ფულადი ისტორიის შესწავლისას აუცილებელია ამ გვიანდელი კომპლექსების გათვალისწინებაც.

გარდა ამისა, ქართლ-კახეთის სამეფოს საგარეო-ეკონომიკური თუ ფულადი კავშირების საკვლევად ძალიან მნიშვნელოვანია რეგიონისა და ეპოქის მეზობელ, ქართულ და არაქართულ სახელმწიფოებში სამონეტო მიმოქცევის, კერძოდ, იქ ტეზავრირებული სამონეტო კომპლექსების, ან, თუნდაც, ცალკეული მონეტების აღმოჩენის შემთხვევების შესწავლა. სამწუხაროდ, ყოველთვის ვერ დგინდება, ცალკეული მონეტის, ან, თუნდაც, სამონეტო კომპლექსის ტეზავრაცია ქართლ-კახეთის სამეფოს არსებობის თანადროულია, თუ შემდგომ პერიოდს მიეკუთვნება. მიუხედავად ამისა,

ეს მონაცემები, მაინც, გასათვალისწინებელია.

ქართლ-კახეთისა თუ, განსაკუთრებით, მეზობელ ტერიტორიაზე ქართლ-კახეთის სამეფოს ცალკეული მონეტების ტიზავრაციის ზუსტი დათარიღება (1801 წლამდე თუ შემდეგ?) პრაქტიკულად შეუძლებელია; ამიტომ ამ მონაცემებს შედარებით შეზღუდული მნიშვნელობა აქვს - ვერცხლისა (თუ ოქროს) მონეტებს შეეძლოთ მიმოქცევაში შედარებით მეტი ხნის განმავლობაში დარჩენილიყვნენ, ემიტენტი სახელმწიფოს დაცემის შემდგომაც. გამონაკლისად ალბათ შეიძლება ჩაითვალოს საკრედიტო, სპილენძის ფული; - ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდგომ ის მეტწილად დაკარგავდა თავის ღირებულებას და მისი შენახვა, მიმოქცევა, ტიზავრაცია (უსარგებლო მონეტების გადაგდებას თუ არ ჩავთვლით) აზრს დაკარგავდა; აქედან გამომდინარე, მეზობელ ტერიტორიებზე ქართლ-კახეთის სამეფოს სპილენძის ფულების აღმოჩენის შემთხვევები ამ ქართული სახელმწიფოს თანადროული უნდა იყოს.

ცალკეული მონეტებისა და, განსაკუთრებით, სამონეტო კომპლექსების აღმოჩენის შემთხვევების გარდა, ბუნებრივია, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ლოკალური, ქართლ-კახეთის სამეფოს სამონეტო ემისიების შესწავლასაც. საკუთარი საფასე ხომ უპირველეს ყოვლისა ადგილობრივადვე მიმოქცეოდა და ადგილობრივი ფულადი ბაზრის უმნიშვნელოვანეს კომპონენტს შეადგენდა, ერთადერთს თუ არა.²

*

ქართლ-კახეთის სამეფოში ფულადი მიმოქცევის შესასწავლად პირველწყაროების მეორე, უკიდურესად მნიშვნელოვანი ჯგუფი წერილობითი ძეგლებია. ესენი, თავის მხრივ, იყოფა ორად -

1. ნარატიული (ევროპელ მოგზაურთა, ან, ზოგჯერ, სულაც, ჯაშუშთა და ქართლ-კახეთის სამეფოში მივლენილ რუს მოხელეთა დაკვირვებები; ასევე, ქართველ ავტორთა ცნობები); და
2. დოკუმენტური (სახელმწიფო თუ კერძო ხასიათის საბუთები, რომელიც შესაბამის ცნობებს შეიცავს). აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი დოკუმენტი *თამასუქს* წარმოადგენს; ამ შემთხვევაში კი ისტორიული საბუთი არა მარტო ინფორმაციის პირველწყარო, არამედ ფულადი მიმოქცევის უშუალო სუბსტრატაცაა, *მონეტარული საფასის ერთგვარი, ქალაქის დერევატი*.

ქართლ-კახეთის სამეფოში ფულადი მიმოქცევის შესახებ წერილობითი პირველწყაროების ცნობებს გზადაგზა ქვემოთ მოვიყვანთ. მათი პირველადი ანალიზის შედეგებსაც იქვე წარმოვადგენთ.

² ქართლ-კახეთის სამეფოში გამოშვებული არცერთი საფასე არ იქცა მსოფლიო ფულად; თუმცა, ირაკლი მეფისა და გიორგი XII-ის სირმა თეთრი რეგიონულ ვალუტას წარმოადგენდა. ფალავა, სირმა თეთრი. ქართული ეროვნული ვერცხლის საფასე, 233-237, 261-263.

*

კვლევამ გვაჩვენა, რომ ქართლ-კახეთის სამეფოში ფულადი მიმოქცევის სურათის გარკვევა და აღდგენა მხოლოდ იმ შემთხვევაში გახდება შესაძლებელი, თუკი ზემოთ განხილული ორი სხვადასხვა ტიპის პირველწყაროების მიერ შემონახულ ცნობებს ერთმანეთს შევაჯერებთ და ერთიანობაში შევისწავლით. უპირველეს ყოვლისა აუცილებელია განძებისა და მათი შემადგენლობის (თუკი არსებობს ან ცნობილია), ისევე როგორც ტეზაურაციის გარემოებებისა და ქრონოლოგიის მეტა-ანალიზი; მიღებული შედეგების წერილობითი წყაროების ცნობებთან შეპირისპირება; კომპარატიული ანალიზი.

განსხვავებით განძებისგან, რომლებიც უკლებლივ ყველა შევისწავლეთ (პუბლიკაციებსა და ჩვენს პირად არქივში აღრიცხულებს ვგულისხმობთ) თუ, საერთოდაც, პირველად გამოვაქვეყნეთ, ვერ დავიკვივებით, რომ ყველა შემონახული საბუთის დამუშავება მოვახერხებთ. ეს ყველაზე მეტად ტიტანური შრომა იქნებოდა.³ მიუხედავად ამისა, ვიხრებით იმ აზრისკენ, რომ დამუშავებულ დოკუმენტთა რაოდენობა საკმარისია ეპოქის ფულადი სიტუაციის ობიექტურად შესაფასებლად.

*

ქართლ-კახეთის სამეფოში, ისევე როგორც, საზოგადოდ, კავკასიის რეგიონში, – მიუხედავად მონეტარული სიახლეებისა (აღგილობრივ ბაზარზე ოსმალური და რუსული საფასის შემოჭრისა) – სხვადასხვა ტიპის (ლითონის) საფასე ეკონომიკაში მეტად განსხვავებულ როლს ასრულებდა. ეს გარემოება სეფიანთა ირანისა და პოსტ-სეფიანური სახელმწიფოების შემადგენლობასა თუ მათ ორბიტაზე არსებობის ყველაზე ცოტა ორსაუკუნოვანი ტრადიციით აიხსნება.

ირანსა და მისი ზეგავლენის სფეროში, მონეტარულ-ფულად ეკონომიკაში ვერცხლის მონომეტალიზმი იყო გაბატონებული, – ფულადი სისტემის ქვაკუთხედს სწორედ ვერცხლი წარმოადგენდა; ვერცხლის ფული წარმოადგენდა ღირებულების საზომს; ამასთანავე, – ანგარიშსწორებისა და დაგროვების ძირითად საშუალებას (ოქროსთან ერთად).⁴ (აღმოსავლეთ) საქართველოშიც იგივე სურათს ვხედავთ.⁵

შავი ფული, როგორც წესი, ანონიმურად იჭრებოდა, და მისი გამოშვება ადგილობრივი მმართველების პრეროგატივას (და შემოსავლის წყაროს) წარმოადგენდა.⁶ სამაგიეროდ, მასზე მიღებული იყო ამა თუ იკონოგრაფი-

3 ქართლ-კახეთის სამეფოს დოკუმენტური მემკვიდრეობის ერთიანობაში, კორპუსული გამოცემა მომავლის საქმედ რჩება.

4 Rudi Matthee, Willem Floor, Patrick Clawson, *The Monetary History of Iran. From the Safavids to the Qajars* (London-New York: I.B. Tauris, 2013), 2, 34, 150-176, 223.

5 ქოიავა, „საქართველოს ფულის მიმოქცევა XVIII საუკუნეში“, 75-78.

6 თინათინ ქუთელია, *ირანული სპილენძის ფულის კატალოგი (საქართველოს*

ული სიუჟეტისა და არა შაჰის სახელის გამოსახვა.⁷ ტიპიური იყო ამ შავი ფულის პერიოდული განახლება (*renovatio monetae*), ანუ, ძველი მონეტის ბათილად გამოცხადება, და ახლის გამოშვება.⁸ აქვე ვიტყვით, რომ იკონოგრაფიული მრავალგვარობაც, საფიქრებელია, სწორედ განახლების საჭიროებით აიხსნებოდა – იკონოგრაფიული სიუჟეტის მიხედვით ადვილი იქნებოდა ძველი მონეტის ახლისგან გარჩევა (ფაქტია, რელიგია ხელს არ უშლიდა ამ ქალაქურ შავ ფულზე გამოსახულების დატანას). წვრილი ალებ-მიცემობისთვის განკუთვნილი ამ შავი ფულის ტირაჟები, როგორც ჩანს, უმნიშვნელო არ იყო.

შავი ფულისგან განსხვავებით, ოქრო-ვერცხლის მონეტები მონოეპიგრაფიკული იყო. წარწერები სპარსულ და არაბულ ენაზე კეთდებოდა, არაბული დამწერლობით. წინარე და მიმდინარე პერიოდის მონეტების ვიზუალურად გარჩევა წერა-კითხვის უცოდინარი მოსახლეობისთვის გაძნელებული იქნებოდა, მაგრამ ამას არ ჰქონდა პრინციპული მნიშვნელობა, ვინაიდან ამ ძვირფასი ლითონის მონეტების *renovatio*, გასაგები მიზეზით, – არ წარმოებდა. ოქრო-ვერცხლის მონეტების ერთი მხარე შიიტურ რელიგიურ ფორმულას ეთმობოდა (ოსმალური მონეტებისა და ავშარული მონეტების ნაწილის გარდა, სადაც ემიტენტის განმადიდებელი ან, უბრალოდ, სუნიტური ფორმულა ჩაენაცვლა; ირაკლი II-ის რეფორმის შემდგომ შიიტური რელიგიური ფორმულა შეიცვალა ციტატით ყურანიდან, რომელიც შინაარსობრივად ქრისტიანთათვისაც უფრო მისაღები უნდა ყოფილიყო⁹).

სპილენძისგან განსხვავებით, ძვირფასი ლითონის სამონეტო ემისიას შაჰის ცენტრალური ხელისუფლება მკაცრად აკონტროლებდა; ოქრო-ვერცხლის მონეტებზე ცალ მხარეს აუცილებლად და ექსკლუზიურად მმართველი შაჰის სახელი უნდა ყოფილიყო მითითებული (რომელიც, ამგვარად, *სიქეს* უფლებით სარგებლობდა); სხვა თანადროული მმართველის მითითება კი აკრძალული იყო¹⁰ (ზურგის შიიტურ ფორმულაში მიეთითებოდა, ბუნებრივია, მუჰამადისა და ‘ალის სახელები).

ვერცხლი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მონეტარული ეკონომიკის ძირითად სუბსტრატს წარმოადგენდა. ვერცხლის მონეტებს უშვებდა მრავალი ზარაფხანა, რამდენიმე სტანდარტულ ნომინალად (წონის შესა-

სახელმწიფო მუზეუმის ფონდების მიხედვით) (თბილისი: მეცნიერება, 1990), 6-7; Matthee, Floor, Clawson, *The Monetary History of Iran. From the Safavids to the Qajars*, 25-30. ბუნებრივია, სპილენძის მონეტებიც გარკვეული წონითი სტანდარტით იჭრებოდა; სხვა ამბავია, რომ ეს სტანდარტი ემისიის სხვადასხვა ცენტრში განსხვავებული იქნებოდა. შეად. იქვე, 25.

7 ქუთელია, *ირანული სპილენძის ფულის კატალოგი (საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფონდების მიხედვით)*, 9-12.

8 იქვე, 6-7; Matthee, Floor, Clawson, *The Monetary History of Iran. From the Safavids to the Qajars*, 28-30.

9 ფალავა, *სირმა თეთრი. ქართული ეროვნული ვერცხლის საფასე*, 125, 127.

10 Тинагин Кутелия, *Грузия и Сефевидский Иран (по данным нумизматики)*, 26-27.

ბამისი ნომინალური ღირებულებით), დიდი ტირაჟით. მხოლოდ თბილურ შავ ფულზე ქართლელმა ბაგრატიონებმა დაიწყეს საკუთარი სახელის დაქარაგმებულად მითითება.¹¹

ვერცხლისგან განსხვავებით, ოქროს მონეტები ძალიან იშვიათად იჭრებოდა და მათი როლი ეკონომიკურ ცხოვრებაში საკმაოდ შეზღუდული იყო.¹²

აღნიშნულის გათვალისწინებით, ლოგიკურად გვეჩვენება ცნობები ქართლ-კახეთის სამეფოში ფულადი მიმოქცევის შესახებ გავაანალიზოთ დანაწევრებულად, სამონეტო ლითონების, – ოქროს, ვერცხლის, სპილენძის – მიხედვით; საგანგებო თავს ვუთმობთ ასევე ქართლ-კახეთის სამეფოში მიმოქცევაში არსებულ ფულის ქალაქის დერივატებსაც. მონაცემებს ნაშრომის ბოლო თავში შევაჯერებთ.

11 Пахомов, *Монеты Грузии* (Тбилиси: Мецниереба, 1970), 250-256; ქოიავა, *ფულის მიმოქცევა, კრედიტი და ფინანსები XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში*, 45; Тинатин Кутелия, *Грузия и Сефевидский Иран (по данным нумизматики)* (Тбилиси: Мецниереба, 1979), 60-65; ფალავა, "ჰერალდიკური იკონოგრაფია XVII-XIX სს-ის თბილისის სპილენძის მონეტებზე", 90-97.

12 Matthee, Floor, Clawson, *The Monetary History of Iran. From the Safavids to the Qajars*, 30-33.

თავი II. ქალაქის დერივატები

693 წლის შავვალის თვის 19 რიცხვში (9/IX/1294¹) თავრიზში, ილხანთა ირანის დედაქალაქში, – ჩინური გამოცდილების გათვალისწინებით, – გამოუშვეს ქალაქის ფული, „ჩაო“; ბაზარმა (მოსახლეობამ) ის არ მიიღო, ასე რომ, „ჩაოს“ გამოშვება მალევე შეწყდა. საფიქრებელია, ილხანთა ქვეშევრდომ (აღმოსავლეთ) საქართველომდე ამ დღემოკლე ქალაქის ფულს ვერც კი მოუღწევია.²

ქალაქის ფული საქართველოში არც შემდგომ საუკუნეებში გამოუშვიათ. მისი ადგილობრივად მიმოქცევა დაიწყო მხოლოდ XIX საუკუნეში, უკვე რუსეთის იმპერიის მიერ დაქუცმაცემული ქვეყნის ნაკუნ-ნაკუნ ანექსია-დაპყრობის შემდგომ.

ქალაქის ფულს, თუნდაც უცხოურს, არ იცნობდა, ან, ყოველ შემთხვევაში, ვერ გუობდა ქართლ-კახეთის სამეფოს ეკონომიკაც. საქართველოსთან გამეზობლებული სახელმწიფოებიდან (სპილენძის ფულით უზრუნველყოფილ) ქალაქის ფულს უშვებდნენ რუსეთის იმპერიაში, 1769 წლიდან.³ რუსეთის იმპერიაში სავაჭროდ გადასული ქართველი სოვდაგრებისთვის ის, ბუნებრივია, ნაცნობი იქნებოდა. ეჭვიც არ გვეპარება, რომ ქალაქის ფულის ცნება არც ირაკლი II-ისა და არც გიორგი XII-ისთვის იქნებოდა უცხო. აღსანიშნავია, რომ თავის (მართალია, უკვე სამეფოს 1801 წელს დაცემის შემდეგ დაწერილ) *კალმასობაში* იოანე ბატონიშვილი აღწერს ევროპასა და რუსეთის იმპერიაში ქალაქის ფულის მიმოქცევას:

„ხოლო ევროპასა შინაცა მსუბუქობის გულისთვის შემოიღეს უკანასკნელს ჟამებში ასიგნაცია ქალაქდთაგან, რომელიცა ესე ყოველნი გუარნი თეთრისანი თქუზნც უწყით განრჩევით.“⁴

„რუსეთისა [...] აგრეთვე ასიგნაციასა ხმარობენ ხუთმინალთუნიანს, ერთთუმიანს, ოცდახუთმინალთუნიანს, ხუთთუმიანს და ათთუმიანს, რომელნიც თითო მანათს თითო რუბლს უწოდებენ.“⁵

1 ირინე ჯვალანისთან მითითებულია 12/IX. Ирина Джалагания, *Из истории монетного дела в Грузии XIII века* (Тбилиси: Издательство Академии наук Грузинской ССР, 1958), 61.

2 იქვე, 61-62.

3 Иван Спаский, *Русская монетная система* (Ленинград: Аврора, 1970), 199, 201-202.

4 იოანე ბაგრატიონი, *ხუმარსწავლა. კალმასობა. ნიგნი I* (ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს ციალა კახაბრიშვილმა, ცოტნე კიკვიძემ) (თბილისი: მერანი, 1990), 478.

5 იქვე, 481.

თუმცა, საკუთარი ქალაქის ფულის გამოშვება, შემორჩენილი ცნობებით (უფრო სწორედ, ამგვარი ცნობების არარსებობით), - ქართლ-კახეთის მონარქებს არც კი უცდიათ.

ქართლ-კახეთის სამეფოს ქალაქის ფულის გამოუშვებლობის მიზეზის ამოცნობა რთული არ უნდა იყოს: ამ მხრივ მაინც საკმაოდ არქაული სამონეტო ბაზარი, რომელიც მსხვილი ნომინალის, ტრადიციული იერის სპილენძის ნახევრად-საკრედიტო ფულსაც კი (დიდი გაჭირვებით, ან) არ იღებდა, ქალაქის ფულს მით უფრო არ და ვერ მიიღებდა.

რუსეთის იმპერიისგან განსხვავებით, ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფო სარეპრესიო პოტენციალი, - საკუთარი მოსახლეობისთვის ზესაკრედიტო⁶ (ქალაქის) საფასის მიღება-გამოყენება რომ დაეძალებინა, - საკმაოდ შეზღუდული იქნებოდა. ადგილობრივი ბაზრისთვის ამგვარი არატრადიციული და ზესაკრედიტო ფულის მიუღებლობას ადასტურებს ის გარემოება, რომ უკვე 1801 წლის ანექსიის შემდგომ პირველ ათწლეულებში ქართლისა და კახეთის მოსახლეობისთვის ქალაქის ფულის თავს მოხვევა ვერ მოახერხა არათუ ქართლ-კახეთის სამეფოს ხელისუფლებამ, არამედ შეუდარებლად უფრო ძლიერი და მწყობრი სახელმწიფო ძალადობის აპარატის მქონე რუსეთის იმპერიამაც კი:⁷ კარგად არის ცნობილი, რომ 1800-იან წლებში რუსული ჯარისა და მოხელეების ხარჯის გაღება რუსულ სახელმწიფოს (ძვირფასი) ლითონის ფულით უხდებოდა, კერძოდ, ჰოლანდიური დუკატებით, და ისიც არახელსაყრელი კურსით.⁸

ქალაქის ფულის არაპოპულარობას ქართული მოსახლეობისა თუ ხელისუფლების თვალში შესაძლოა განაპირობებდა იმავე რუსეთის იმპერიაში მისი გაუფასურებაც; დამატებითი საფასის დაბეჭდვის ცდუნებას აყოლილ რუსეთის იმპერიაში ინფლაცია დაიწყო, ქალაქის ფული გაუფასურდა და წარმოიშვა ორი ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული კურსი – ქალაქ-სპილენძისა და ოქრო-ვერცხლის.⁹

მაგრამ, ქალაქის ფულის გამოუშვებლობა არ ნიშნავს, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს მოსახლეობა, ხელისუფლება და, საზოგადოდ, ეკონომიკა, - ექსკლუზიურად ლითონის საფასით საზრდოობდა. დოკუმენტური მასალა იძლევა საშუალებას ვამტკიცოთ, რომ ამ ქართულ სახელმწიფოში ასევე მიმოიქცეოდა ლითონის ფულის ქალაქის დერივატებიც.

საუბარი არ არის ისეთ ნატიფ ფინანსურ ინსტრუმენტებზე, როგორც აქციები ან ობლიგაციები. არსებული ამხანაგობებიც,¹⁰ აშკარად, შორს

6 ან, თუნდაც, სპილენძით უზრუნველყოფილი.

7 Павел фон Винклер, „Чеканка монет для Грузии (1804-1833 гг.)”, *Из истории монетного дела в России* (Санкт-Петербург, 1898), 295-296, 302-306.

8 იქვე, 288, 307.

9 Спасский, *Русская монетная система*, 199, 202.

10 ერთ ესეთ ამხანაგობას 1790-იან წლებში იჯარით თბილისის ზარაფხანა ჰქონდა აღებული. ფალავა, *სირმა თეთრი. ქართული ეროვნული ვერცხლის საფასე*, 173-178.

იყვნენ დამატებითი კაპიტალის მოსაზიდად აქციების გამოშვების იდეისა და შესაძლებლობისაგან.

საზოგადოდ, ქართლ-კახეთის სამეფოში კრედიტის (კაპიტალის მობილიზების) სისტემა შედარებით განუვითარებელი იყო.¹¹ ქართლ-კახეთის სამეფოში საბანკო სისტემაც არ არსებობდა. იმდენად, რამდენადაც ეს ეხება სახელმწიფოს, ირაკლი II-მ ერთხელაც ვერ მოახერხა საგარეო სესხის მიღება, შიდა სესხი კი დაიყვანებოდა მონარქის (ირაკლი II-ისა თუ გიორგი XII-ის) მიერ ფულის ამა თუ მდიდარი ქვეშევრდომისგან, საფიქრებელია, არც თუ მთლად ნებაყოფლობით „სესხებამდე“.¹²

ფულის ერთადერთი დერივატი, რომელსაც ქართლ-კახეთის სამეფოს ეკონომიკა იცნობდა, იყო ფულად ურთიერთობათა მოგვარების ისეთი ინსტრუმენტი, როგორიცაა *თამასუქი*, ე.წ. „ბარათი“. თანადროულ საბუთებში თამასუქები საკმაოდ ხშირად მოიხსენიება, ანდა თავად დოკუმენტიც თამასუქს წარმოადგენს ხოლმე.

ნიკოლოზ ქოიავას მონოგრაფიაში ცალკე ქვეთავი ეძღვნება „თამასუქის ვალუტას“; თუმცა, სინამდვილეში, იქ საუბარია მხოლოდ სესხების მასშტაბზე, და სამეფო ოჯახის წევრების მიერ ფულის სესხებაზე.¹³ სხვა ნაშრომში კი ავტორი პირდაპირ სვამს კითხვას:

„იცნობდა თუ არა ქართლ-კახეთი საკრედიტო დოკუმენტებს და ხდებოდა თუ არა ამ დოკუმენტების გამოყენება საერთაშორისო ანგარიშსწორებისას?“¹⁴

ავტორის მოსაზრებით,

„XVIII საუკუნეში თბილისელი ვაჭრებიც აწარმოებდნენ საგარეო ვაჭრობას ნისიად. [...] მაგრამ, ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ ნისიად ვაჭრობა იშვიათი იყო და თამასუქების მიმოქცევას არ ჰქონია შესამჩნევი ადგილი. ამის გამო, მრავალ გამოქვეყნებულ საბუთში არ ჩანს თამასუქების ბაზარი და თამასუქების გამოყენება საერთაშორისო ანგარიშსწორებისას.

[...]

ამრიგად, ვფიქრობთ, რომ თბილისში არ არსებობდა ბირჟა, მაგრამ იყო შემთხვევები ანგარიშის გასწორებისა ძვირფასი ლითონის გადაგზავნის გარეშე.“¹⁵

11 შეად. ქოიავა, *ფულის მიმოქცევა, კრედიტი და ფინანსები XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში*, 77-103.

12 მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ იგივე გიორგი XII-ის მიერ ბეგთაბეგიშვილისადმი მიცემული თამასუქი. ბერძენიშვილი (მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა), *მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. ნიგნი II (ვალი, იჯარა, ვაჭრობა)*, 139, №191.

სამეფო ოჯახის წევრების ვალების შესახებ იხ. ქოიავა, *ფულის მიმოქცევა, კრედიტი და ფინანსები XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში*, 91-92.

13 იქვე.

14 ქოიავა, „თბილისის სამონეტო ბაზარი XVIII საუკუნეში“, 181.

15 იქვე.

ჩვენი აზრით, საკმაოდ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ზოგიერთ (თუნდაც იშვიათ) შემთხვევაში ნამდვილად წარმოებდა თამასუქის გადაცემა, ანუ, მოვალის თამასუქით გაფორმებული ვალდებულებების გასხვისება-გადაცემა (კრედიტორისგან) მესამე პირზე. ამას ცალსახად ადასტურებს ერთი საინტერესო დოკუმენტი – 1794 წლის 1 ივლისის ალა-სტეფანა აბი-მელიქოვისა და მანუჩარ თუმანიშვილის ანგარიშში მანუჩარი წერს:

„[...] ქ. ნაზარბეგის-შვილს გიორგის ჩემს მოსაცემში გამოვართვი ბარათი ყუზანთ სტეფანაზე რკ [120 თუმანი] ამდენის. [...]“.¹⁶

კარგად ჩანს, რომ გიორგი ნაზარბეგის-შვილმა მანუჩარ თუმანიშვილს ვალის ნაწილი თამასუქით დაუბრუნა; თამასუქით, რომელიც წარმოადგენდა ვინმე ყუზანთ სტეფანას ფინანსურ ვალდებულებას, 120 თუმანი გადაეხადა.¹⁷

უნაღდო ანგარიშსწორება შესაძლებელი იყო არა მარტო ქართლ-კახეთის სამეფოს ფარგლებში, არამედ უცხოეთში მოღვაწე პირებთანაც.

1794 წლის მაისში მანუჩარ გორჯასპოვ (თუმანიშვილის) მიერ ენუქას-შვილი მერაბ-ალასადმი მისი ძმის კაკალას ვალის დაბრუნების თაობაზე მიწერილი არზიდან ირკვევა შემდეგი: მერაბ-ალა უცხოეთში იმყოფება, „ხუის“ (ხოში; იქ, საიდანაც მანუჩარი „ქვემოურ ამბავს“ მოელის), მანუჩარი კი ცდილობს მისგან, მისი ძმისთვის, კაკალასთვის, მანუჩარის სიმამრის, სტეფან-ალას მიერ სესხად მიცემული თანხის (200 თუმნის) დაბრუნებას; ამასთანავე, ვალის დაბრუნება გვიანდება – მანუჩარის წერილი 1794 წლის 2 მაისით თარიღდება, არადა, ბარათის „ვადა ხომ მარტის დამდექს შესრულდა“. საბუთი კარგად გვისურათებს ქართლ-კახეთის სამეფოსა და მეზობელ სახელმწიფოთა შორის ფინანსური ტრანსაქციების შესაძლო გზებს და ხერხებს; უპრიანია ტექსტი მთლიანად მოვიყვანოთ:

„ყოვლის სიკეთით სრულო და პატიოსნებით ჩინებულო ჩემო მწყალობელო მეგობარო!

კარგა ხანია რომ თქვენი ამბავი არ მომსვლია და მსურს თქვენი მშვიდობის ამბვის გაგონება. აქაურს ამბავს მოიხსენება – მშვიდობით გახლავან ყველანი, და სხვას ქვემოურს ამბავს ხომ მუდამ მანდედამ მოველით.

ამას წინათ წიგნები მოგართვი და აქაური ამბავი ყველა მოგახსენე. თქვენის ძმის კაკალასათვის ბატონი ჩემი სიმამრი ალა-სტეფანას ორასი თუმნის ბარათი რომ გამოვართვი და გავგზავნე, იმისი ვადა ხომ მარტის დამდექს შესრულდა. ვადა რომ შესრულდა, ამ საქმეზე ორი წიგნი მოგართვი: ერთი პირველათ ქარავენით და მეორე ბატონი გურგინთბეგანთ სტეფანას ხელით. და ამ ორის წიგნით ასე მოგახსენე: ამ ორასის თუმნის

16 ბერძენიშვილი (მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა), *მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. წიგნი II (ვალი, იჯარა, ვაჭრობა)*, 112, №169.

17 თუ რა პირობებით, ანუ, რა ვადაში, რა უზრუნველყოფითა და რა პროცენტით, - უცნობია.

თანხას მანდედამ გამოგზავნი, თუ აქ გოგიას მოსწერო, რომ ამან მამცეს, თუ აქ ვისაც თეთრი ჰქონდეს მანდ წამოსაღები, იმას გამოვართო და მანდ თქვენ უბოძოთ? რომ ამის პასუხს როგორც თქვენ ინებებთ, იმას მუდამ მოველი. მაგრამ ახლა ბატონს ჩემს სიმამრს სტეფან-ალას თეთრი მოუნდა. მანდ ანშინანთ ბატონი არუთინას კაცი იერემია გახლავს, იმას ხუთას-ექვსასი ალთმიშლული უბოძეთ და მიბარების ბარათი გამოართვით და აქ მე გამომიგზავნეთ. როგორც რომ თქვენ მამწერო და რიგია, აქ ალთმიშლულს იმ ფასათ უანგარიშებთ. წყალობას ვითხოვ, რომ ამისი პასუხი და თქვენი მშვიდობის ამბავი მიბრძანოთ.

მდაბალი მანუჩარ გორჯასპოვი. ქკს უშბ, მაისის ბ.

ქ. ღვით, ხუის კურთხეული იენოქას-შვილს ბატონ მერაბ-ალარს მიერთოს.

ქ. ეს ის წიგნია, რომ მერაბ-ალას უკან დაებრუნებინა და თეთრი არ მიეცა.”¹⁸

თავისი სიმამრის, სტეფან-ალას ინტერესის დამცველი მანუჩარი მოვალეს შემდეგნაირ კომბინაციებს სთავაზობს: 1) გამოავზავნოს 200 თუმნის თანხა ხოიდან (რა საფასით?); ან, 2) მოვალემ აქ (ანუ, საფიქრებელია, თბილისში) მისწეროს თავის წარმომადგენელს, ვინმე გოგიას, რომ ვალი ადგილზევე დააბრუნოს; ან 3) მანუჩარმა აქ (თბილისშივე) გამოართვას თანხა ისეთ პიროვნებას, ვისაც ის ხოიში აქვს წასაღები, და იმ პიროვნებამ სანაცვლოდ თანხა სტეფან-ალასგან ხოიში მიიღოს.

მანუჩარი მოვალეს კიდევ ერთ ვარიანტად მე-4) კომბინაციასაც სთავაზობს: მოვალემ მანდ (საფიქრებელია, ხოიში) მყოფ ვინმე იერემიას 500-600 ალთმიშლული გადასცეს, სანაცვლოდ „მიბარების ბარათი“ გამოართვას და აქ (თბილისში) მანუჩარს გამოუგზავნოს; თბილისში კი მანუჩარი ამ ალთმიშლულს იერემიას (წარმომადგენელს) კურსის მიხედვით დაუანგარიშებს (კვლავ დასტურდება რომ ალთმიშლული მხოლოდ და მხოლოდ საქონელ-ფულია) – კურსით, „რომ თქვენ მამწერო და რიგია„ (მოვალეს მიერ მოწერილი კურსით ალთმიშლულების 200 თუმნის ვალში ჩათვლა უფრო თავაზიანობა უნდა იყოს, ალთმიშლულები მიმდინარე კურსის მიხედვით უნდა დათვლილიყო, „როგორც [...] რიგია“).

ამკარაა, რომ მანუჩარი გეგმავს „მიბარების ბარათის“ მიხედვით თბილისში ამ ხოიში გადაცემული 500-600 ალთმიშლულის ფიზიკურად მიღებას თუ არა, უფრო მათ ანგარიშში (იერემიას წარმომადგენლისგან) ქართლ-კახეთის სამეფოს თეთრის მიღებას (ამა თუ იმ კურსით).

ეს არის უნადლო ანგარიშსწორების მცდელობა. ამ შემთხვევაში ის, მართალია, უშედეგოდ დამთავრდა: საბუთი წარმოადგენს მანუჩარის *მესამე* მცდელობას, მოვალეს სესხი დააბრუნებინოს, და ისიც, წარუმატებელს – საბუთი ბოლოვდება მინაწერით – „ქ. ეს ის წიგნია, რომ მერაბ-ალას უკან დაებრუნებინა და თეთრი არ მიეცა“. მაგრამ ამგვარი შემთავაზება ეჭვს არ ტოვებს, რომ ერთმანეთისადმი მინდობილ პირებს შორის ამგვარი

18 იქვე, 108-109, №163.

დაუსწრებელი და უნაღდო ანგარიშსწორება რაიმე ექტრაორდინალურს არ წარმოადგენდა, და ქართლ-კახეთის სამეფოში ფულადი მიმოქცევის განუყრელ კომპონენტს წარმოადგენდა.

როგორც ვხედავთ, ქართლ-კახეთის სამეფოში ეკონომიკური ურთიერთობები მოიცავდა უნაღდო ანგარიშსწორებასაც. ამგვარად ანგარიშსწორების მატერიალურ სუბსტრატს წარმოადგენდა *თამასუქი*, *ბარათი*, *მიბარების ბარათი*. ყველა ეს *ქალაღდზე* შედგენილი საბუთი ზოგჯერ მაინც *ფასიანი ქალღდის*, *ფაქტიურად*, *ფუნქციურად*, *საკრედიტო საფასის* როლს ასრულებდა; და, ამრიგად, ყველაზე ცოტა, *ფულის ქალღდის დერივატს* წარმოადგენდა.

თავი III. ოქრო

ქართლ-კახეთის ტერიტორიაზე სამეფოს დროინდელი ოქროს მონეტების შემცველი განძები დღემდე არ აღმოჩენილა. უფრო მეტიც, არ ვიცნობთ ცალკეული ოქროს მონეტის აღმოჩენის ერთ შემთხვევასაც კი, რომლის ტეზავრაციაც შეიძლება ქრონოლოგიურად ქართლ-კახეთის სამეფოს არსებობის პერიოდს მიეუსადაგოთ. ამის გათვალისწინებით, ქართლ-კახეთის სამეფოში ოქროს საფასის მიმოქცევაზე მსჯელობისას იძულებულნი ვართ დავეყრდნოთ ექსკლუზიურად ნერილობით, კერძოდ კი, ნარატიულ და დოკუმენტურ პირველწყაროებს. საბედნიეროდ, ამ ნერილობითი ძეგლების ცნობები მრავალრიცხოვანი და მრავლისმთქმელია. გასათვალისწინებელია ასევე შემორჩენილი ინფორმაცია სახელმწიფოში საკუთარი ემისიების თაობაზე.

დადგენილია, რომ ქართლ-კახეთის სამეფოში იჭრებოდა ოქროს საფასე: ავშარული ტიპის მონეტები ირაკლი II-ის 1765/6-1768/9 (ჰიჯრის 1179-1182) წლების სამონეტო რეფორმამდე, და სირმა ტიპის ოქროს შაურის რეფორმის შემდგომ.¹

ამასთანავე, ემიტირებული ოქროს საფასის რაოდენობა, როგორც ჩანს, შედარებით უმნიშვნელო იყო. დღემდე შემორჩენილია შახროჰის სახელით თბილისში მოჭრილი ორად-ორი მეოთხედ-მოჭური, და ერთადერთი ოქროს შაური; (ჩვენამდე მოღწეული) დოკუმენტური წყაროებით კარგად ჩანს, რომ ოქროს შაურს ჭრიდნენ მინიმალური ტირაჟებით; საბუთებით ჩანს სულ მხოლოდ 282-332 ოქროს შაურის დამზადება (რეალური ციფრი, ბუნებრივია, ამაზე მაღალიც იქნებოდა, მაგრამ ემისიის მასშტაბი, პრინციპში, ნათელია).²

საკუთარ ოქროს საფასეს ქართლ-კახეთის სამეფოში, ჩანს იმდენად მცირე რაოდენობით უშვებდნენ, რომ

- პრაქტიკულად არ გვაქვს სახელმწიფოს ტერიტორიაზე მისი აღმოჩენის ვერიფიცირებული შემთხვევები (ასეთად თუ ჩავთვლით თბილისში კერძო კოლექციაში დაცული შახროჰის მეოთხედ-მოჭურის

1 ფალავა, ბიჭიკაშვილი, ჩაგუნავა, „ქართლ-კახეთის სამეფოს ოქროს საფასე (ქართული ოქროს შაურის ისტორია)“, 200-272; Paghava, „The Minting of Gold Shauris in Eighteenth Century Georgia: Monetary Evidence“, 15-17; Пагава, „Судьба золотых шаури грузинских царей Иракли II и Георги XII (опыт историко-антропологического исследования)“, 142-147, 171, 192; ფალავა, სირმა თეთრი. ქართული ეროვნული ვერცხლის საფასე, 44.

შეად. Paghava, „The Yellow Metal Coins Ascribed to Erekle II and the Fate of Georgian Dies of the 17th-18th Century“, 33-37.

2 ფალავა, ბიჭიკაშვილი, ჩაგუნავა, „ქართლ-კახეთის სამეფოს ოქროს საფასე (ქართული ოქროს შაურის ისტორია)“, 229-231.

ნომინალის ერთადერთ ეგზემპლარს, რომელიც ადგილობრივად ნაპოვნი უნდა იყოს);

- საბუთებით არ ფიქსირდება მათი მონაწილეობა ანგარიშსწორებაში (დოკუმენტებით ჩანს მხოლოდ მათი დამზადება, განაწილება და შენახვა);³
- თანამედროვეების აზრით, ქართლ-კახეთის სამეფოში საკუთარ ოქროს საფასეს საერთოდ არ უშვებდნენ (sic):

ქართლ-კახეთის სამეფოში რუსეთის იმპერიის წარმომადგენელმა, კაპიტანმა იაზიკოვმა 1770 წელს აღნიშნა:

„Деньги грузины имею свои, только выше монеты нет как в 30 копеек серебром, и по их называется абаз, а медные копейки и деньги под именем царя Ираклия делают в Тифлисе. Золотая и серебряная разная монета в Грузии есть персидская и турецкая”⁴

„ფული ქართველებს საკუთარი აქვთ, ოღონდ არ არის ვერცხლით 30 კაპიკზე უფრო მაღალი [ღირებულების] მონეტა, მათებურად კი აბაზი ჰქვია,⁵ ხოლო სპილენძის კაპიკები და დენგები მეფე ირაკლის სახელით კეთდება ტიფლისში. სხვადასხვა ოქროსა და ვერცხლის მონეტიდან საქართველოში⁶ არის სპარსული და თურქული”.⁷

როგორც ვხედავთ, ყველაზე მაღალი ღირებულების მქონედ ვერცხლის მონეტაა დასახელებული, ხოლო „საკუთარ”, ანუ ქართულ მონეტებში ოქროს მონეტა მოხსენიებული არაა.

1801 წელს რუსული ადმინისტრაციის ერთ-ერთმა თავკაცმა, გენერალ-მაიორმა ლაზარევმა მეორე რუს დიდმოხელეს, გენერალ-ლეიტენანტ კნორინგს ქართლ-კახეთში სამონეტო საქმის წარსული მდგომარეობა შემდეგნაირად დაუხასიათა:

„Царь же всегда, когда только заблагоразсудить, приказывает дѣлать монеты; золотыхъ монетъ здѣсь нѣтъ; а существуютъ серебряныя и мѣдныя”.⁸

„მეფე კი ყოველთვის, როდესაც კეთილგონივრულად ჩათვლის,

3 იქვე, 207-215.

4 დამონებულია ნიკოლოზ ქოიავას ნაშრომის მიხედვით. ქოიავა, „საქართველოს ფულის მიმოქცევა XVIII საუკუნეში”, 185.

5 „აბაზს” ახსენებს, მაგრამ 30 კაპიკად აფასებს; აბაზნახვერიანს ხომ არ გულისხმობს?

6 „საქართველოში” რუსი ავტორები, როგორც ცნობილია, ქართლ-კახეთს გულისხმებოდნენ.

7 თარგმანი ჩვენია.

8 *Акты собранные Кавказской археографической комиссией. Том I.* Под редакцией Адольфа Берге (Тифлис: Типография Главного управления Наместника кавказского, 1866), 516, №623.

ბრძანებს მონეტის მოჭრას; ოქროს მონეტა აქ არ არის; მაგრამ არსებობს ვერცხლისა და სპილენძის მონეტები”.⁹

ეს ორი მტკიცებულება კიდევ შეიძლება გადამთიელთა მიერ უცხო ქვეყნის უახლესი ისტორიისა და შიდა გარემოებების უცოდინრობას მივანეროთ, მაგრამ ამას ვერ ვიტყვი ბატონიშვილ თეიმურაზზე, ირაკლი II-ის შვილიშვილსა და გიორგი XII-ის ძეზე; თეიმურაზის მიერ მარი ბროსესადმი მიწერილ ცნობილ წერილში,¹⁰ უფრო კი, – ესევე, რომელიც ქართული ნუმიზმატიკისადმი მიძღვნილ უადრეს სამეცნიერო კვლევად უნდა ჩაითვალოს,¹¹ – ავტორი, აღწერს რა ქართლ-კახეთის სამეფოში მოჭრილ ვერცხლისა და სპილენძის საფასეს, სხვათა შორის ეხება საქართველოში მოპოვებული ოქროს ბედსაც:

„რაც ოქრო საქართველოს მადნებიდამ შემოდიოდა, იმას ჩვენი მეფეები არ აჭრევენებდენ, ამისთვის რომ რაც დასჭირდებოდათ, თავიანთთვის იარაღათ ქალისა თუ კაცისას აკეთებინებდენ თავიანთ სახლულებასაც ახმარებდენ და ვინც წყალობის ღირსნი იყვნენ, იმათაც უბოძებდენ. ეკლესიის ნივთებსაც აკეთებდენ და უფროსს ნაწილს კი ჰყიდდენ. უფრო წმინდა და კარგი ოქრო რომ იყო, ვაჭრები ძვირად ყიდულობდნენ, ზოგი ევროპიის მხარესა და ზოგს აზიის მხარეს ავაჭრებდნენ და თითონაც სარგებლობა ჰქონდათ და მეფეთა ჩვენთა და მათს ხაზინას უფრო სარგებლობა ჰქონდათ ამითი, ვინემ რომ მოეჭრათ და ისე გაეყიდნათ.”¹²

იოანე ბატონიშვილი კი თავის *კალმასობაში* „აზიელთა” ფულად სისტემას რომ აღწერს, როგორც ჩანს, საქართველოს რეალიებს/აც ეყრდნობა:

„აზიელნი ხმარობენ, ანუ სპარსნი [...] აგრეთვე ოქროსა, გარნა ამ დროში ბაჯალლუს და მისირის ოქროს უფრო ხმარობენ, ვიდრე თავისა საკუთარსა. [...]

აგრეთვე ეძახიან სააპყირანის ოქროს თორმეტ მინალთუნიანსა და სხვათა ოქროთა რომელთამე სამმინალთუნიანს და რომელთამე ნაკლებს და აგრეთვე ნაფრუზის ოქროს შაურებს, ხუთ აბაზად ფასით [...]

ქართველნიც ამსახედ ჰსჭრიან თეთრსა [ამ შემთხვევაში ავტორი ამ ტერმინით, საზოგადოდ, საფასეს გულისხმობს – ი.ფ.], გარდა რუფიისა და ოქროსა”¹³

9 თარგმანი ჩვენია.

10 თეიმურაზ ბაგრატიონი, *თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები* აკად. მ. ბროსესადმი (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო სოლომონ ყუბანეიშვილმა) (თბილისი: მეცნიერება, 1964), 38-50, №11.

11 Paghava, „Prince Teimuraz and His Essays on Georgian Sphragistics and Numismatic History (at the Dawn of National Georgian Numismatic Scholarship)”, 199-214.

12 თეიმურაზ ბაგრატიონი, *თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები* აკად. მ. ბროსესადმი (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო სოლომონ ყუბანეიშვილმა), 42.

13 იოანე ბაგრატიონი, *ხუმარსნავლა. კალმასობა. წიგნი I* (ტექსტი გამოსაცემად

საინტერესოა, რომ იოანე ბატონიშვილი ახსენებს „ნავრუზის ოქროს შაურებს“, მაგრამ, არ მიუთითებს ქართლ-კახეთის სამეფოში მათი გამოშვების შესახებ. თავის სახელმწიფოებრივი რეფორმების პროექტში, *სჯულდებაში*, იოანე იძულებითი კურსის მქონე ოქროს შაურების მასობრივად გამოშვებას გვთავაზობს:¹⁴

„ერთი მისხალი ბაჯალღუს ოქრო ანუ ისე ოქრო, მოიჭრას ექვს შაურ ნავრუზისა, და თითო შაური იყოს ფასით შავ ფულზედ ხუთ აბაზად [...]“¹⁵

ამასთანავე, შემონახული თანადროული *ოფიციალური დოკუმენტაცია*, რომ აღარაფერი ვთქვათ თავად მონეტების თუნდაც რამდენიმე ეგზემპლარად არსებობაზე, ცალსახად უარყოფს ზემომოყვანილ მტკიცებებს და ადასტურებს გაერთიანებულ ქართლ-კახეთში ოქროს მონეტის ემისიის არსებობას.

თუმცა, მიმოქცევაში კი, – თბილური ოქროს მონეტების როლი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უკიდურესაც შეზღუდული უნდა ყოფილიყო.

მაშ რა ოქროს საფასე ტრიალებდა ქართლ-კახეთის სამეფოში?

სახელმწიფოში ოქროს საფასის მიმოქცევა მოკლედ შეაჯამა იმავე თეიმურაზ ბაგრატიონმა. სწავლულმა ბატონიშვილმა დაასახელა სხვადასხვა ტიპის ოქროს მონეტა, მაგრამ ხაზი გაუსვა ქართლ-კახეთის სამეფოში ჰოლანდიური ოქროს მონეტების (დეუკატების) პოპულარობასა და გავრცელებულობას:

„ოქრო ჩვენში სრულად გოლანდიისა მუშაობდა, ვენეტიკისაცა და ოსმალისაცა უფრო ცოტა (მაგრამ ოსმალის ოქრო წმინდა არ არის და ამისთვის არ უყვარდათ ქართველებსა).“¹⁶

მომზადეს ციალა კახაბრიშვილმა, (ცოტნე კიკვიძემ), 478-479.

14 ირაკლი ფალავა, „იოანე ბატონიშვილის „სჯულდება“ როგორც წყარო ფულადი პოლიტიკის დარგში ქართლ-კახეთის სამეფოს მმართველი ელიტის აზროვნების შესასწავლად“ / Irakli Paghava, „Prince Ioane’s *Sjulseba (Code)* as a Window into the Mindset of Monetary Policymakers in the Kingdom of Kartli-Kakheti“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი. *საერთაშორისო კონფერენცია ახლო აღმოსავლეთი და კავკასია: კულტურა, ისტორია, პოლიტიკა* / G. Tsereteli Institute of Oriental Studies of the Ilia State University. International Conference THE MIDDLE EAST AND CAUCASUS: CULTURE, HISTORY, POLITICS. December 18-20 / დეკემბერი, 2025. თეზისები / Abstracts [თბილისი / Tbilisi, 2025], 30, 32.

15 იოანე ბაგრატიონი, *სჯულდება. ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი რეფორმების პროექტი* (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ივ. სურგულაძემ), (თბილისი: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1957), 9.

16 თეიმურაზ ბაგრატიონი, *თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები აკად. მ. ბროსესადმი* (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო სოლომონ ყუბანეიშვილმა), 42.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ოსმალური ოქროს მონეტა, მართალია, შეიძლება ისეთი პოპულარული არც ყოფილიყო, – მაგრამ მაინც მიმოიქცეოდა. ის საკმაოდ ხშირად მოიხსენიება გვიანდელი პერიოდის დოკუმენტურ მასალაში, თანაც, არცთუ მცირე რაოდენობით.

ასე, მაგალითად, ახტალის ოქროს გამოსავლისა და ხარჯის წიგნში (1790) ვკითხულობთ:

„[...] წყ [4 მინალთუნი და 4 აბაზი] ე. ამავე თვის იზ მის უმაღლესობას ბ ძველი სტანბოლის ოქრო მირთმევი. ამისი ფასი იქნება. [...]”¹⁷

1798 წლის საბუთში კი (მდივან-ნაზირის სვიმონის ანგარიშის გასწორების წიგნი) გვხვდება უკვე 191 (sic) „ახალი სტანბოლის ოქრო“:

„[...] მე ძმ [45 თუმანი, 3.9 მინალთუნი] ექს უზე, მარტის გ მდივან-ნაზირის სვიმონს მიეზარა ასოთხმოცდათერთმეტი ახალი სტანბოლის ოქრო მისი უმაღლესობის დარჩომილი ოქროდამ. ამისი როვ ცალი დახარჯულა თითო თორმეტ აბაზათ; თერთმეტი ცალი დახარჯულა თითო ორმინალთუნ-ორშაურად; იქნება ორისავე ჯამი ამ გაყიდული ასოთხმოცდათერთმეტი ოქროსი. [...]”¹⁸

ამ დოკუმენტში კარგად ჩანს მიმდინარე კანონიერ საფასესთან, თეთრთან, ოქროს კურსის მერყეობა; ოქრო საქონელ-ფულია.

კრედიტორის მიერ გაცემული სესხის ანგარიშის ნუსხაში (1795 წლის ახლო ხანები) სხვა ტიპის საფასესთან ერთად მოხსენიებულია ალთუნიც:

„[...] ე. კიდევ მომცა ორი ალთუნი და ერთი აბაზი, მარტყოფს რომ მივიდოდი [...]”¹⁹

17 ნიკო ბერძენიშვილი (მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა), მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. წიგნი III (აღმშენებლობა, სახელმწიფო ეკონომიკა, ქონება) (თბილისი: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1955), 97, №67.

18 იქვე, 123, №82.

19 ბერძენიშვილი (მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა), მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. წიგნი II (ვალი, იჯარა, ვაჭრობა), 117-118, №178.

საბუთებში გვხვდება ასევე ეგვიპტის, - ნომინალურად ოსმალური, de facto კი მამლუქთა – საფასეც, მისირის ოქრო. 1798 წლის ხარჯის ნუსხაში:

„[...]”
ე [5 თუმანი] ქ. კზ ამ თვეს ქრისტესია მღვდლის ხელით მარტყოფელთ შემონეული თეთრი ეშიკალასბაში გივის ხელით მომბარდა, ამაში ექვსი მისირის ოქრო იყო თითო ორ-ორ მინალთუნათ. [...]”²⁰

მისირის ოქროს მონეტები მოიხსენიება 1799 წლის მანუჩარ და სულხან თუმანიშვილების ოჯახიდან გიორგი XII-ის ბრძანებით წაღებული ნივთების ნუსხაშიც (მოღწეულია ორ საბუთად); იქვე გვხვდება ტერმინი „ბაჯალის ოქროც” (ბაჯალი, მის შესახებ იხ. ქვემოთ). ორივე ტიპის ოქროს მონეტები სამკაულის გასაკეთებლად გამოიყენეს; ეს გარემოება ხაზს უსვამს ძვირფასი ლითონის მონეტების მონეტარული ფორმიდან ნივთიერში²¹ გადასვლის სიადვილეს. აღსანიშნავია, ასევე, რომ კიდევ ერთ საბუთში, როგორც ჩანს, იმავე მონეტებს - რაოდენობა ემთხვევა - უკვე „სტანბოლის ფლური” (sic) ეწოდება:

„[...]”
კვ ქ. ბაჯალის ოქრო
კვ ქ. ყელსაბამათ ასხმული ოქრო მისირის ნახევარ-ნახევ(არი) ორმოები²²
[...]”²³

„[...]”
ქ. კვ ოქრო მისირისა ყელსაბამათ ასხმული
[...]”
ქ. კვ ბაჯალის ოქრო
[...]”²⁴

„[...]”
ქ. კვ სტანბოლის ფლური. ამის პატარა ქალის ყელსაბამად ასხმული.
[...]”²⁵

ქართლ-კახეთის სამეფოში ეგვიპტური („მისირის”) ოქროს შემოდინების

20 ბერძენიშვილი (მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა), მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. ნიგნი III (აღმშენებლობა, სახელმწიფო ეკონომიკა, ქონება), 113, №81.

21 და, საჭიროების შემთხვევაში, პირუკუ?

22 სიტყვის მნიშვნელობა ამ კონტექსტში ჩვენთვის გაუგებარია.

23 იქვე, 299, №201.

24 იქვე, 301, №202.

25 იქვე, 302, №203.

ერთ-ერთი გზა, როგორც ჩანს, ეგვიპტეში მოღვაწე ქართველი მამლუქების გზავნილები-შემონირულობა წარმოადგენდა. უცხო მიწაზე წარმატებას მიღწეულნი, სამშობლოსთან კავშირს არ კარგავდნენ და პერიოდულად მეტ-ნაკლებად არსებით თანხას გამოავაზნიდნენ ხოლმე.²⁶ ყოველ შემთხვევაში, მაგალითად, ცნობილია, რომ „მისირელს იბრეიმ ბეგს მარტყოფში²⁷ ეკლესიის აღსაშენად“ 44 თუმნის ოქრო გამოეგზავნა:

„მე რომ მიველ იბრეიმ ბეგმა მკითხაო, ისევ გომურის ეკლესიაში ჰსწირვენ მარტყოფსა, თუ სხუა გააკეთესო: მე მოვახსენე: არა, ზემოთ წის ნიკოლაოსის ეკლესია არის იქ ჰსწირვენ მეთქი, და მიბრძანა: დედა ჩემსა ხომ იქ ასვლა არ შეუძლიან და რა უნდა ქნასო! მას უკან მკითხა – რუსთუჭლი ვინ არისო. მე მოვახსენე – ენისელთ მოურავის შვილი კირილე არის მეთქი, მერე მიბრძანა: მე გავგზავნი ცოტას რასმე თეთრსა ევკლესიისათვის, რომ ეკლესია ააშენონო, და გამოატანა ჩემს სიძეს ბერუაშვილს გოგიას ორასი ოქრო, რელიც კირილე რუსთუჭლს მიერთვა“²⁸

ციტირებული საბუთები ქართლ-კახეთის სამეფოს არსებობის ბოლო პერიოდს / ათწლეულს მიეკუთვნებიან. თუმცა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ოსმალური ოქროს საფასე ქართლსა და კახეთში უფრო ადრეც მიმოიქცეოდა. ლოგიკური იქნებოდა გვეფიქრა, რომ საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში მისი შედარებით ინტენსიური შემოსვლა ოსმალობას (1723-1735) მოჰყვა.

გარდა ოსმალურისა, ქართლ-კახეთის სამეფოში, ირანული ოქროს საფასეც ტრიალებდა. თუმცა, რთული სათქმელია, რამდენად მაღალი იყო მისი ხვედრითი წილი. მაგალითად, 1779 წელს შედგენილ, ლეონ ბატონიშვილის ხარჯის ნუსხაში გვხვდება „ხუის ოქრო“ (უნდა იგულისხმებოდეს ქ. ხოის ოქროს საფასე):

„[...] ა ყ [ერთი თუმანი და ოთხი აბაზი]	ქ. დ: ხუის ოქრო ბატონის რძალს მივართვი.
ჩ [ერთი მინალთუნი]	ქ. ოქროები რომ დავახურდავეთ და(ა)კლდა.
[...]” ²⁹	

26 ამ ძვირფასი ცნობის მოწოდებისა და ლიტერატურის მითითებისთვის მადლობას მოვახსენებთ კოკი ფერაძეს.

27 შეიძლება შემთხვევითი როდი იყოს, რომ 1798 წლის საბუთში (vide supra) სწორედ მარტყოფელები მოიხსენიებიან.

28 Валериан Мачарадзе, *Грузинские документы из истории русско-грузинско-египетско-эфиопских отношений 80-х годов XVIII века* (Тбилиси Издательство Тбилисского университета, 1967), 54-55.

29 ნიკო ბერძენიშვილი (მასალები შეარჩია და გამოსცა), *მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. წიგნი I (ხელფასი, ქირა, ფასები)* (თბილისი: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1938), 67, №335.

კიდევ ერთ ანგარიშის წიგნში, რომელიც, სავარაუდოდ, XVIII საუკუნის დასასრულით თარიღდება, მოხსენიებულია „ყიზილბაშური ფლურები“, სულ ორი თუმნის (= 100 აბაზის) ღირებულების (სამწახაროდ, არ არის მითითებული მათი რაოდენობა, რაც შესაძლებლობას მოგვცემდა მათი კურსი დაგვედგინა):

„[...]
ქ. ომან თარხნის-შვილისათვის გამოეტანებინა ორი თუმნის ყიზილ-
ბაშური ფლურები. ერთი ფლური ჩემი კაცის ხელით გამოეგზავნა, რომ
ვთხოვე, სხვა არაფერი.
[...]”³⁰

ვარაუდით, ირანული (ასე ვთქვათ, *ყიზილბაშური*) ოქროს საფასის როლი ქართლ-კახეთის სამეფოში მაინც შედარებით შეზღუდული იქნებოდა; ამას გვაფიქრებს 1) ადგილობრივ საბუთებში მისი მოხსენიების იშვიათობა; 2) საზოგადოდ, ეპოქის ირანულ სამონეტო სისტემაში ოქროს საფასის როლის შეზღუდულობა.

ქართლ-კახეთის სამეფოში რუსეთის იმპერიის ოქროს საფასეც ტრიალებდა; საუბარია *იმპერიალებზე*, - 1764-1796 წლების ოქროს, ნომინალურად 10 რუბლის ღირებულების მსხვილნონიან მონეტაზე, საერთო ლიგატურული მასით 13.09 გ, და ოქროს შემადგენლობით 12.0 გ.³¹ ადგილობრივად მათ მიმოქცევას (1770-იან წლების დასაწყისში) ადასტურებს ირაკლი II თავის წერილში ანტონ მოურავოვისადმი (1770 წელს), და გიულდენშტედტი (1771-1772 წლების დროინდელი დაკვირვება):

„[...] შენს ბრწყ. ჩვენთვის ეკითხა – მ. დიდ-ბის ოქრო და ვეცხლი როგორ იხარჯება გამომიცხადეო. ჩვენ ესე განვაცხადებთ შენს ბრწყინვალეობისადმი: რომელიც იმპერიალი არის მ. დიდ. ის ერთ თუმნად იხარჯება დაუყოვნებლად [...]”³²

„Rußische Imperiale, geor. Tumani werden gern genommen.”³³

30 ბერძენიშვილი (მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა), *მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. წიგნი III (აღმშენებლობა, სახელმწიფო ეკონომიკა, ქონება)*, 322, №215.

31 Василий Уздеников, *Монеты России. 1700-1917* (Москва: Финансы и статистика, 1985), 410.

32 Александр Чагарели (под редакцией), *Грамоты и другие исторические документы относящиеся к Грузии. Том II, Выпуск I. Грузинские тексты с 1768 по 1801 год* (СанктПетербург: Типография Императорской Академии Наук, 1898), 37; ქოიავა, *ფულის მიმოქცევა, კრედიტი და ფინანსები XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში*, 71.

33 იოჰან ანტონ გიულდენშტედტი, *გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტომი პირველი* (გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა) (თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1962), 236.

„რუსულ იმპერიალს, ქართულად „თუმანი“, ხალისით იღებენ“³⁴

ქართლ-კახეთის სამეფოს არსებობის ბოლო პერიოდისთვის იდენტურ ცნობას იძლევა თეიმურაზ ბატონიშვილიც:

„ათი მონეტა ანუ ათი მინალთუნი ერთი თუმანი არის, ანუ ერთი იმპერიალი (თუმან სპარსული სახელი არის).“³⁵

ეპისტოლურ-ნარატიულის გარდა, მოიძებნება დოკუმენტური და-დასტურებაც: 1798 წლით დათარიღებულ გიორგი XII-ის ხარჯის ნუსხაში მოიხსენიება „ხარჯებათ მობარებული“ 14 „ენპერალია“:

„[...] ქ. მარტის იგ საიმტვერ(ი)ოსათვის და სხვა ხარჯებათ მომბარდა ენპერალია იდ – იე წ [15 თუმანი და 4 მინალთუნი] [...] [...]“³⁶

რუსული ოქროს საფასის შემოსვლის ინტენსიფიკაცია არ უნდა იყოს გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ რუსეთის იმპერიასთან ქართლ-კახეთის სამეფოს კავშირების გაღრმავებას.

ქართლ-კახეთის სამეფოში, ბუნებრივია, ევროპული ოქროს საფასეც შემოდოდა, და ძალიან მნიშვნელოვან ეკონომიკურ როლსაც ასრულებდა. თეიმურაზ ბატონიშვილის თქმით,

„ოქრო ჩვენში სრულად გოლანდიისა მუშაობდა, ვენეტიკისაცა [...]“
კი „უფრო ცოტა“.³⁷

იოანე ბატონიშვილი კი სწორედ ვენეციურ ოქროს მონეტას აქებდა:

„[...] უმჯობესი არს [...] ხოლო ან სინმინდით და კარგის ფერით – ვენეტიკისა“³⁸

რა დასკვნის გამოტანა შეიძლება დოკუმენტური პირველწყაროებიდან? დოკუმენტებსა და სხვა ტიპის წერილობით წყაროებში საკმაოდ ხშირად

34 იქვე, 237.

35 თეიმურაზ ბაგრატიონი, *თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები* აკად. მ. ბროსესადმი (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო სოლომონ ყუბანიევილიმა), 41.

36 ბერძენიშვილი (მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა), *მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. წიგნი III (აღმშენებლობა, სახელმწიფო ეკონომიკა, ქონება)*, 112, №81.

37 თეიმურაზ ბაგრატიონი, *თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები* აკად. მ. ბროსესადმი (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო სოლომონ ყუბანიევილიმა), 42.

38 იოანე ბაგრატიონი, *ხუმარსნავლა. კალმასობა. წიგნი I* (ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს ციალა კახაბრიშვილიმა, ცოტნე კიკვიძემ), 477.

გვხდება ორი ტიპის, ჩანს, ევროპული ოქროს მონეტა - იალდუზი (იალდუზის ფლური) და ბაჯალლი/უ/ო (ბაჯალლის ფლური).

საყურადღებოა, რომ იალდუზი ხშირად მოიხსენიება ისეთ ოფიციალურ საბუთში, როგორცაა ახტალის ოქროს გამოსავლისა და ხარჯის წიგნი (1790):

„[...]

ოდ0 ქ. ა ბარათით მეფეს მირთმევია ოქრო მისხალი. ამავე ბარათით თეთრი მირთმევია ვ ჯ [ექვსი თუმანი და შვიდი მინალთუნი], საფერავათ იალდუზას ფლური ბ - ჯუ (რვა მინალთუნი და ორი აბაზი).

[...]

ცრ [ორი მინალთუნ-უზალთუნი] ქ. 0 იალდუზის ფლური თამაროვის ქარქაშის [აკლია ორი-სამი სიტყვა]. ოქრომჭედელს მისცემია.

[...]

ჯუ [რვა მინალთუნი და ორი აბაზი] ქ. იმერელ მეფისათვის გასაგზავნათ სასწრაფოს მასრებისა და ყანმების დასაფერავათ ლაზარე ოქრომჭედელს მისცემია იალდუზის ფლური ბ. ფებერვლის ე.

ა ცქ [12 მინალთუნი და 3 აბაზი] ქ. გ იალდუზის ოქრო საფერავათ ისაია ოქრომჭედელს მისცემია, აპრილის ით.

ცრ [ორმინალთუნ-უზალთუნი] ქ. 0 იალდუზის ფლური უნაგირის ფოლაქების საფერავათ ნონე მოლარის ხელით დახარჯულა, მარიამობის ლა.

[...]

ა [თუმანი] ქ. ა ბთი ოქრომჭედელი გურგენას მისცემია საფერავათ იალდუზის ოქრო ბ - ჯ [8 მინალთუნი], ჯვისა, კავშირისა და გული ბაჭარი-სათვისაც მისცემია ც [2 მინალთუნი]. იქნა ორისავე ჯამი, დეკენბერს კბ.

[...]

ე ჯ [5 თუმანი და 8 მინალთუნი] ქ. ღვინობისთვის ა ბატონის რახტების დასაფერათ ოქრომჭედლებს მისცემიათ იალდუზის ფლური იდ, ამისი ფასი ე ხ [5 თუმანი და 6 მინალთუნი]. ჯვისათვისაც მისცემია ც [2 მინალთუნი], იქნება.

[...]

ც [2 მინალთუნი] ქ. თიბათვის იე მეფის ოქროს ღილების დასაფერათ დათოა ბარამის-შვილს მისცემია ა იალდუზის ოქრო.

[...]

ც [2 მინალთუნი] ქ. მარტის ია მის უმაღლესობის ხანჯლის დასაფერავათ 0 იალდუზის ფასად გაბრიელ ოქრომჭედელს მისცემია.

[...]

ზ ჭუ [7.5 თუმანი და 2 აბაზი] ქ. ქ'კს უოა, ღვინობისთვის იღ ნანერი ოქროს ბარათში მის უმაღლესობას მირთმევია ნალდი ვ ჯ [6 თუმანი და 7 მინალთუნი], იალდუზიც მირთმევია ბ - ჯუ [8 მინალთუნი და 2 აბაზი], იქნება

[...]³⁹

როგორც ვხედავთ, საბუთში მოიხსენიება „იალდუზი“, „იალდუზის

39 ბერძენიშვილი (მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა), მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. წიგნი III (აღმშენებლობა, სახელმწიფო ეკონომიკა, ქონება), 87, 92-93, 95-97, 99-100, №67.

(იალდუზას) ფლური”, ან „იალდუზის ოქრო”.

ტერმინი *ფლური*, საზოგადოდ, დუკატური (დუკატის ნონის) ოქროს მონეტის აღსანიშნავად გამოიყენებოდა.⁴⁰ არ იქნებოდა მართებული *ფლურში* რომელიმე ერთი კონკრეტული საფასე გვეგულისხმა.

ასე მაგალითად, ძალიან ხშირად გვდება არა *იალდუზის ფლური*, არამედ *ბაჯალლის ფლური*, ან, *ბაჯალლის ოქრო*, ან, *უბრალოდ, ბაჯალლი*.

1800 წლის 31 მაისის საბუთის მიხედვით, სახელმწიფოს / მეფის კუთვნილი (ალავერდის?) სპილენძს ყიდიან სწორედ *ბაჯალლის ფლურზე*:

„ქ. ბატონს მირთმევია, სოლომან მინბაშისა და დავითა კვეზერელის ხელით, ბაჯალლის ფლური ჟ, ამისთვის გასყიდულა ბათმანი ჟ.”⁴¹

გიორგი XII-ის მიერ 1799 წელს მიცემული „თამასუქი” ადასტურებს, რომ მონარქს ქვეშევრდომებისგან (იოანე და სოლომონ ბეგთაბეგისშვილებსგან) „ნასესხები” აქვს საკმაოდ მოზრდილი თანხა, 1,250 *ბაჯალლის ოქრო* (და 3,000 ალთმიშლული⁴²):

„ქ. ჩვენ, მეფემ გიორგიმ, გიბოძეთ ეს წიგნი შენ, ბეგთაბეგის-შვილს მდივანს იოანეს და შენს ძმისწულს სოლომონს, ასე რომ ჩვენ ჯარი მოვიყვანეთ ლეკისა და იმის მისაცემად დაგვჭირდა. შენ გამოგართვი ათასორასორმოცდაათი ბაჯალლის ოქრო და სამი ათასი ალთმიშლული. ეს ჩვენ დავხარჯეთ. იყავ. ამას შენ არ დაგიკარგავთ და საიდამაც იქნება შეგისრულებთ.

აპრილის ვ, ქკს უპზ.”⁴³

50 *ბაჯალლის ოქრო* მოიხსენიება ძმები მანუჩარ და სულხან თუმანიშვილების 1799 წელს დანერილ გირაოების ნუსხაშიც:

40 რევაზ ქებულაძე, *ვერობული მონეტების მიმოქცევა საქართველოში XV-XVIII საუკუნეებში* (თბილისი: მეცნიერება, 1971), 13-17, 35-39.

41 ბერძენიშვილი (მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა), *მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. წიგნი III (ალმშენებლობა, სახელმწიფო ეკონომიკა, ქონება)*, 134, №90.

საყურადღებოა, რომ სპილენძით სხვა ხარჯებსაც ისტუმრებენ. აქედან ნაბიჯილაა დარჩენილი იოანე ბატონიშვილის შემოთავაზებამდე, - დიდნონიანი სპილენძის მონეტები და ფულის სახით ზოდებიც კი გამოეშვათ. იოანე ბაგრატიონი, *სჯულდება. ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი რეფორმების პროექტი* (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ივ. სურგულაძემ), 10; ფაღავა, „იოანე ბატონიშვილის „სჯულდება” როგორც წყარო ფულადი პოლიტიკის დარგში ქართლ-კახეთის სამეფოს მმართველი ელიტის აზროვნების შესასწავლად” / Paghava, „Prince Ioane’s *Sjuldeba* (Code) as a Window into the Mindset of Monetary Policymakers in the Kingdom of Kartli-Kakheti”, 31-33.

42 ამ ნომინალს შემდეგ თავში განვიხილავთ.

43 ბერძენიშვილი (მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა), *მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. წიგნი II (ვალი, იჯარა, ვაჭრობა)*, 139, №191.

ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს 1798 წლის 11 იანვრით დათარიღებული ირაკლი II-ის ქონების ნუსხაც; მასში ოქროს მონეტები დეტალურად არის ჩამოთვლილი; საბუთის სრული ტექსტი ქვემოთ მოგვყავს, აქ კი დავჯერდებით იმის აღნიშვნას, რომ ნუსხაში მოიხსენიება როგორც 438 „ბაჯალის ოქრო“ (ცალ-ცალკე 435 და 3), ასევე 40 „იალდუზის ოქრო“.

მაშასადამე, მტკიცდება, რომ ბაჯალლი და იალდუზი ორივე ოქროს, მაგრამ ერთმანეთისგან განსხვავებულ, სავარაუდოდ განსხვავებული წარმომავლობის მონეტას წარმოადგენს. სადაურ და როგორ მონეტას აღნიშნავს ეს ორი ტერმინი - ბაჯალლი და იალდუზი?

ძველი თბილისის ბრწყინვალე მცოდნესა და მკვლევარს, იოსებ გრიშაშვილს საათნოვასადმი მიძღვნილი წიგნისადმი თანდართულ ლექსიკონში „იალდუზი“ შემდეგნაირად აქვს განმარტებული:

„საუკეთესო ოქრო, ბეჭედდაუკვრელი, შეურეველი, თავანკარი და ხალასი. იალდუზზედ კარგი ოქრო არ არსებობს, არც ბაჯალლოა ამაზედ მაღალი. ბ ა ჯ ა ლ ლ ო კი საკუთრივ ჰოლანდიურ ოქროს ფულს ჰნიშნავს, რომელზედაც ბაჯალლუ, ე.ი. გრძელფეხებიანი კაცია დახატული.“⁴⁸

ქალაქურ ლექსიკონში კი იოსებ გრიშაშვილი „ბაჯალლო“-ს ასე ხსნის:

„მაღალხარისხოვანი ოქრო. ბაჯალლუ, ჰოლანდიური ფული. ბ ა ჯ ა ლ ლ ო ო ქ რ ო - ნამდვილ ოქროზე უფრო წმინდა და ხალასი ოქრო.“⁴⁹

ბაჯალლი ნამდვილად ნიდერლანდულ დუკატს აღნიშნავს. სიტყვა ბაჯალლი ქართულში (ოსმალური) თურქულიდან არის შემოსული: „ბაჯაკ“ / „ბაჯაყ“ (باجاق, *baçaq*) *ფეხს*, ბარძაყს აღნიშნავდა, ხოლო თვისების აღმნიშვნელი სუფიქსი „-ლი“-ს თანდართვით კი მიიღეს სიტყვა ბაჯაყლი, ფონეტიკური ტრანსფორმაციით – ბაჯალლი, რაც, სიტყვა-სიტყვით, *ფეხიანს* ნიშნავს, გადატანითი მნიშვნელობით, - *გრძელფეხებას*, *აყლაყუდას*. ამ ტერმინით აღნიშნავდნენ სწორედ ნიდერლანდულ დუკატებს, რომელზედაც ტრადიციულად მართლაც საკმაოდ გრძელფეხება რაინდს გამოსახავდნენ.⁵⁰ შემდგომი ფონეტიკური გარდაქმნით ბაჯალლი გადაიქცა ბაჯალლო-დ, მაგრამ XVIII საუკუნის საბუთებში ჯერ კიდევ გვაქვს „ბაჯალლი“ ან „ბაჯალლუ“.

იალდუზიც თურქული (ოსმალურ თურქული) ტერმინი ჩანს: „ალდიზ“ (يالدیز, *yaldiz*) ბრწყინვალეს, ბრჭყვიალას, ოქროსფერს, ოქროთი დაფარულს აღნიშნავდა.⁵¹ ქართულში ფონეტიკური გარდაქმნით ალდიზ გადაიქცა იალდუზ-ად.

48 იოსებ გრიშაშვილი, *საათნოვა და ძველი ტფილისი* (ტფილისი: ქართველთა ბეჭდვითი ამხანაგობა, 1918), 129.

49 იოსებ გრიშაშვილი, *ქალაქური ლექსიკონი* (საარქივო მასალა) (თბილისი: სამშობლო, 1997), 47.

50 ვახო ელერდაშვილი, Facebook-პოსტი. 1 მაისი, 2022 წ. ნანახია 13 მაისს, 2022 წ. (<https://www.facebook.com/groups/455688128924428/user/1051480269/>)

51 „Yaldız”, *Wiktionary*. Retrieved on 4 December, 2025 (<https://en.wiktionary.org/>)

მაგრამ რა ოქროს მონეტას აღნიშნავდა ეს ტერმინი? ოსმალურს? იოსებ გრიშაშვილი იცნობს ტერმინს, მაგრამ არ იცის ამ ოქროს მონეტის სადაურობა. ზემოთ დავინახეთ, რომ საბუთებში მოიხსენიება *სტანბოლის ოქრო*, *მისირის ოქრო*, *ახალი და ძველი სტანბოლის ფლური*. იქნებ იალდუზიც რაიმე ტიპის ოსმალურ ოქროს საფასეს აღნიშნავს?⁵²

ვთვლით, რომ იალდუზი ევროპულ, და არა ოსმალურ (თუ ირანულ, ანდა რუსულ) ოქროს საფასეს აღნიშნავს. ყოველ შემთხვევაში, 1798 წლის 11 იანვრით დათარიღებულ ირაკლი II-ის ქონების ნუსხაში, ანუ, ერთსა და იმავე საბუთში მოიხსენიება როგორ „ახალი სტანბოლის ოქრო“, ასევე „იალდუზის ოქროც“.⁵³ მიუხედავად თურქული ეტიმოლოგიისა, ტერმინი იალდუზი ოსმალეთის იმპერიის დედაქალაქში (ან სხვა ცენტრში) მოჭრილ საფასეს არ უნდა წარმოადგენდეს. ჩვენი აზრით, იალდუზი აღნიშნავდა დუკატური წონის ვენეციურ ოქროს მონეტას, ვენეციურ ცეხინს. ამას გვაფიქრებს თუნდაც ის გარემოება, რომ „ვენეტიკის“ ოქროს მონეტები ქართულ საბუთებში არ ჩანს, მიუხედავად აღმოსავლეთში მათი, საზოგადოდ, ფართო გავრცელებისა და თეიმურაზ ბატონიშვილის მოწმობისა. ეს იმიტომ, რომ ამ ტიპის საფასე, ჩვენი აზრით, იალდუზის ნიღბის ქვეშ იმალება.

იოანე ბატონიშვილი თავის *კალმასობაში* პირდაპირ განმარტავს იალდუზის წარმომავლობას:

„ოსმალთა სახელმწიფოთა შინა ხმარობენ [...] აგრეთვე ვენეტიკის ოქროსა ანუ იალდუზს და ბაჯალლუსაც ხმარობენ“⁵⁴

იალდუზისა და ვენეციური ცეხინის იდენტიობას ადასტურებს ქართლ-კახეთის სამეფოში მოღვაწე აშულის, თბილისელი კაცის, საათნოვას⁵⁵ შემდეგი ლექსიც:

„ვენეტიკის იალდუზო

მე შენთან სიყვარული მაქვს მეტათ დიდი ხანია,
ვერცხლო, უწინდელი ხარ, ოქრო დაგიბანია,
კბილები მარგალიტს გიგავს, ოქროთ დაგიმანია,
სულ ქვეყანას აჩრდილებს შენი ტურფა ტანია.

52 როგორც ჩანს, ასე ფიქრობდა მერი ანთაძე. მერი ანთაძე, *საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობა XV-XVIII საუკუნეებში ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით* (თბილისი: მეცნიერება, 1982), 130.

53 ბერძენიშვილი (მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა), *მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. წიგნი III (აღმშენებლობა, სახელმწიფო ეკონომიკა, ქონება)*, 277-278, №188.

54 იოანე ბაგრატიონი, *ხუმარსწავლა. კალმასობა. წიგნი I* (ტიქესტი გამოსაცემად მოამზადეს ცილა კახაბრიშვილმა, ცოტნე კიკვიძემ), 479.

55 მის შესახებ იხ. ალექსანდრე ფოცხიშვილი, *საიათნოვა — ლეგენდები და სინამდვილე* (თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1990).

ტურფა სახე დამანახე, თუ რომ ჩემი ღარი ხარ,
იზმირშია გამოვლილო, გაზაფხულის ქარი ხარ,
ვენეციკის იალდუზო, ტურფად გადამდნარი ხარ,
ოქროს წყალით დაფერილო, ზედ გაქვს ზარნიშანია.

შენი ნახვის ნატრული ვარ, ყოველთვის ვზივარ, ვტირი.
სიტყვა-პასუხი კარგი გაქვს, გაშვენებს ოქროს პირი,
შველი ხარ თუ ჯერანი ხარ, გენაცვლოს ველთ ნადირი,
ჩემისთანა მონადირე ბევრი წაგიყვანია!

არ მიყვარს ორგული ღარი, ნაფიცი მითქვამს თობა!
რასაც ფერს ზარბაბს ჩაიცვამ, ტანში გამოგენყობა!
რა წამსაც მომაგონდები, პირწყალი დამემშრობა,
საათნოვა ყმაა შენი, სურვილს აუყვანია!”⁵⁶

ვფიქრობთ, იალდუზის ვენეციური წარმოშობა შეიძლება დამტკიცე-
ბულად ჩაითვალოს.⁵⁷

დეკატური მონეტის – ვენეციური იქნებოდა ის თუ ნიდერლანდული
– წონა და სინჯი მეტ-ნაკლებად სტანდარტული იყო, ამიტომ გასაკვირია,
რომ ზოგიერთ შემთხვევაში⁵⁸ მაინც, ისინი სხვადასხვანაირად ფასობდა
(შესაძლოა, ნაკლებად შეფასებულ ოქროს მონეტებს ცვეთის გამო ნაკ-
ლები წონა ჰქონდათ?). გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც საბუთის
შემდგენელი/შემდგენლები არ თვლიან საჭიროდ მიუთითონ, *დეკატური
მონეტა* (– *ფლური*) სადაურია. ასე, მაგალითად, 1771 წლის ბატონიშვილ
ლეონის ხარჯის ნუსხაში ვკითხულობთ:

„ქვს უნთ იანვრის გ ამდენს, ბატონისშვილს ლეონს ამირაღას შვილ-
მა თამაზამ ოთხის ფლურის მაგიერათ რვა მინალთუნი და ოთხი აბაზი
მოართო. [...]”⁵⁹

(პალეოგრაფიულად) XVIII საუკუნის შუახნით დათარიღებულ ერთ
დოკუმენტში კი ფლური აღნიშნავს მონეტასაც, და, ასევე, (ოქროს) ნივთის
ღირებულებასაც (თუ, მაინც, წონის?):

„[...] არაგვის ერისთავს ერთი ოქროს თასი სამოცი ფლურისა, [...]”

56 მედულაშვილი (კრებული შეადგინა, სამივე ენაზე ტექსტების რედაქცია გასწია, სომხური და აზერბაიჯანული ლექსები ქართულად თარგმნა, წინათქმა და ლექსიკონი დაურთო), *საათნოვა*, 45.

57 ლოგიკური ჩანს „იზმირში გამოვლის” მოხსენიებაც – ეს ქალაქი ხმელთაშუა ზღვაზე ოსმალეთის იმპერიის საგარეო ვაჭრობისთვის განკუთვნილ ერთ-ერთი ძირითად პორტს წარმოადგენდა. ვენეციური ოქროს საფასე ოსმალთა იმპე-
რიაში, ამკარად, აქედანაც შემოედინებოდა.

58 თუნდაც იმავე მანუჩარ მდივნისა და თარხან-აღას შვილის დავითას ან-
გარიშის წიგნში (XVIII საუკუნის დასასრული) – *vide supra*.

59 ბერძენიშვილი (მასალები შეარჩია და გამოსცა), *მასალები საქართველოს
ეკონომიური ისტორიისათვის. წიგნი I (ხელფასი, ქირა, ფასები)*, 5, №327.

ქ. შვიდი ფლური პაპუნა ციციშვილმა.

[...]

ქ. ქალაქის სასახლე შემხუთა ერთი, ცხრა ფლურ(ი) ფირან მოურავ-
მა, ხუთი ფლური იმისმა ძმამ გამომართვა, ორი ფლური აღრინტალამ
იმასთან შუამავლობისთვის...⁶⁰

ზემოთ განხილული საბუთებით აშკარა ხდება, რომ ქართლ-კახეთის
სამეფოს სამონეტო ბაზრისთვის არ იყო დამახასიათებელი მხოლოდ ერთი
რომელიმე ტიპის ოქროს მონეტის დომინირება; ერთდროულად ტრიალებ-
და სულ სხვადასხვანაირი წარმომავლობის, წონის (და სინჯის) ოქროები.

ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ანტონ კათალიკოსის 1793
წლით დათარიღებული ანდერძი, რომელშიც ნაირნაირ ოქროს მონეტას
ვხვდებით; - ფლურს (ფრულს, ყვითელ ფრულს), ბაჯაღლის, იმპერიის
ფრულს,⁶¹ მისირის ფრულს:

„ჩუ'ასი მარჩილი ტომსიკათი არის ფლურებიანათ, და ფლურები
დანიელს აბარია ამ ანგარიშისაა:

ცხრა ფრული, ერთი მე მაქუ'ს თანა, და ოთხი ყვითელი ფრულით
მიტროფანეს აბარია: [...]

შე მთავარ ეპისკოპოსი ანტონი ვიტყვი ანდერძსა ამას თქვენდა
მომართ ჩემო მოძღუარო ჩიგოგიძე, მღუდელ-მონაზონო დავით, და
ლაზარე მღუდელს ჩხეიძე, და ჯვარის მტვირთელო მღუდელო ჩხეკელო
იოანე, რვაასი მარჩილი ჩემი ნაღვანი არის და მოგებული და არარა სხვისა
ურევია რა, ზოგი წიგნები მქონდა ნასყიდი და მისი ფასი არის, და ზოგი
რომელიმე სხუ'ა შემატებულია ისეც ჩემი ნაღვანი არის: შა ამას თქუ'წნ
გარნმუნებ და გევედრები-ყე რომ კეთილად მოახმაროთ ჩემს სულს და
ურიგოთ არ გააბნიოთ და დამიკარგოთ. ქუთასი მარჩილი და ცოტაოდენი
მეტიც არის. შატარა წითელს კოლოფში არის პარკებით დაბეჭდილი
ჩემის ბეჭდით. იმაში სძევს, და სხუ'ა კიდევ ოცდაცხრაამეტი ბაჯაღლი,
ორი იმპერიის ფრული, და სამი მისირის ფრული, და სხუ'ა რაოდენიმე
ნაშალი ფული, მაღლაფერიძეს დანიელს ებარა, და ახლა მიტროფანეს
აქუს, და ნაშალი რამდენი რამე იყო მე არ მახსოვს. შა ესე არს ჩემ მიერ
ნაღვანი და ნაშრომი, და სხუ'ა ამას გარდა წიგნები თუ ვეცხლეულობა,
თუ სამღუდელოს მსახურების ნივთები, თუ ჭამის იარაღები ვეცხლისა
თუ სპილენძისა, ამა ზემო სწერია.

ჩუ'ასი მარჩილი ამ სამ კაცს აბარია, რავარც ზემოთ სწერია წიგნებ-
ის აღრაცხუ'ას გარდა წიგნების აღრიცხვითგან რაც არის წიგნებიანათ
ესენი თქუ'წნ არ გაბარია ჯერ და მე მაქუს შენახული:

შა თუ ვინ იცის მივიცუ'ალო როდისმე ამიერ სოფლით თქვენ იცით
და თქვენმა ნამუსმა და ღუთის მსახურებამ რავარც კეთილად განაგებთ
და გაირჯებით ჩემის სულისათვის. თუ უცნაურათ მივიცუ'ალო და თქვენ
დაგრჩეს და გებაროს ეს ჩემი მონაბარები. და თუ არ მივიცუ'ალო არ

60 ბერძენიშვილი (მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა), მასალები
საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. წიგნი III (აღმშენებლობა, სახელ-
მწიფო ეკონომიკა, ქონება), 174-175, №137.

61 იგულისხმება რუსეთის იმპერიის იმპერიალი? თუ ევროპული – საღვთო
რომის იმპერიის მონეტა?

დამიკარგოთ. ჩემს სიცოცხლეში სანამდის გეზაროსთ ამ სამ კაცსა, და თუ გამოგაბაროთ-ყე როდისმე, ჩემს სიცოცხლეში რავარც მენებოს ისე განვიგო, ნიგნები ვიყიდო ნიგნის ფასით თუ სულიერად მოვიხმარო და განვიგო სულისა ჩემისათვის, და თუ არასდა ნიგნებს გარდა, ოქრო და ვეცხლი რაც გეზაროსთ-ყე, და ამას ქვემოთ ვიანდერძებ და მოგახსენებ-ყე ესრეთ გამიგეთ და ნუ დამიბნევთ ქრისტეს გულისათვის ვაგლახათ არავის დაანებოთ რომ დააბნიოს ვინმემ, და სულიერად არ მომახმაროს ვინმეს ქრისტესთან პასუხი თქვენ მომეცით მეორედ მოსვლასა.”⁶²

მსგავსი სურათია 1798 წლის 11 იანვრით დათარიღებულ ირაკლი II-ის ქონების ნუსხაშიც. მეფის განკარგულებაში ნაირნაირი ოქროს მონეტებია, სხვადასხვა რაოდენობით დაგროვებული. მონეტების (დასახელებათა) ასორტიმენტი ბევრად უფრო ფართოა: *რუსის იმპერელია ოქრო, ფრანგის ძველი სიქის ოქრო, საბყრანი ოქრო, ბაჯალლის ოქრო, ახალი სტანბოლის ოქრო; რამის(?) ოქრო, იალდუზის ოქრო, თავრიზის ოქრო, კონსტანდინე ჯელმნიფის ფოსო ოქრო*. ზოგიერთი ტიპის საფასე, ამკარად, *ფინანსურ რეზერვს* შეადგენს; ზოგიერთი კი, იქმნება შთაბეჭდილება, უბრალოდ ერთგვარ, თანაც ძვირფასი ლითონის *საკვირველებას* წარმოადგენს და უფრო ამ სტატუსით ინახება:

„ლთით, ქკს უპვ, იანვარს ია კვირა დღეს რაც მისის უმაღლესობის ყუთებში ნივთი იყო მისის უგანათლებულესობის ბატონის-შვილის ვახტანგის იქ ბძანებით, ბატონის-შვილის ქეთევანის დასწრებით და ამა თანხლებით ენისელთ მოურავის-შვილის თამაზისა, მდივან-ნაზირ სვიმონისა, ბარამის-შვილი დავითისა და წყნარისახარისა, წერეთელი გლახასი და მე, მდივანი იოანეც, იქ ვახლდი, ამათი დასწრებით, რაც იყო, ამას ქვემოთ დაინერება

კე ქ. ერთ პარკში რუსის იმპერელია ოქრო ოცდაცხრამეტი. ამისი თოთხმეტი მდივანს იოვანეს ხარჯათ მიეცა. დარჩა.

ბ ქ. ამავე პარკში საბყრანი ოქრო ორი.

ა ქ. ამავე პარკში საბყრანი ოქრო კიდევ ერთი.

ი ქ. ამავე პარკში ფრანგის სიქის ძველი ოქრო ათი, რომ ამ ოთხის კალმის ფუსულა შიგა ძევს.

ქ. მეორე პარკში იყო ოთხას ოცდა თხუთმეტი ბაჯალლის ოქრო. ამ ოქროსი სამ დაფათ მდივანე იოვანეს ნეტარადხსენებულის ხარჯათ მისცემია სულ.

მესამე პარკში არის ახალი სტანბოლის ოქრო ას ოთხმოდცა თერთმეტი. ეს სრულებით მდივან-ნაზირ სვიმონს მიჰბარდა სანირავებისა და სხვა-ფრივ ხარჯათ.

რკ ქ. მეოთხე პარკში არის რამის(?) ოქრო ას ოცი. ფუსულაც პარკში ძევს.

ლვ ქ. მეხუთე პარკში იალდუზის ოქრო არის ორმოცი, ფუსულა შიგა ძევს. ამისი ოთხი საფერებლათ წყნარისახარს მიჰბარდა. დარჩა.

62 ანტონ II, *ანდერძი ანტონის II საქართველოს კათალიკოსისა* (გამოცემული დიმიტრი ფურცელაძისაგან) (ტფილისი: ევფთიმე ხელაძის სტამბა, 1890), 13-14.

ქ. მეექვსე პარკში არის ბაჯალლი ოქრო გ, საბყრანი ა, თავრიზის ოქრო ბ, ნახევარი და მთელი სხვადასხვა სიქის ოქრო იბ. იქნა სულ თვრამეტი. ოქროს ღილისა იყო თ. ფუსულა გარჩევით შიგა ძეგს.
ქ. ა ქალაღში ახვევია ია კონსტანდინე ჯელმნიფის ფოსო ოქრო.”⁶³

იქმნება შთაბეჭდილება, რომ ეს ირაკლი II-ს ნუმიზმატიკური კოლექციაა, თავად მონარქი კი სულ პირველი გამოვლენილი ქართველი კოლექციონერი-ნუმიზმატიკი გამოდის.⁶⁴ „კონსტანდინე ჯელმნიფის ფოსო ოქრო”, თუნდაც 11 ცალის რაოდენობით დაგროვილი, ჩვენი აზრით, XI საუკუნის ბიზანტიურ ჩაზნექილ (მართლაც რომ, ფოსო) ჰისტამენონ ნომისმას წარმოადგენს, სავარაუდოდ, კონსტანტინე IX-ს დრაჰკან კონსტანტინატს ან კონსტანტინე X-ს დრაჰკან დუკატს.⁶⁵ ირაკლი II-ის კოლექციაში ეს ოქროს მონეტები შემთხვევით მპოვნელისგან თუ მოხვედებოდა, როგორც ერთგვარი საკვირველება და, შესაძლოა, ასევე, მონარქისთვის განსაკუთრებული სულიერი ღირებულების გამო (ამ მონეტებზე ცალ მხარეს მაცხოვარია გამოსახული).

სამნუხაროდ, ყველა შემთხვევაში ვერ დგინდება, თუ რა ტიპის და წარმომავლობის ოქროს მონეტაზეა საუბარი. ასე, მაგალითად, საბუთი ადასტურებს ე.წ. „რაშის ოქროს” არსებობას; უფრო მეტიც, ეს საკმაოდ გავრცელებული მონეტაა – ირაკლი II-ს ამგვარი 120 ჰქონდა; მაგრამ რა მონეტაა, უცნობი რჩება.

1795 წლის 18 აპრილით დათარიღებულ ბატონ სტეფან-ალას ანგარიშის ნიგნშიც „ბაჯალლის ოქროსთან” ერთად მოიხსენიება ასევე ე.წ. „მოპრის ოქროც” (ამ შემთხვევაშიც, ამ ეტაპზე მაინც, ჩვენთვის გაუგებარია - ამ ტერმინით რა მონეტა აღინიშნებოდა):

„ქკს უჰგ, აპრილის იწ, ჩემმა სიმამრმა, ბატონმა სტეფან-ალამ, რაერთიც ოქრო მამცა დასახურდავებლათ, იმის ანგარიში თვითეულად აქა სწერია, თუ როგორც დამიხურდავებია და როგორც მიმირთმევია:

რაც ოქრო მოუცია, ამას ქვეით სწერია:

ქ. დ დაფათ ბაჯალლის ოქრო მომცა დანა ტყ ამდენი.

ქ. ა დაფათ მოპრის(?) ოქრო მამცა დანა რ ამდენი.

ღ ნ [30 თუმანი და 4 მინალთუნი] ქ. პ დანა ბაჯალლი ზარაფი როტინანთს (ს)ტეფანას მივყიდე; ა დანა ძყ [4 მინალთუნი აბაზ ნაკლებ], იქნება.

რ ე ც [15 თუმანი და 2 მინალთუნი] ქ. მ დანა ბაჯალლის სულხან მდივანს თამასუქის თეთრის თანხაში მივე; ა დანა ძყ [4 მინალთუნი აბაზ

63 ბერძენიშვილი (მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა), მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. ნიგნი III (აღმშენებლობა, სახელმწიფო ეკონომიკა, ქონება), 277-278, №188.

64 ნიკო ჯავახიშვილი, „პირველი ქართველი ჰერალდიკოსი და ნუმიზმატი მეფე”, საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, II (2011), 299-306.

65 Irakli Paghava, „Monetary Economy of the 11th Century Bagratid Georgia”, *The Ukrainian Numismatic Annual*, Issue 9 (2025), 102-103.

ნაკლებ], იქნება.

ოთ ჩსნ [79 თუმანი, 6 აბაზი, 1 შაური] ქ. სია დანა ოქრო ზარაფი როტინანთ სტეფანას მივყიდე; ბაჯალლის ა დანა ძღნ [3 მინალთუნი და 15 შაური].

ივ ჯღნ [16 თუმანი, 8 მინალთუნი და 15 შაური] ქ. მე დანა ბაჯალლის ხარაზი გასპარას-შვილის სტეფანას მივყიდე; ა დანა ძღნ [სამი მინალთუნი და 15 შაური].

ა ჯღნ [18 მინალთუნი და 15 შაური] ქ. ე დანა ბაჯალლი მე დავხარჯე; ა დანა ძღნ [სამი მინალთუნი და 15 შაური].

[...]

ღზ ნფ [67 თუმანი და 4.5 მინალთუნი] ქ. ღ დანა მოპრის ოქრო წონით ზარაფს როტინანთ სტეფანას მივყიდე, იყო მისხალი რმზ, ამდენი: ამისი ა მისხალი წღნ [4 მინალთუნი და 15 შაური] ასე, იქნება.

ქ. მ დანა მოპრის ოქრო უკანვე ჩემს სიმამრს მივართვი, რომ არ გამეყიდნა. ქ. თ დანა ბაჯალლუ ოქრო უკანვე ჩემს სიმამრს მივართვი, რომ არ დამეხურდავებინა.”⁶⁶

მნიშვნელოვან გარემოებად გვეჩვენება ის ფაქტი, რომ ანგარიშსწორება ზოგჯერ სხვადასხვა, ოქროსა და ვერცხლის საფასით წარმოებს; მაგრამ არა შავი ფულით (sic).

ასე, მაგალითად, იმავე, 1795 წელს შედგენილ მანუჩარ მდივნისა და მისი სიმამრის, ალა-სტეფანეს ანგარიშის წიგნში ერთად მოიხსენიება როგორც ბაჯალლის ოქრო, ასევე ვერცხლის საფასეც – სახელმწიფოს წამყვანი ვალუტა - სირმა თეთრი („ქალაქის თეთრი“), და ოსმალური ალთმიშლულებიც:

„ლ-თიტი, ქ კს უპგ, გიორგობის თვიდამ მოკიდებული უფალი ჩემი სიმამრი ალას-სტეფანასი და ჩემი ანგარიში ამას ქვეით სწერია.

ვ ჰტ [6 თუმანი 9 მინალთუნი და 6 შაური] ქ. ბ დაფათ გორიდამ მივართვი ბაჯალლის ოქრო დანა მწ, ამდენი. აქედამ კზ ოქრომ ქალაქს ანგარიში გაიარა, რომ ამის მოკლე ნუსხა სხვა არის. დარჩა ალასთან ოქრო კა, ამისი ა - ძტ [3 მინალთუნი და 6 შაური].

იწ [18 თუმანი] ქ. ქალაქს რომ ვიყავ, კანანჩ ფასუანთ გიქუას ჩემს მოსაცემში გამოვართვი ალთმიშლული დანა სნ, ამისი ა - ღნ [15 შაური]. აქედამ ი დანა მე დავხარჯე, დანარჩომი ალამ მირთო დანა ორასი და ორმოცი.

ბ ჭღ [25 მინალთუნი და 14 შაური] ქ. ქალაქს ქალაქის თეთრი მივართვი.

ზ ჭ [7.5 თუმანი] ქ. გორიდამ ქალაქს ორასი დანა ალთმიშლული გამეგზავნა უფალი ალასათვის. იმისი ასი დანა ისევ გორს წავაღებინე. იმისი დარჩა ალასთან ალთმიშლული დანა რ. ამისი ა დანა ღნ [15 შაური]. იქნება. [...]"⁶⁷

როგორც დავრწმუნდით, ქართლ-კახეთის სამეფოში სხვადასხვა ტიპისა და წარმომავლობის ევროპული და აღმოსავლური ოქროს მონეტა

66 ბერძენიშვილი (მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა), მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. წიგნი III (ალმშენებლობა, სახელმწიფო ეკონომიკა, ქონება), 254-255, №179.

67 იქვე, 261, №182.

მიმოიქცეოდა; მცირე რაოდენობით (?) იჭრებოდა და, მაინც, საფიქრებელია, ბრუნავდა ასევე ადგილობრივი, ქართული, ქართლ-კახეთის ოქროს საფასეც. შესაბამისი ცნობების ჩამოთვლით მაინც გაძნელებულია იმის გააზრება, თუ რომელი მათგანი თამაშობდა წამყვან როლს. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად მიზანშეწონილად მიგვაჩნია წერილობითი წყაროების მიერ შემონახული ცნობების, ფაქტობრივად, წერილობითი წყაროების მიერ დაფიქსირებულ სამონეტო ნაკრებთა, სამონეტო კომპლექსების - მეტა-ანალიზის ჩატარება.

მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, უპრიანია იმ წერილობითი ცნობების უგულვებელყოფა, სადაც სულ რამდენიმე ოქროს მონეტაა მოხსენიებული, ვინაიდან ამ შემთხვევაში დიდია მსჯელობაში შერჩევის სისტემური შეცდომის დაშვება. უფრო სანდო იქნებოდა გვეხელმძღვანელა იმ დოკუმენტებით, სადაც რამდენიმე ათეული, და ზოგჯერ ასეული მონეტაც კია მოხსენიებული; ამგვარი საბუთები: 1) უფრო ზუსტად ასახავს ამა თუ იმ ტიპის ოქროს საფასის ხვედრით წილს სახელმწიფოს ეკონომიკაში; 2) ყოველ შემთხვევაში, მიუთითებს, თუ რა ტიპის ოქროს საფასე წარმოადგენდა დაგროვების ძირითად საშუალებას.

წინდანივე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამგვარი ცნობების შემცველი და ჩვენთვის ხელმისაწვდომი საბუთები თარიღდება ქართლ-კახეთის სამეფოს არსებობის უკანასკნელი ათწლეულით; 1790-იანი წლებიდან 1801 წლის ჩათვლით. შესაბამისად, განხორციელებული მეტა-ანალიზის შედეგად რეალურად ამ ქართული სახელმწიფოს არსებობის ბოლო დეკადას უფრო ასახავს. ამასთანავე, დროის ხანმოკლე პერიოდში დაწერილი საბუთების მეტა-ანალიზით მიღებული შედეგების სარწმუნოობა უფრო მეტია. თუმცა, რთული სათქმელია, რამდენად სწორი იქნებოდა მათი შესწავლით მიღებული დასკვნების ექსტრაპოლირება სამეფოს არსებობის უფრო ადრეულ ხანაზე, 1744-1790 წლების პერიოდზე, განსაკუთრებით კი 1740-იან - 1760-იან წლებზე. მაინც, ვიხრებით იმ აზრისკენ, რომ 1744-დან ვიდრე 1801 წლამდე დროის შედარებით ხანმოკლე შუალედში სხვადასხვა ოქროს საფასის ხვედრითი წილი ქართლ-კახეთის სამეფოს სამონეტო ბაზარზე არსებითად არ შეიცვლებოდა.

მეტა-ანალიზის ფარგლებში შვიდი საბუთი შევისწავლეთ. ოთხი მათგანი ქართლ-კახეთის სამეფოს მმართველი დინასტიისა და მმართველი ელიტის (მეფე ირაკლი II-ის, გიორგი XII-ის, დავით ბატონიშვილისა და ანტონ კათალიკოსის) საქმიანობას უკავშირდება; ერთი სახელმწიფოს / მეფის განკარგულებაში არსებული სპილენძის გაყიდვას ეხება; ორიც დაწინაურებულ, და, ამასთანავე, კომერციულ გარიგებებში აქტიურად ჩართულ პირთა მოღვაწეობას ასახავს. ამ შვიდ დოკუმენტში შემონახული ცნობები წარმოდგენილი გვაქვს (დანვრილებით) ცხრილის, და, დაჯგუფებულად, დიაგრამების სახით (ცხრილი III. 1; დიაგრამები III. 1-2).

ნათელი ხდება, რომ წამყვანი ადგილი სამონეტო მიმოქცევაში ევროპულ

ოქროს საფასეს უჭირავს; კერძოდ, ნიდერლანდების ოქროს დუკატს.⁶⁸ მისი ხვედრითი წილი ძალიან მაღალია; სამ შემთხვევაში 100%-საც კი შეადგენს; ანტონ-კათალიკოსის ანდერძშიც მასზე მოდის ოქროს საფასის საერთო რაოდენობის 88.6%; და მხოლოდ ირაკლი II-ის პირადი ნივთების ნუსხაში მისი ხვედრითი წილი შესამჩნევად უფრო ნაკლებია (50.5%), თუმცა, მაინც აღემატება ნახევარს - შესაძლოა, მიზეზი ის იყოს, რომ, როგორც უკვე ვახსენეთ, ირაკლი II-ის ნივთებში აღრიცხული 867 ოქროს მონეტა წარმოადგენს არა მარტო მონარქის, საფიქრებელია, ფინანსურ რეზერვს, არამედ, გარვეული ალბათობით, ერთგვარ ნუმისმატიკურ კოლექციასაც. განხილულ კომპლექსებში ნიდერლანდების ოქროს დუკატის შენონილი სიხშირე არის 2357/2893 მონეტიდან, ანუ, საერთო რაოდენობის 81.47%, ხოლო ირაკლი მეფის პირადი ნივთების ნუსხას თუ არ ჩავთვლით, საერთოდაც, - 1919/2024, 94.81%.

სამწუხაროდ, ამ ეტაპზე მაინც, გაურკვეველი რჩება, თუ რა მონეტას გულისხმობს ტერმინი „რაშის ოქრო“, ან „მოპრის(?) ოქრო“; არადა, ამ მონეტების ხვედრითი წილი საკმაოდ მაღალია – შესაბამისად, 13.8% ირაკლი მეფის პირადი ნივთების ნუსხაში (120 ცალი!), შენონილი სიხშირე 120/2893, 4.15%; და 20.4% სტეფან-ალას ანგარიშში (100 მონეტა!), შენონილი სიხშირე 100/2893, 3.46%. ანუ, ორივე საკმაოდ გავრცელებული საფასეა, და არა რაღაც ეგზოტიკური, დაფუშვით ანტიკვარული რამ (როგორცაა, მაგალითად „კონსტანტინე ჯელმნიფის ფოსო ოქრო“, - ჩვენი აზრით, XI საუკუნის ბიზანტიური ჰისტამენები; შენონილი სიხშირე 11/2893, 0.38%).

ამრიგად, დოკუმენტური ხასიათის პირველწყაროებით სავსებით დადასტურდა თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობა, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს ფულად ბაზარზე წამყვან ოქროს საფასეს სწორედ რომ ევროპული, კერძოდ, ნიდერლანდული ოქროს დუკატები წარმოადგენდა, ე.წ. *ბაჯალლიები* (*ბაჯალლის ოქროები / ფლურები*).⁶⁹ მეტად საყურადღებოა,

68 სხვათა შორის, ქართლ-კახეთში ნიდერლანდული დუკატების ფართოდ გავრცელებას ეხმიანება აღმოსავლეთ საქართველოში დაუზუსტებელ ადგილას ნაპოვნი გაყალბებული ბაჯალლიც, რომელიც რამდენიმე წლის წინ გვაჩვენეს. 69 დიდია ალბათობა, რომ ამ პერიოდის საბუთებში უბრალოდ „ოქროდ“ (ოქროს მონეტად) ან „ფლურად“ მოიხსენიება იგივე ბაჯალლი.


ასე, მაგალითად, 1798 წლით დათარიღებულ გიორგი XII-ის (?) ხარჯის ნუსხაში საუბარია 196 „ოქროზე“; მითითებულია მათი ღირებულებაც: „ოზ წს [77 თუმანი, 4.2 მინალთუნი] ქკს უპვ, თებერვალს დ მისმა უგანათლებულესობამ ბატონის-შვილმა ვახტანგმა - ამას თანხლებით, მდივანი სვიმონ და ველისციხის მოვრავის სიმონის ხლებით და დასწრებით ბატონის ოქრო მომბარდა ას ოთხმოცდათექვსმეტი, რომ ბარათი მივართვა მისი. ა გაიყიდა ძმნ [ოთხი მინალთუნი შაურ ნაკლებ, იქნება. [...]]. ბერძენიშვილი (მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა), მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. ნიგნი III (აღმშენებლობა, სახელმწიფო ეკონომიკა, ქონება), 112, №81.

1801 წლის 17 მარტის თამასუქში კი ვკითხულობთ: „[...] ამ თამასუქის თავნში


ცხრილი III.1. სხვადასხვა ოქროს მონეტის ხვედრითი წილი 1790-იანი – 1800-იანი წლების დასაწყისის ეართლ-კახეთის საბუთებში (აბსოლუტურ ციფრებშია და საერთო რაოდენობის %-ში)

პირველწყარო							
ოქროს მონეტების საერთო რაოდენობა	ანტონ კათალიკოსის ანდერძი (1793)	დასახურდავებლად მოცემული ალას ოქროს ანგარიში (1795)	ირაკლი მეფის პირადი ნივთების სია (1798)	გიორგი XII-ის მიერ ბეგთაბეგის-მვილეთისოვის მიცემული თამასუეი (1799)	ქმები სულხან-შოთაშვილის გიორგიების წესსა (1799)	სპილენძის გაყიდვით მიღებული ოქრო (1800)	დავით ბატონიშვილის მიმართვა ლაზარევის ოქროს კვრცხლად დახურვაზე (1801)
იალდუბის ოქრო ფრანგის სიქის ძველი ოქრო		390/79,6%	438/50,5%	1250/100%	50/100%	90/90%	100/100%
იმერიალი	2/4,5%		39/4,5%				
ახალი სტანულის ოქრო			191/22,0%				
მისრის ოქრო	3/6,8%		2/0,2%				
თავრიზის ოქრო			4/0,5%				
საბყინი							
კონსტანდინე კელმედივის ფოსო ოქრო			11/1,3%				
რამის ოქრო			120/13,8%				
მოვრის ოქრო		100/20,4%					
ნახევარი და მთელი სხვადასხვა სიქის ოქრო			12/1,4%				

დიაგრამა III.1. სხვადასხვა ოქროს მონეტის სვედრითი წილი (%) 1790-1801 წლების ქართლ-კახეთის დოკუმენტებში, დაწვრილებით



დიაგრამა III.2: სხვადასხვა ოქროს მონეტის ხვედრითი წილი (%) 1790-1801 წლების ქართლ-კახეთის დოკუმენტებში, დაჯგუფებულად



რომ ქართლ-კახეთის მონეტარულ ეკონომიკაში აღმოსავლური (ოსმალური, და, მით უფრო, ირანული) და რუსული ოქროს საფასის ხვედრითი წილი და მნიშვნელობა ბევრად ნაკლები იყო. განსაკუთრებით თვალში საცემია ეროვნული ოქროს საფასის უკიდურესად შეზღუდული როლი.

ორი ოქრო მამბარებია ექვს მინალთუნათ. მაისის ით, ქკს უჟბ”. ბერძენიშვილი (მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა), *მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. წიგნი II (ვალი, იჯარა, ვაჭრობა)*, 166, №235.

თავი IV. ვერცხლი

ოქროსგან განსხვავებით, ქართლ-კახეთის სამეფოში ვერცხლის საფასის მიმოქცევაზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ არა მარტო დოკუმენტური თუ, საზოგადოდ, წერილობითი ცნობებით, არამედ მრავალრიცხოვანი განძებითაც.

პირველწყაროების ესეთი სიუხვე ლოგიკურია, ვინაიდან, როგორც ჯერ კიდევ ნიკოლოზ ქოიავამ დაადგინა, ქართლ-კახეთის სამეფო (როგორც, დავამატებთ, საზოგადოდ, კავკასია თუ აღმოსავლეთ კავკასია-ირანის რეგიონი) ვერცხლის მონომეტალიზმის მხარეს წარმოადგენდა.¹

მაგრამ, გასარკვევია, თუ კონკრეტულად რომელი (ვერცხლის) საფასე წარმოადგენდა ამ მონომეტალური ეკონომიკის მატერიალურ საძირკვეს.

უპირველეს ყოვლისა, გასათვალისწინებელია საკუთარი ემისიები; - ქართლ-კახეთის სამეფოში მოჭრილი ვერცხლის საფასე.

1744 წელს ქართლისა და კახეთის *de facto* გაერთიანების შემდეგაც თბილისის ზარაფხანამ გააგრძელა ავშარიანთა დინასტიის სტანდარტული საფასის გამოშვება (ამა თუ იმ დინასტიის, ნადირ-შაჰის, იბრაჰიმისა თუ შახროჰის სახელით): მონეტები არ განსხვავდებოდა სხვა ზარაფხანების ნაწარმისგან არც მასით, არც ტიპოლოგიით; მხოლოდ მოჭრის ადგილად მიეთითებოდა თბილისი.² თბილისის ზარაფხანა ინარჩუნებდა კონტაქტს ავშარიანთა ადმინისტრაციასთან, და, გარკვეულწილად, მას ექვემდებარებოდა კიდევაც – პაპუნა ორბელიანის ცნობით,

„გამოვე ზავნა შაჰ-სულთან იბრეიმს თავის სახელზე ზარაფხანა ქალაქში და დაჰკრეს სიქა, ბრძანებისამებრ მისისა მოსჭრეს სამაბაზიანი და შაური, ფლური ოცდაათის შაურის“.³

ავშარიანთა სახელით მოჭრილ საფასეს ჩაენაცვლა ქარიმ-ხან ზენდთან ალუზიის შემცველი საფასე, შიიტური რელიგიური ფორმულით.⁴

ირაკლი II-ის მიერ ჰიჯრის 1179 (1165/6) წელს დანეჭებული რეფორმის

1 ქოიავა, „საქართველოს ფულის მიმოქცევა XVIII საუკუნეში“, 76-78; ქოიავა, *ფულის მიმოქცევა, კრედიტი და ფინანსები XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში*, 11-12.

2 Евгений Пахомов, *Монеты Грузии*, 231-235; ფალავა, „თბილისური მონეტების ნონითი სტანდარტი, ნომინალთა სისტემა და მოჭრის ტექნიკა (ავშარიანთა დინასტიის პერიოდი)“, 528-529; ფალავა, *სირმა თეთრი. ქართული ეროვნული ვერცხლის საფასე*, 42-43.

3 პაპუნა ორბელიანი, *ამბავნი ქართლისანი* (კრიტიკული გამოცემა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა) (თბილისი: მეცნიერება, 1981), 154.

4 Пахомов, *Монеты Грузии*, 235-236; ფალავა, *სირმა თეთრი. ქართული ეროვნული ვერცხლის საფასე*, 68-71.

ფარგლებში კი გაჩნდა სრულიად ახალი ტიპის საფასე, – *სირმა თეთრი*.⁵

ბუნებრივია, რომ ქართლ-კახეთის სამეფოში გამოშვებული ვერცხლის საფასე გარკვეულ როლს ითამაშებდა ადგილობრის ფულად მიმოქცევაში.

გარდა ამისა, სახელმწიფოს მონეტარულ ეკონომიკაზე მსჯელობა საკმაოდ დიდი რაოდენობით შემონახული დოკუმენტების მიხედვითაც შეგვიძლია; და, ასევე, მრავლად შემონახული სამონეტო მასალით, კერძოდ, 19 სამონეტო განძით, რომელიც ქართლ-კახეთის სამეფოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი, მისი არსებობის თანადროულია, და ვერცხლის მონეტებს შეიცავს.

სამონეტო კომპლექსების მეტა-ანალიზს კი საგულისხმო შედეგებამდე მივყავართ. ცალსახად იკვეთება სამონეტო კომპლექსების ორი ჯგუფი. ტეზავრაციისა და ფორმირების დროის მიხედვით, მათ გამიჯნავს ირაკლი II-ის 1765/6-1768/9 (ჰიჯრის 1179-1182) წლებში ჩატარებული სამონეტო რეფორმა.⁶ ამ რეფორმის ფარგლებში ჰ. 1179 წელს (1765/6) პირველად გაჩნდა ქართლ-კახეთის სამეფოსთვის უნიკალური, ორიგინალური *სირმა თეთრი*, სირმა ვერცხლის მონეტები. ქართლ-კახეთის ტერიტორიაზე ტეზავრირებული სამონეტო განძებიც იყოფა ორ კატეგორიად:

1. რეფორმამდელი (ტეზავრირებულია ირაკლი II-ის რეფორმამდე; სირმა ტიპის მონეტებს არ შეიცავს; შედგება ექსკლუზიურად ჰ. 1177 და 1179 წლამდე გამოშვებული მონეტებისგან);
2. რეფორმის შემდგომი (ტეზავრირებულია ირაკლი II-ის რეფორმის შემდგომ; შეიცავს, უპირატესად, ხშირად, ექსკლუზიურადაც - სირმა ტიპის მონეტებს).

განვიხილოთ ჯერ *1-ელი ჯგუფის სამონეტო კომპლექსები*. მათი რიცხვი მეტად მცირეა, ვიცნობთ მხოლოდ 2 ამგვარ განძს. თუმცა, ორივეს დიდი ისტორიოგრაფიული მნიშვნელობა აქვს; მათი შემადგენლობა გვაძლევს საშუალებას ვიმსჯელოთ ქართლ-კახეთის სამეფოს მონეტარულ მიმოქცევაზე ირაკლი II-ის ზემოხსენებულ რეფორმამდე, ანუ, 1744-1765 წლებში. ეს ის პერიოდია, რომლისთვისაც ვერცხლის საფასეზე ცნობები ნარატიულ წყაროებში შედარებით მწირია.

სამწუხაროდ, გაურკვეველ გარემოებებსა და ადგილას (თუმცა, დანამდვილებით, უწინდელი ქართლ-კახეთის სამეფოს ტერიტორიაზე) აღმოჩენილი ეს ორი განძი დაიშალა და მათი სრულფასოვანი ფიქსაციაც ვერ მოვახერხეთ, მაგრამ, ის მაინც შევძელით, მათი ზოგადი შემადგენლობა

5 იქვე, 118-128.

6 რეფორმის შესახებ იხ. ქოიავა, „საქართველოს ფულის მიმოქცევა XVIII საუკუნეში“, 88-89; ფალავა, „ირაკლი II-ის 1765/6-1768/9 (ჰიჯრის 1179-1182) წლების სამონეტო რეფორმა“, 343-370; ფალავა, *სირმა თეთრი. ქართული ეროვნული ვერცხლის საფასე*, 111-140.

მეტ-ნაკლები სისრულით ჩაგვენიშნა:⁷

I. 2020-2021 წლების ზამთარში ნაპოვნი განძიდან ჩვენთვის ცნობილი გახდა 9 ეგზემპლარი, ცხრავე სხვადასხვა ავშარიანი მონარქის სახელით მოჭრილი, სხვადასხვა ზარაფხანაში, შემდეგი თარიღებით: ჰ. 1150 (1737/8), 1157 (1744/5), 1161-1162 (1748-1749), 1169 (1755/6). ტეზავრაციის სავარაუდოდ დრო - 1750-იანი წლების დასასრული, ან 1760-იანი წლების დასაწყისი;

II. 2019 წლის გაზაფხულზე (?) აღმოჩენილი სამონეტო კომპლექსი შეიცავდა რამდენიმე ასეულ ვერცხლის მონეტას (ზუსტი ციფრი უცნობია), სეფიანური, ოსმალური, ავშარული და დიდ მოლოლთა (sic) მონეტების ჩათვლით; მათგან უახლესი (შახროჰის) მონეტები ჰ. 1160-იანი წლებით თარიღდებოდა (1747-1756); ამრიგად, ამ შემთხვევაშიც ტეზავრაციის სავარაუდოდ დრო არის 1750-იანი წლების დასასრული, ან 1760-იანი წლების დასაწყისი. დიდ მოლოლთა რუფიების შემცველობით, ეს განძი ჯერჯერობით უნიკალურია საქართველოსთვის; თუმცა კი ამ საფასის არსებობა კავკასიის ტერიტორიაზე, ქართლ-კახეთის სამეფოს ფარგლებს გარეთ აღმოჩენილ განძებში ჩვეულებრივი ამბავია.⁸ ეს მონეტები კავკასიაში ნადირ შაჰის მიერ ინდოეთის სუბკონტინენტის დალაშქრისას მოპოვებული ნადავლის სახით მოხვედებოდა.⁹

გარდა სამონეტო (სამონეტო კომპლექსების) აღმოჩენების მეტ-ანალიზისა, აუცილებელია ნარატიულ-დოკუმენტური წერილობითი წყაროების განხილვაც.

თანადროულ საბუთებში საინტერესო სურათს ვხედავთ – თანხები ყოველთვის ვერცხლის საფასით, „თეთრით“ არის ათვლილი (თუმან-მინ-ალთუნ-აბაზობით); ოღონდ არ არის დაკონკრეტებული, თუ სადაურ მონეტაზეა საუბარი. სამაგიეროდ, ხშირად (მაგრამ არა ყოველთვის) არის ხოლმე მითითებული რომ იგულისხმება „ახალი თეთრი“.¹⁰ მიზეზი ისაა, რომ ჯერ კიდევ ნადირ შაჰმა შეამცირა თავისი ვერცხლის საფასის წონითი სტანდარტი 1,400-მუხუდოიანი თუმნიდან 1,200-მუხუდოიან თუმნამდე, ანუ, აბაზის წონა შეამცირდა 7 დანგიდან (5.37 გ) 6 დანგამდე (4.61 გ).¹¹ მისი მემკვიდრეებიც (და თბილისის ზარაფხანაც) ვერცხლის საფასეს იმავე სტანდარტით უშვებდნენ (ვიდრე ქარიმ-ხან ზენდის სახელით 5-დანგიანი აბაზისა და მისი ფრაქციების მოჭრა დაიწყებოდა¹²).

7 ფალავა, „ფულადი მიმოქცევა ქართლ-კახეთის სამეფოში (1744-1801 წწ.)“, 747.

8 Пахомов, *Монетные клады Азербайджана и Закавказья*, 33; ფალავა, „ავშარიანთა დინასტიის საფასე კავკასიის ფულად მიმოქცევაში“, 397-400, 403-404.


9 იქვე, 403.

10 ბერძენიშვილი (მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა), *მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. წიგნი II (ვალი, იჯარა, ვაჭრობა)*, 31, №41, 37, №54, 40, №61, 41, №63, 42, №65. შეად. იქვე, 36, №53, 37, №55, 41, №62.

11 ფალავა, *სირმა თეთრი. ქართული ეროვნული ვერცხლის საფასე*, 126, ცხრილი 3.

12 იქვე, 68-71.

დიაგრამა IV.1. სირმა თეთრის ხვედრითი წილი (საერთო რაოდენობის %) ქართლ-კახეთის სამეფოს რეფორმის შემდგომ ვერცხლის მონეტების შემცველ განძებში¹



გორის (უფეზდის) განძში სირმა თეთრის გარდა სპილენძის მონეტებიც იყო; „უ“ მიუთითებს რომ განძის შემადგენლობა მხოლოდ საირიენტაციოდ არის ცნობილი

ვერცხლის მონეტების სადაურობის დაზუსტებას აზრი მართლაც არ ექნებოდა, ვინაიდან თბილური იქნებოდა თუ სხვა ზარაფხანაში მოჭრილი, ავშარიანთა ყველა ვერცხლის მონეტა მეტროლოგიურად იდენტური იყო: *ქართლ-კახეთის სამეფო ავშარიანთა მონეტარულ-ეკონომიკურ ზონაში რჩებოდა.*

მე-2 ჯგუფის სამონეტო კომპლექსების რიცხვი ბევრად მეტია.¹³ 2023 წლის მონოგრაფიაში შევაჯამეთ ინფორმაცია ქართლ-კახეთის სამეფოში სირმა თეთრის მიმოქცევის შესახებ; კერძოდ, შევისწავლეთ და გავაანალიზეთ სირმა მონეტების შემცველი 14 სამონეტო კომპლექსი, რომელიც ქართლ-კახეთის სამეფოს ტერიტორიაზე 1801 წლამდე ტეზავრირდა; მათი შემადგენლობა დანვრილებით განვიხილეთ.¹⁴

მონოგრაფიის გამოქვეყნების შემდეგ ჩვენთვის ცნობილი გახდა კიდევ 3 განძის შესახებ (ასევე დაზუსტდა მანავის განძის შემადგენლობა).¹⁵ ამრიგად, დღეისთვის ვიცნობთ ქართლ-კახეთის სამეფოს სამონეტო მიმოქცევაში ვერცხლის საფასის როლის ამსახველ, რეფორმის შემდგომი პერიოდის, – 17 განძს.

წარმოვადგენთ ყველა ამ სამონეტო კომპლექსის კომბინირებული მეტა-ანალიზის შედეგებს.

დგინდება, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს არსებობის ბოლო ათწლეულებში (ირაკლი II-ის სამონეტო რეფორმის შემდგომ) სახელმწიფოს ეკონომიკა ეფუძნებოდა უნიკალურ, ადგილობრივ ვერცხლის საფასეს – სირმა თეთრს:¹⁶ 17-დან 14 განძი (გარდა მთიანეთის I, ფშაველისა და უპასპორტო IV განძებისა, მაგრამ გორის უფეზდის განძის ვერცხლის კომპონენტის ჩათვლით) *შედგება ექსკლუზიურად სირმა ვერცხლისგან (შემადგენლობის 100%) (დიაგრამა IV.1).*

აღსანიშნავია, რომ კოჯრის II განძის ერთი ეგზემპლარი განჯაშია მოჭრილი, რაც საერთო რაოდენობის 2.8%-ს შეადგენს; მაგრამ ეს მონეტაც


13 მათი მრავალრიცხოვნება, თავისთავად, შეიძლება მიუთითებდეს სახელმწიფოში / მოსახლეობაში ფულის (მონეტარული) მასის ზრდაზე; ან/და, მოსახლეობის გაზრდილ სიკვდილობაზე: უეცრად გარდაცვლილებმა გადამალულ სახსრებს ვეღარ მიაკითხეს. ამ შემთხვევაში პირველი ვერსიისკენ ვიხრებით – ქართლ-კახეთის სამეფოს მოსახლეობის უსაფრთხოება სათანადოდ დაცული, ჩანს, არასდროს ყოფილა; სამაგიეროდ, როგორც ცნობილია, სირმა თეთრის (და სირმა ოქროს) ემისია ირაკლი II-ის მიერ ახტალისა და დამბლულის ვერცხლის (და ოქროს) მომწოდებელი საბადოების ამუშავებას, ძვირფასი ლითონის შეუდარებლად მეტ ხელმისაწვდომობას უკავშირდება. იქვე, 73-109. საფიქრებელია, სამეფოს არსებობის ბოლო ათწლეულებისთვის ეკონომიკაში ფულის / მონეტარული მასა გაიზარდა; ეს კი, დიდი ალბათობით, შეიძლება ეკონომიკის მეტ მონეტიზაციასაც გულისხმობდეს.

14 იქვე, 229-233.

15 ფალავა, "ფულადი მიმოქცევა XVIII საუკუნის II ნახევრისა და XIX საუკუნის დასაწყისის ქართლ-კახეთში – დამატებითი ცნობები", 175-178.

16 ფალავა, *სირმა თეთრი. ქართული ეროვნული ვერცხლის საფასე*, 223-270.

დიაგრამა IV.2. სირმა მონეტებში აბაზის ხვედრითი წილი (%) ქართლ-კახეთის სამეფოს რეფორმის შემდგომ გერცხლის მონეტების შემცველ განმებში



სირმა ტიპისაა, ანუ ვიზუალურად მიმსგავსებულია, მეტროლოგიურად კი იდენტურია; ასე რომ, კოჯრის II განძიც, შეიძლება ითქვას, მთლიანად სირმა თეთრისგან შედგება.¹⁷

ქართლ-კახეთის სამეფოში გამოშვებული სირმა თეთრის ოთხი ნომინალიდან სატეზავრაციოდ ძირითადად, აშკარად, აბაზს იყენებდნენ (დიაგრამა IV.2). განძებში წარმოდგენილი სირმა თეთრის ნომინალების თვალსაზრისით გვაქვს ინფორმაცია 17-ვე განძზე. აქედან, შემთხვევათა უმრავლესობაში, სირმა თეთრი სწორედ აბაზის ნომინალით არის წარმოდგენილი: 17-დან 11 განძში მისი ხვედრითი წილი 100%-ია; კიდევ 5 განძში ეს ციფრი ასევე მაღალია და მერყეობს 57.1-99%-ის ფარგლებში; აბაზიანი ნომინალი არ არის წარმოდგენილი ერთადერთ განძში (მთიანეთის II), რაც ამ სამონეტო კომპლექსის სპეციფიკური ბუნებით აიხსნება (vide infra).

17-ვე განძის მონაცემების შეჯერებით, გამოვითვალეთ აბაზიანი ნომინალის შეწონილი სიხშირე (ჭიკაანის, უპასპორტო I, და უპასპორტო II განძებში შემავალი სირმა მონეტების საერთო რაოდენობა პირობითად 100-ის ტოლად ჩავთვალეთ; მანავის განძში კი – 200-ის;¹⁸ კოჯრის II განძის 36-ვე მონეტა სირმად მივიჩნიეთ): 768 / სირმა მონეტების საერთო რაოდენობის 786 ეგზემპლარიდან, ანუ, 97.70%.

სხვა ნომინალების ხვედრითი წილი შეუდარებლად ნაკლებია (დიაგრამა IV.3):

აბაზნახევრიანი წარმოდგენილია ქართლ-კახეთის სამეფოს ტერიტორიაზე ტეზავრირებულ ერთადერთ განძში (მანავის). ამ შემთხვევაშიც აბაზნახევრიანის ხვედრითი წილი, მოპოვებული ცნობებით, არ აღემატება 1%-ს; საერთო შეწონილი სიხშირე კი არის 2/786, ანუ 0.25%.

მცირე ნომინალები, კერძოდ, უხალთუნი და შაური, - წარმოდგენილია მხოლოდ ბოლნისის, დუშეთის, მთიანეთის I, მთიანეთის II და უპასპორტო IV განძებში; აქედან,

- ბოლნისის განძში მათი წილი მხოლოდ 5.7%-ია (რაოდენობით; მასის მხრივ, კიდევ ნაკლები იქნება);
- დუშეთის განძში - 20% (აღნიშნული სამონეტო კომპლექსი, ჩვენი ვარაუდით, დაკარგულ ქისას წარმოადგენს, და არა დაგეგმილ დეპოზიტს — მიმოქცევაში გარკვეულ მონაწილეობას, ბუნებრივია, მცირე ნომინალებიც იღებდა, თუმცა, მთავარ როლს მაინც აბაზი ასრულებდა);

17 დასაშვებია ვიფიქროთ, რომ განჯის სირმა ტიპის ვერცხლის მონეტები ქართლ-კახეთის სამეფოში თავისუფლად მიმოიქცეოდა. მოსახლეობას გაუჭირდებოდა, და არც ექნებოდა საჭიროება (მეტროლოგიური იდენტურობის გათვალისწინებით), - თბილური და განჯის სირმები ერთმანეთისგან გაერჩია.

ენ. განჯის სირმებისთვის იხ. ჩვენი 2023 წლის მონოგრაფია. იქვე, 276-285.
18 განძების შემადგენლობა მხოლოდ მიახლოებით გახდა ცნობილი. სინამდვილეში, ყველა კომპლექსში ამაზე მეტი სირმა მონეტა შედიოდა.

- მთიანეთის I განძში – ყველანაირი მონეტების საერთო რაოდენობის 26.1%, ხოლო სირმა მონეტების 42.9% (მასით, – ნაკლები);
- მთიანეთის II განძში – შესასწავლად ხელმისაწვდომი მონეტებისა და, ასევე, სირმა მონეტების საერთო რაოდენობის 100%;
- უპასპორტო IV განძში – ყველანაირი მონეტების საერთო რაოდენობის 16.67%, ხოლო სირმა მონეტების 33.33% (მასით, – ნაკლები).

უზალთუნის შენონილი სიხშირეა 7/786, 0.89%; შაურის კი - 9/786, 1.15%.

მთიანეთის I, მთიანეთის II და უპასპორტო IV განძებში მცირე ნომინალების უჩვეულოდ მაღალი ხვედრითი წილი ამ სამონეტო კომპლექსების სპეციფიკური ბუნებით აიხსნება (იხ. ქვემოთ).

სამონეტო კომპლექსებში სირმა აბაზის სიხშირე გვაფიქრებს, რომ ფულად მიმოქცევაშიც მთავარ როლს სწორედ აბაზის ნომინალი თამაშობდა. ამ მოსაზრებას ისიც ადასტურებს, რომ, დღესაც კერძო თუ საჯარო კოლექციებში აბაზიანები სხვა ნომინალის მონეტებზე შეუდარებლად უფრო ხშირად გვხვდება.

უნდა ითქვას, რომ არ გვაქვს იმ პერიოდის განძები, როდესაც თბილისის ზარაფხანა უპირატესად აბაზნახევრიან და არა აბაზიან ნომინალს უშვებდა (ჰიჯრის 1185-1187 / 1771-1774 წლები). ამასთანავე, როგორც ვიცით, სომხეთში (ისტორიული ერევნის სახანოს ტერიტორიაზე) აღმოჩენილ სოვეტაშენის განძში ყველა სირმა მონეტა სწორედ აბაზნახევრიანია, და არა აბაზიანი.¹⁹ ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს ტერიტორიაზედაც (და არა მარტო ვაჭრობაში სამხრეთთან) წამყვანი როლი, ერთხანობას მაინც, სწორედ ამ შედარებით მსხვილ ნომინალს ეკისრებოდა?

ამ კითხვას, როგორც ჩანს, მაინც, უარყოფითი პასუხი უნდა გავცეთ. სოვეტაშენის განძში აბაზნახევრიანი ნომინალის სირმა მონეტები შეიძლება იმიტომ არის წარმოდგენილი, რომ ეს ნომინალი, ჩანს, სწორედ სამხრეთთან ვაჭრობის გასაადვილებლად გამოუშვეს;²⁰ ერევნის სახანოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ ამ კომპლექსში აბაზიანი ნომინალის არარსებობა არ ნიშნავს, რომ ქართლ-კახეთის სამეფოშიც მას აბაზნახევრიანთან შედარებით ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა; თუნდაც, მითითებულ წლებში. აბაზის დომინანტურ როლზე, - სხვათა შორის, უკვე 1770-იანი წლების დასაწყისისთვის (ანუ, რეფორმის ჩატარებიდან მალევე, და სანამ ზარაფხანა შეწყვეტდა აბაზიანების მოჭრას და გადავიდოდა, დროებით, ექსკლუზიურად აბაზნახევრიანების გამოშვებაზე), - ცალსახად მიუთითებს იოჰან გიულდენშტედტი:

„4. Abasi oder Abas, eine silbermünze 50 Gr. schwer, 4 Tschauri oder 20 Kop.

¹⁹ იქვე, 233-234.

²⁰ ფალავა, „ირაკლი II-ის 1765/6-1768/9 (ჰიჯრის 1179-1182) წლების სამონეტო რეფორმა“, 354-355; ფალავა, სირმა თეთრი. ქართული ეროვნული ვერცხლის საფასე, 128-130.

an Werth mit der arabischen Inschrift: Alhamdu Lillohü rabbil alemin, d. i. der götlichen Majestät, die Welt schuf, und auf der andern Seite: Sarbi Teflis; 1183 Sena, d. i. geschlagen in Teflis, im Jahr (der Hegira) 1183 oder unserer Rechnung 1770. Diese is die häufigste und fast einzige Münze im Gebiete des Zaars Heraklius."²¹

„4 აბაზი – ვერცხლის ფულია, 50 გრანი წონით, უდრის 4 შაურს, ან 20 კაპიკს; აქვს არაბული წარწერა „ალაჰანმუ ლილლოჰუ რაბბილ ალემინ“, ე.ი. „ღვთაებრივი უდიდებულესობა, რომელმაც შექმნა სამყარო“, და მეორე მხარეს: „სარბი ტეფლის; 1183 სენა“, ე.ი. „მოჭრილი თბილისში ჰიჯრით 1183 წელს“, ანუ ჩვენებურად 1770 წელს. ეს არის ყველაზე გავრცელებული და თითქმის ერთადერთი ფული ერეკლე მეფის სამფლობელოში.“²²

რაც შეეხება წვრილ ნომინალებს, საინტერესოა, რომ ქართულ სირმა შაურზე მსჯელობისას თეიმურაზ ბატონიშვილი აღნიშნავდა მისი პროტოტიპის, სპარსული შაჰის („შაჰ“) ნოვრუზზე დასარიგებლად მოჭრის ფაქტს:

„ერთი შაური – ერთი დანგის წონა ვეცხლაკი არის. სპარსულად შაჰ ეწოდება. შაური იქიდან დაურქმევიათ. სპარსელებს რომ ნოვრუზის დღე მოუვათ, ესე იგი ახალი წელიწადი მათი, მათ ყეენები თითოს დანგის წონის ჭეულებს მოაჭრევიებენ ვეცხლისასა და ოქროსასა და თავიანთ ხალხს დაურიგებენ მათის დღესასწაულის მისალოცავათა. და იმ წონის ჭეული საქართველოში კეთდებოდა და ამისთვის უწოდებდენ შაურსა.“²³

მამასადამე, თეიმურაზ ბატონიშვილი თავად მაინც არაფერს ამბობს იმაზე, ქართლ-კახეთის სამეფოში ამ ნომინალის მონეტებს რა მიზნით უშვებდნენ — როგორც დონატივს, სანოვრუზოდ დასარიგებლად, თუ მიმოქცევისთვის?

თუმცა, დადგენილად შეიძლება ჩაითვალოს, რომ შაურების ერთ-ერთი (თავდაპირველი? ნომინალური?) ფუნქცია მაინც, ნამდვილად დონატიური იყო — სანოვრუზოდ დარიგება. ამას ადასტურებს თანადროული საბუთები, რომელიც სწორედ სირმა თეთრის ემისიის პერიოდით თარიღდება და რომელშიც, უეჭველია, თბილისის ზარაფხანის ნაწარმი, სირმა ტიპის შაურები იგულისხმება:²⁴

- მანუჩარ თუმანიშვილის ნივთების ნუსხაში (დათარიღებულია 1788

21 გიულდენშტედტი, გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტომი პირველი (გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა), 232, 234.

22 იქვე, 233, 235.

23 თეიმურაზ ბაგრატიონი, თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები აკად. მ. ბროსესადმი (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო სოლომონ ყუბანეიშვილმა), 40-41.

24 ფალავა, ბიჭიკაშვილი, ჩაგუნავა, „ქართლ-კახეთის სამეფოს ოქროს საფასე (ქართული ოქროს შაურის ისტორია)“, 240-241.

- ნლით) მოხსენიებულია „ვერცხლის ნავრუზის შაურები“ ცფ²⁵ (ე.ი. 12.5 მინალთუნის, ანუ, 250 ცალი);
- ირაკლი II-ის პირადი ქონების ნუსხაში (დათარიღებულია 1798 წლით) გვხვდება „ერთს ქალაქში შეხვეული ხუთის მინალთუნის ნოურუზის შაურები“²⁶ (ე.ი. 100 ცალი).

ფაქტია, რომ ქართლ-კახეთის სამეფოში მოჭრილი ყველაზე კინი ნომინალური ღირებულების სირმა მონეტები ნავრუზის თუ ნოურუზის შაურის სახელს ატარებდა; ანუ, მათი ნომინალური დანიშნულება მაინც – ნოურუზზე დარიგება იყო.

თუმცა, ცხადია, ეს არ ნიშნავს, რომ სირმა შაურები არ ერთვებოდნენ სამონეტო მიმოქცევაში და არ გააჩნდათ ეკონომიკური ფუნქციაც. შესწავლილი მასალა ადასტურებს, რომ სირმა უზალთუნი და შაური ექვემდებარებოდა ტეზავრაციას – იხ. ბოლნისის განძის შემადგენლობა, რომელიც არ არის ეთნოგრაფიულ-რელიგიური ხასიათის კომპლექსი, განსხვავებით მთიანეთის I, მთიანეთის II, და უპასპორტო IV განძებისგან. ამ უკანასკნელ კომპლექსებშიც მცირე ნომინალის სირმა მონეტების მოხვედრა, მაინც, მიუთითებს, მათ ხელმისაწვდომობაზე მოსახლეობისთვის; – ანუ, მიმოქცევაზე. დუშეთის კომპლექსიც ადასტურებს, რომ სირმა შაური, სირმა აბაზიანების მსგავსად, სამეფოს მაცხოვრებელთა ქისას ავსებდა. გარდა ამისა, შესაბამისი ფინანსური შეძლების მქონე პირები (ირაკლი II, მანუჩარ თუმანიშვილი) სირმა შაურებს დიდი რაოდენობით ინახავდნენ კიდევაც (საფიქრებელია, ნოურუზის გასვლის შემდეგაც). სირმა შაურის ლითონური შემადგენლობის (ვერცხლი) გათვალისწინებით, – სავსებით ლოგიკური ქმედებაა.

თავდაპირველად, ნაწილობრივ თუ სრულად ნოურუზზე დასარიგებლად რომც მოეჭრათ, შემდგომში სირმა შაურები მიმოქცევაში ერთვებოდა და, სირმა აბაზიანების მსგავსად, ანგარიშსწორების საშუალებას წარმოადგენდნენ. ჩვენი აზრით, სირმა შაურები (და უზალთუნები), პირველ ყოვლისა, თბილისსა და სხვა, შედარებით მსხვილ ურბანულ ცენტრებში ტრიალებდა, სადაც ყოველდღიურ ყოფაში შავ ფულთან ერთად მცირე ნომინალური ღირებულების ვერცხლის მონეტების გამოყენება განსაკუთრებით მოსახერხებელი და სასურველი იქნებოდა (1 სირმა შაური ნომინალურად = 2.5 ბისტს, უდიდესი ნომინალის სპილენძის მონეტას).

სირმა უზალთუნის ეკონომიკური ფუნქცია, – ნაკლები მასშტაბის ალებმიცემობის, მაგრამ, მაინც, სამონეტო მიმოქცევის მომსახურება, – საფიქრებელია, შაურზე კიდევ უფრო გამოკვეთილი იყო.

25 ბერძენიშვილი (მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა), მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. წიგნი III (აღმშენებლობა, სახელმწიფო ეკონომიკა, ქონება), 232, №166.

26 იქვე, 278, საბუთი №188.

*

ქართლ-კახეთის სამეფოს (ირაკლი II-ის რეფორმის შემდგომ წლებში) სამონეტო მიმოქცევის ამსახველი ვერცხლის სამონეტო განძები შეიძლება რამდენიმე, მეტ-ნაკლებად სინქრონულ, მაგრამ თავისი შემადგენლობითა და ბუნებით განსხვავებულ ჯგუფად დაიყოს:²⁷

ა) სტანდარტული ეკონომიკური დეპოზიტები (ყველა, გარდა დუშეთის, ქართლის უპასპორტო, უპასპორტო III, მთიანეთის I და II, უპასპორტო IV, ასევე ფშაველის განძებისა). მათ ახასიათებს შინაგანი ერთგვაროვნება – ექსკლუზიურად სირმა მონეტები; უმეტესწილად, ექსკლუზიურად თუ არა, აბაზის ნომინალის. ამ კომპლექსების მფლობელებს ჩაფიქრებული ჰქონდათ, გადაენახათ მეტ-ნაკლებად არსებითი თანხა; ამ თანხას ადგენდნენ ძირითადად სირმა აბაზიანებისგან, ანუ, (ხელმისაწვდომი მონეტებიდან საგანგებოდ ამორჩეული?) ყველაზე გავრცელებული, წამყვანი, ლიკვიდური, შინაგანი ღირებულების მქონე (ძვირფასი ლითონის – ხალასი ვერცხლის) საფასისგან. ბუნებრივია, მფლობელი ითვალისწინებდა შემდგომში განძის ამოღებას თანხის საჭიროებისამებრ მოხმარების მიზნით. ესენია შედარებით ხანმოკლე დაგროვების სამონეტო კომპლექსები, მთლიანად ფორმირებული ირაკლი II-ის რეფორმის შემდგომ წლებში; ისინი ასახავენ ქართლ-კახეთის სამონეტო მიმოქცევას XVIII საუკუნის უკანასკნელ მესამედში;

ბ) ქისები (დუშეთისა და ქართლის უპასპორტო განძები; შესაძლოა, ასევე, უპასპორტო III?). მოიცავს ამა თუ იმ მოსახლის (შემთხვევით დაკარგულ?) სადღენიანად სახარჯად გამიზნულ თანხებს. ამ შემთხვევაშიც სახეზეა შინაგანი ერთგვაროვნება – ეს კომპლექსები ექსკლუზიურად ანგარიშსწორების კანონიერი საშუალებისგან, – სირმა მონეტებისგან შედგება. თუმცა, მონეტების რაოდენობა ბევრად ნაკლებია. ეს მონეტებიც არ უნდა იყოს საგანგებოდ ამორჩეული, მათში გვხვდება მცირე ნომინალებიც, რომელთაც, წვრილ ანგარიშ-გარიგებებში, მოსახლეობა, საფიქრებელია, ყოველდღიურად იყენებდა (და თან ატარებდა). ესენია ხანმოკლე, ან, იქნებ, სულაც, ულტრახანმოკლე დაგროვების სამონეტო კომპლექსები, რომლებიც (ირაკლი II-ის სამონეტო რეფორმის შემდგომი დროის) ქართლ-კახეთის სამეფოს სამონეტო მიმოქცევის წამიერ ანაბეჭდს წარმოადგენენ; და, ასევე, ასახავენ ქართლ-კახეთის სამონეტო მიმოქცევას XVIII საუკუნის უკანასკნელ მესამედში;

გ) ეთნოგრაფიულ-რელიგიური განძები (მთიულეთის I და II; უპასპორტო IV; შესაძლოა, ასევე, ფშაველის).

შემადგენლობა მკვეთრად გამიჯნავს ამ ტიპის კომპლექსებს ქართლ-კახეთის სამეფოს რეფორმის შემდგომი მიმოქცევის ამსახველი, ზემოთ განხილული, (ა) და (ბ) ჯგუფის, გამოხატულად ეკონომიკური ბუნების მქონე განძებისგან; თვალში საცემია ამ ჯგუფის კომპლექსების

²⁷ ფალავა, სირმა თეთრი. ქართული ეროვნული ვერცხლის საფასე, 246-247.

საზიარო მახასიათებლები: ქრონოლოგიური არაკომპაქტურობა (ამ სამონეტო კომპლექსებში გვხვდება არათუ ირაკლი II-ის რეფორმამდელი, არამედ, საერთოდ, წინა საუკუნეების მონეტებიც კი); ტიპოლოგიური არაერთგვაროვნება (მონეტების მნიშვნელოვანი ნაწილი არ წარმოადგენს სირმა ვერცხლს; ბევრია უცხოური მონეტაც); ძალიან მაღალია პატარა ნომინალის სირმა მონეტების, ანდა, საზოგადოდ, მცირეწონიანი ვერცხლის მონეტების ხვედრითი წილი; მონეტების მნიშვნელოვანი ნაწილი დეფექტურია, - გახვრეტილია, ან ყური აქვს მირჩილული.²⁸ უნდა აღინიშნოს, რომ ესენი ხანგრძლივი დაგროვების განძებია, თუმცა კი, მათ ფორმირებას (მნიშვნელოვანწილად) არაეკონომიკური მიზეზები განაპირობებდა.

ამასთანავე, მიუხედავად თავისი ეთნოგრაფიულ-რელიგიური ბუნებისა, თუნდაც არაეკონომიკური მიზნით ფორმირებული ამგვარი სამონეტო კომპლექსები, იმავდროულად, ეკონომიკური ისტორიის საყურადღებო ძეგლებიცაა; - ასახვენ ქართლ-კახეთის (სამეფოს) სამონეტო მიმოქცევას შედარებით ხანგრძლივი დროის განმავლობაში.

*

არ უნდა იყოს ინტერესს მოკლებული ის ფაქტიც, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს სირმა თეთრი მიმოქცეოდა უწინდელი ქართლ-კახეთის სამეფოს ტერიტორიაზე რუსეთის იმპერიის მიერ ამ ქართული სახელმწიფოს ანექსიის შემდგომაც.²⁹ საკმაოდ მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ის რეგიონის მუსლიმურ სახანოებშიც, როგორც 1801 წლამდე, ასევე შემდგომ პერიოდში.³⁰ ეს ფაქტი ადასტურებს ქართლ-კახეთის სამეფოში სირმა ვერცხლის

28 ფაქტია, რომ შესაწირად ვარგოდა თუნდაც მცირე ნომინალისა და მასის, ასევე, დეფექტური (მირჩილული ყუნწით, გახვრეტილი), ოღონდ, ძვირფასი ლითონის (ვერცხლის) მონეტაც. დაისმის კითხვა, მოსახლეობა სწორედ ესეთს რატომ სწირავდა ხოლმე? თუკი ვერცხლის მონეტა თავის ლითონურ ღირებულებას მაინც ინარჩუნებდა, თავისი მდგომარეობის-და მიუხედავად, რატომ ამჯობინებდა მოსახლეობა მაინცდამაინც დეფექტური შეენირა? გამოვთქვამთ ვარაუდს, რომ თავისი ლითონური შემადგენლობის მიუხედავად, დეფექტური ვერცხლის საფასე, მით უფრო ანაქრონისტული, მაინც, ნაკლებად ფასობდა (არ წარმოადგენდა ანგარიშსწორების კანონიერ საშუალებას?). ანუ, ამგვარი მონეტის შეწირვა ფინანსურად უფრო დამზოგველი იყო. თუმცა კი, აშკარაა, რომ დეფექტურობის მიუხედავად ესეთი მონეტა არ კარგავდა თავის საკრალურ მნიშვნელობას. ამასთანავე, საკრალური მნიშვნელობა ჰქონდა მაინც უფრო ძვირფასი ლითონის, - ვერცხლისა და არა სპილენძის, - მონეტას.

როგორც ჩანს, ანალოგიური კომპლექსები რეკომის სალოცავშიც წარმოიქმნა (ოსეთში) — მათაც მონეტების დეფექტურობა და მცირეწონიანობა ახასიათებთ. Пахомов, Монетные клады Азербайджана и других республик, края и областей Кавказа, Выпуск IX, 86-91, №2131, 102, №2137-2138. იხ. ასევე მაია პატარიძე, სვანეთის ნუმიზმატიკური საგანძური (თბილისი, 2020), 131-135.

29 ფალავა, სირმა თეთრი. ქართული ეროვნული ვერცხლის საფასე, 237-239, 263-267.

30 იქვე, 233-237, 261-263.

გავრცელებულობას, ამ სახელმწიფოს (მონეტარული) ეკონომიკის გა-
ჯერებულობას სწორედ ამ საფასით, რომელმაც, ერთი მხრივ, გააგრძელა
მიმოქცევა შესაბამის ტერიტორიაზე ემიტენტი სახელმწიფოს დაცემის
შემდეგაც, მეორე მხრივ კი, მეზობელ სახელმწიფოებშიც კი აღწევდა.

*

განძების მეტა-ანალიზის შედეგები (*vide supra*) ადასტურებს, რომ სირმა
ვერცხლი ქართლ-კახეთის სამეფოს ფულად ბაზარზე თითქმის მონოპო-
ლურ როლს თამაშობდა.

დოკუმენტური მასალაც იგივეზე მეტყველებს. ქართლ-კახეთის
სამეფოს თანადროული (რეფორმის შემდგომი) საბუთები აჭრელებულია
თუმან-მინალთუნ-აბაზის (ვერცხლის საფასეზე დამყარებული) სისტემით
თანხების მითითებით; ამასთანავე, კონკრეტულ საფასედ სირმა თეთრია
გამოყვანილი (ამა თუ იმ ფორმით):³¹ აბაზის თეთრი, ახალი³² აბაზი, ახალი
ზარაფხანის თეთრი, ახალი ზარაფხანის თეთრი ოთხი დანგიანი, ახალი
ზარაფხანის ოთხ-დანგიანი თეთრი, ახალი ზარაფხანის ოთხი დანგიანი სირმა
აბაზი, ახალი ზარაფხანის ოთხ/ი დანგიანი სირმა თეთრი, ახალი ზარაფხანის
სირმა აბაზი, ახალი ქალაქის ზარაფხანის ოთხი-დანგიანი თეთრი, ახალი
ქალაქის ზარაფხანის სირმა თეთრი, ახალი ქალაქის თეთრი, ახალი ქალა-
ქის ოთხ დანგიანი სირმა აბაზის თეთრი, ზარაფხანის აბაზი, ოთხ დანგიანი
სირმა ზარაფხანის თეთრი, სირმა ქალაქის ზარაფხანის ოთხი-დანგიანი
აბაზი, ტფილისის სირმა ვერცხლის თეთრი, ქალაქის ახალი ოთხი დანგი-
ანი სირმა აბაზი, ქალაქის ზარაფხანის აბაზი, ქალაქის ზარაფხანის ახალი
თეთრი, ქალაქის ზარაფხანის ოთხი დანგიანი თეთრი, ქალაქის ზარაფხანის
ოთხ/ი დანგიანი სირმა აბაზი, ქალაქის ზარაფხანის რაიჭი თეთრი, ქალაქის
ზარაფხანის რაიჯი თეთრი, ქალაქის ზარაფხანის რიჯი თეთრი, ქალაქის
ზარაფხანის სირმა აბაზი ოთხ დანგიანი, ქალაქის ზარაფხანის სირმა ოთხ
დანგიანი აბაზი, ქალაქის თეთრი, ქალაქის თეთრი ოთხი დანგიანი სირმა
აბაზი, ქალაქის ოთხი დანგიანი ზირმა აბაზი ზარაფხანისა, ქალაქის ოთხ/ი
დანგიანი სირმა აბაზი, ქალაქის რიჯი³³ სირმა ოთხი-დანგიანი აბაზი, ქალა-
ქის სირმა აბაზი, ქალაქის სირმა აბაზი ოთხ/ი დანგიანი, ქართული³⁴ თეთრი

31 ბერძენიშვილი (მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა), მასალები
საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. წიგნი II (ვალი, იჯარა, ვაჭრობა),
57-59, 66-67, 70, 72, 79-80, 84-85, 87-88, 92, 97-98, 104-107, 109-116, 119, 141;
საბუთები №89,91, 92. 102-103, 109, 111, 119, 122-123, 129-130, 137, 145-147,
157-158, 160-161, 165, 167, 170, 173-177, 180-181. 194-195. ფალავა, სირმა
თეთრი. ქართული ეროვნული ვერცხლის საფასე, 118-119.

32 ანუ, რეფორმის შემდეგად პირველად გამოშვებული, ახლებური ტიპისა და
(შემცირებული) წონის მონეტები.

33 რაიჭი, რაიჯი და რიჯი ჩვენი აზრით, ერთი და იგივეა. სამივე ტერმინის
მნიშვნელობა უკვე გარკვეულია. იქვე, 255-256.

34 მოიხსენიება უკვე XIX საუკუნის დასაწყისის საბუთში. ბერძენიშვილი (მასა-

(ტერმინოლოგიური სიჭრელე იმას აჩვენებს, რომ სირმა ოფიციალურ ტერმინს არ წარმოადგენდა).

*

ამასთანავე, აუცილებელია იმ დოკუმენტების განხილვაც, რომელიც განსხვავებულ სურათს იძლევა. უნდა აღინიშნოს, რომ მონეტარული და დოკუმენტური პირველწყაროების ჩვენება ერთმანეთთან სრულ შესაბამისობაში ყოველთვის როდია. განსხვავებული წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის შედარება-შეჯერებას ზოგჯერ საკმაოდ მოულოდნელ შედეგებამდე მივყავართ. კერძოდ, მონეტების რეალური აღმოჩენების პრაქტიკული არარსებობის მიუხედავად, დოკუმენტური მასალა ცალსახად ადასტურებს ქართლ-კახეთის სამეფოში ოსმალური დიდნონიანი საფასის – *ყურუშებისა* (40-ფარიანი მონეტა) და, განსაკუთრებით, *ალთმიშლულების* (60-ფარიანის) საკმაოდ ფართო გავრცელებას;³⁵ დანამდვილებით შეიძლება ითქვას, მსხვილ გარიგებებში მონაწილეობას. ასევე, რუსული დიდნონიანი ვერცხლის ნომინალის, *რუბლების* შემოსვლასა და ტრიალს.

ჯერ ოსმალური საფასის მიმოქცევა განვიხილოთ.

დღევანდელი მდგომარეობით, ქართლ-კახეთის სამეფოს ტერიტორიაზე მხოლოდ ყურუშების აღმოჩენის რამდენიმე შემთხვევაა დადასტურებული;³⁶ ალთმიშლულის – არცერთი.³⁷ სამაგიეროდ, თანადროულ საბუთებში ეს მონეტა ხშირად გვხვდება. ქვემოთ რამდენიმე საბუთის ტექსტსაც მოვიყვანოთ.

გასაგებია, რომ ოსმალური ტიპის საფასე აღმოსავლეთ საქართველოში ოსმალური ოკუპაციის პერიოდში (1723-1735) გავრცელდებოდა;³⁸ მაგრამ, საბუთები ადასტურებს, რომ ოსმალური ვერცხლის საფასე არსებით როლს თამაშობს ბევრად უფრო გვიანაც, - გაერთიანებული ქართლ-კახეთის სამეფოს ეკონომიკაშიც.

სხვათა შორის, ალთმიშლულები და ყურუშები საგარეოეკონომიკური ურთიერთობების ოსმალურ მიმართულებას ემსახურებოდა; კერძოდ კი –

ლები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა), *მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. წიგნი II (ვალი, იჯარა, ვაჭრობა)*, 164, №231. ტერმინმა ასახა ახალი, რუსული ვერცხლის საფასის ინტენსიური შემოსვლა?

35 ეს გარემოება მერი ანთაძესაც ჰქონდა შემჩნეული. ანთაძე, *საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობა XV-XVIII საუკუნეებში ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით*, 130.

36 Пахомов, *Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа. Выпуск IV*, 78, №1213; ანთაძე, *საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობა XV-XVIII საუკუნეებში ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით*, 78, №18, 81, №41, 121, №4, 130-131.

37 იქვე, 130.

38 შეად. ბერძენიშვილი (მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა), *მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. წიგნი II (ვალი, იჯარა, ვაჭრობა)*, 32, №43, 34, №49.

გვაქვს მოცემული). კონტექსტიდან ირკვევა, რომ მერაბ-ალა უცხოეთში იმყოფება, „ხუის“ (ხოიში; იქ, საიდანაც მანუჩარი „ქვემოურ ამბავს“ მოე-
ლის), მანუჩარი კი ცდილობს მისგან გასესხებული თანხის უკან მიღებას.
საინტერესოა, რომ საბუთში მინიშნებაა „აქ“, ანუ, საფიქრებელია თბილისში
(საზოგადოდ, ქართლ-კახეთის სამეფოში) ალთმიშლულის კურსის მერყე-
ობაზე, რაც, თავის მხრივ, მისი ადგილობრივ (დაკანონებულ ქართულ)
საფასეზე გადაცვლის საჭიროებასაც გულისხმობს.

„მანდ ანშინანთ ბატონო არუთინას კაცი იერემია გახლავს, იმას
ხუთას-ექვსასი ალთმიშლული უბოძეთ და მიბარების ბარათი გამოარ-
თვით და აქ მე გამომიგზავნეთ. როგორც რომ თქვენ მამწერთ და რიგია,
აქ ალთმიშლულს იმ ფასათ უანგარიშებთ.“⁴²

ხოის სახანოსთვის გვაქვს ასევე, მაგალითად, 1792 წლის 1 ივნისს მიცე-
მული თამასუქი; ამ საბუთის თანახმად, ოქუანთ ანტონა ონოქას-შვილი
მერაბ-ალასაგან თანხას სწორედ ალთმიშლულებით სესხულობს. საყურადღე-
ბოა, რომ გაცემულ სესხზედაც სარგებელი მიუთითეს (იმავე) კონკრეტული
მონეტით (*ვერცხლის დათქმა*), და არა აბსტრაქტულად, თანხით:⁴³

„ქ. ავიღე მე, ოქუანთ ზურაბას შვილმა ანტონამ, თქვენ, შენდობი-
ლი ინოქას-შვილი ბატონი მერაბ-ალასაგან, ხუთასი დანა ალთმიშლული
[sic] ოსმალოს სიქა, რომ იქს ამისი ნახევარი სნ ამდენი დანა. ამ ქვემო
თარიღიდან რაც ხანს ჩემს ჳელთ დაყოს, თვეში ას ალთამიშულზე [sic]
ერთი ალთამიშური [sic] სარგებელი მოგცე. როცა შენი თეთრი ითხოვო,
საცა ვიყო, თავნი თუ გავლილი სარგებელი ბეუზურად მე, ანტონამ, ან
ჩემ(მ)ა ურდუნომ მოგცეთ შენ, მერაბ ალას, ან შენს ურდუნოს. მე თითონ,
ანტონის, დამინერია და ეს ჩემი ჳელია და ბეჭედი.“⁴⁴
დაინერა ხოის, თიბათვის დამდგეს, ქკს უპ.“⁴⁴

1791 წელს ერევნიდან დიდი რაოდენობით (152 თუმანი და 1.5 მინ-
ალთუნი) მელიქ ავეტიქას ხელით იმპორტირებული (ერევნის სახანოს
ხარკის ნაწილი ხომ არა?) თეთრი, ანუ, ვერცხლის საფასე, სწორედ ალთ-
მიშლულებს წარმოადგენს:

„ქ. ბედნიერის ჳელმნიფის ბძანებით, სოლომონ მეითრისაგან მა-
მებარა მელიქ ავეტიქას ერევნიდამ მოტანილი თეთრი, ალთმიშლული
ხუთ აბაზათ, ასორმოცდა თორმეტი თუმანი და ოცდა ათი შაური [...]“⁴⁵

42 იქვე, 108-109, №163.

43 *ვერცხლის დათქმისთვის იხ. ქოიავა, ფულის მიმოქცევა, კრედიტი და ფი-
ნანსები XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში*, 93-95.

44 ბერძენიშვილი (მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა), *მასალები
საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. წიგნი II (ვალი, იჯარა, ვაჭრობა)*,
96-97, №144.

45 ბერძენიშვილი (მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა), *მასალები
საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. წიგნი III (ალმშენებლობა, სახელ-*

XVIII საუკუნის დასასრულის ერთ საბუთში, ჩანს, იგივე ავეტიქა მოიხსენიება, ავეტიქა და ალთმიშლულები:

„ქ. მე მიმიცია ავეტიქის ნუსხის პირი.
[...]
ბ [2 თუმანი] ქ. ალთმიშლული“⁴⁶

1783 წლის მარტში ერევნის სახანოში, ქალაქ ერევანში *ქართულ ენაზე* ფორმდება ფინანსური საბუთი ორ ქართველ / თბილისელ კომერსანტს შორის⁴⁷ - ტერ-შმოვანიანთ ალა აძლევს ნაზარბეგის-შვილ გიორგის შემდეგი სახის თამასუქს:

„ქ. ავიღე მე, ტერ-შმოვანიანთ ოჰანას შვილმა ალამ, შენ, ნაზარბეგის-შვილი ბატონი გიორგისგან, ასი თუმანი ერევნის სალი თეთრი, ათი დანა ალთმიშლული ერთ თუმნად, რომ იქს ნახევარი ნ [50 თუმანი] ამდენი. [...] დაინერა ერევანს მარტის ა გასულს, ქკ³ს უოა, მე თითონ ალას დამინერია და ყაბულიცა მაქვს. [...]“⁴⁸

ამ საბუთის მიხედვით, ალთმიშლულებს *ერევნის სალ თეთრადაც* კი მიიჩნევენ.⁴⁹

საბუთებით ისიც აშკარა ხდება, რომ ალთმიშლულები ქართლ-კახეთის სამეფოს შიდა ბაზარზედაც მიმოიქცევა; საკმაოდ დიდი რაოდენობითაცაა აკუმულირებული ადგილობრივ მკვიდრთა მიერ.

ზემოთ უკვე ციტირებულ, გიორგი XII-ის მიერ გაცემულ „თამასუქში“ აღნიშნულია რომ მეფეს ბეგთაბეგისშვილებისთვის 1,250 ოქროს დუკატის გარდა 3,000 (sic) ალთმიშლულიც გამოურთმევია.⁵⁰

1782 წლის მანუჩარ მდივნისა და მილდისის-შვილი სტეფანას გარიგების ნიგნში მოიხსენიება 50 მონეტა:

მნივო ეკონომიკა, ქონება), 100, №69.

46 იქვე, 327, №222.

47 ჩვენთვის ამ დოკუმენტს ის ღირებულება აქვს, რომ კარგად გვისურათებს ქართველი / ქართლ-კახეთის სოფდაგრების ფინანსურ ურთიერთქმედებას, შეიძლება ითქვას ურთიერთმხარდაჭერასაც კი, ქართლ-კახეთის სამეფოს ფარგლებიდან შედარებით შორს საგარეო-სავაჭრო ოპერაციების შესრულებისას.

48 ბერძენიშვილი (მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა), *მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. ნიგნი II (ვალი, იჯარა, ვაჭრობა)*, 58, №90.

49 ერევნის სახანოს საკუთარი ემისიები ძალიან მწირია, და სავსებით ლოგიკურია რომ მის ეკონომიკაში წამყვანი როლი სწორედ ოსმალურ საფასეს (ალთმიშლულებს) შეესრულებინა; ქართლ-კახეთის სამეფოს სირმა თეთრის პარალელურად.

50 იქვე, 139, №191.

„[...]”
ეჭ [5 თუმანი და 5 მინალთუნი] ქ. ნ ალთმიშლული, ა – ჩრ (მი-
ნალთუნ-უზალთუნი)⁵¹

კრედიტორის მიერ გაცემული სესხის ანგარიშის ნუსხაში, რომელიც 1795 წლის ახლო ხანებით თარიღდება, ვალის ნაწილ-ნაწილ გასტუმრებაა აღრიცხული; ზოგ შემთხვევაში უბრალოდ (ნაღდი ფულითა თუ ქონების სახით) დაბრუნებული თანხის ოდენობაა მითითებული (გადაანგარიშებულია დაკანონებულ ვერცხლის საფასეზე), მაგრამ სხვაგან ისიც კი არის მითითებული, სესხის ნაწილი თუ რა მონეტით დაბრუნდა. აბაზთან და ალთუნთან (sic) ერთად, მოხსენიებულია ალთმიშლულიც:

„ქკ—ს უპ ამ წელს აქეთ არის ნიკოლაზედ ჩემი თეთრი, ტეტიამ რომ შემაპირა ივ (16 თუმანი). აქედამ მოუცია რაც ამას ქვეით სწერია:

[...] შ [თვრამეტი შაური] ქ. კიდევ მამცა ალთმიშლული ა [1].
[...] ც [ორი მინალთუნი] ქ. კიდევ მომცა ორი ალთუნი და ერთი აბაზი, მარტყოფს რომ მივიდოდ
[...]”⁵²

იგივე ოსმალური მონეტა ასევე მოიხსენიება 1798 წლის 6 ივნისით დათარიღებულ გიორგი ციციის-შვილის მოვალეების საქმეზე მსაჯულთა კრებულის განაჩენის⁵³ წიგნში:

„ქ. გიორგი ციციის-შვილი ამ თამასუქის ვალზედ ამილღაბარს და იმის შვილს იოსებს რომ ელაპარაკებოდა, ეს ოცდახუთი ალთმიშლული თავს იდო, უნდა მივცეთო. ვინემდინ მისცემდნენ, რომელიც ამ თამასუქში თეზოს-შვილი ანდრია უწერია, ვინემ ამ თეთრს მისცემდნენ, ეს კაცი გირაოთ გიორგი ციციის-შვილს უნდა ეჭიროს, და როდესაც მისცემს, კაცი ისევ უნდა და(ა)ნებოს. ამის გარდა ერთი სხვა თამასუქი ჰქონდა გიორგი ციციის-შვილს ნიკოლოზისა და ამილღაბარისაგან აღებული ათის თუმნისა, თუმანი ორ შაურად, ქკს უპა, ამ წელს აღებული. გირაოთ დოესი ეწერა, მაგრამ აღარ დაენებებინათ. ამ ათის თუმნიდამ ხუთი თუმანი ნიკოლოზს მიუცია თავისი სარგებლით გიორგი ციციის-შვილისათვის, ხუთი თუმანი ამილღაბარს დაედო. ეს თავნი და სარგებელი ორ შაურად რომ ჩავაგდევით, დადგა სამი თუმანი სარგებელი, და თავნი და სარგებელი იქნება რვა თუმანი. ამ რვა თუმანში და ზემოთ რომ ოცდახ-

51 ბერძენიშვილი (მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა), მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. წიგნი III (ალმშენებლობა, სახელმწიფო ეკონომიკა, ქონება), 187, №147.

52 ბერძენიშვილი (მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა), მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. წიგნი II (ვალი, იჯარა, ვაჭრობა), 117-118, №178.

53 გირაოდ ყმა გლეხია გადაცემული (ამ ყმა გლეხისგან მიღებული შემოსავალი).

უთი ალთმიშ(ლ)ული უნერია, ამეხში გირაოთ თედოზას-შვილი ანდრია მისცა ამილლაბარის-შვილმა იოსებმა. ვინემ თეთრს მისცემს, ეს კაცი გიორგის ციციის-შვილს უნდა ეჭიროს, სარგებელს კი ველარ აიღებს. მთიბათვის ვ, ქკს უპე. [...]

[ბეჭდები]

ქ. ავიღე მე, ამილლაბარ ციციის-შვილმა, შენ, ბატონის შვილის სიმამრი ციციის-შვილი გიორგისაგან, ოცდახუთი ალთმიშლული. ამისი გირაოთ მოგეცი თედოზაშვილი ანდრია. მანამ შენი თეთრი არ მოქცე, იმასთან საქმე არ მქონდეს, არის ამისი მოწამე [...]

დაინერა აპრილის კდ, ქკს უპე.

[...]

სხვა ხელით: ქ. ჩვენ სრულიად ქართლის, კახეთისა და სხვათა მეფე გიორგი ამ სამართალს ვამტკიცებთ. ივლისის 3, ქკს უპე.⁵⁴

ალთმიშლული ჩანს მანუჩარ და სულხან თუმანის-შვილების ვალების ნუსხაშიც (1799 წელი):

„[...]

თ (ცხრა მინალთუნი)

ქ. შიოშმა ასი ალთმიშლული
კვეზერელს წაუღო

[...]”⁵⁵

ალთმიშლული გვხდება იმავე პირების მიერ 1799 წელსვე შედგენილ გიროების ნუსხაშიც:

„[...]
3 ჯ (რვა თუმანი და რვა მინალთუნი)

ქ. ამან ზაქარიამ მოიტანა
ალთმიშლული რ, იქნება
3 [რვა თუმანი] და თეთრი
ჯ [რვა მინალთ.]. იქნება.
თიბათვის თ.

[...]”⁵⁶

(პალეოგრაფიული ანალიზით) უკვე XIX საუკუნის დასაწყისის სულხან მდივნის თეთრის ნუსხაში ალთმიშლულების ძალიან დიდი რაოდენობა არის მითითებული - 1,160:

„სულხან მდივნის თეთრი.

[...]

რე [105 თუმანი]

ქ. ასლანას მიჰბარდა ალთმიშლული ჩრჲ / ვთ
ამ.

[...]

3 [80 თუმანი]

ქ. ამათვე ფარჩა მოგვცეს რაგანდელებს (sic)
ალთმიშლებლებში (sic), მიეცა ამისი. ასლანას

54 იქვე, 121-122, №185.

55 იქვე, 144, №197.

56 იქვე, 146, №198.

მიზარდა ალთმიშლელების (sic) ბარათი ოა ძქ
[71 თუმანი და 18 აბაზი]. გასპარასა და
სტეფანას ზ ხუ [8 თუმანი, 6 მინალთ. და 2
აბაზი], იქს.

[...]”⁵⁷

იმ გარემოებას, რომ ალთმიშლულს მსხვილ ნეგოციანტთა გარდა უბრა-
ლო ხალხიც იცნობდა, საფიქრებელია, ადასტურებს სააათნოვას კიდევ ერთი
ლექსი. სატარულოდ ავტორს სწორედ „ალთმიშულს”⁵⁸ (sic) ართმევენ...:

„შე სანყალო ჩემო თავო

შე სანყალო, ჩემო თავო, რა იქენ,
ქვეყანაში სასაცილო შეიქენ!
საითაც გაიქეც, იქით წაიქეც
ბოლო დროსაც ბედოვლათი შეიქენ
რომელს დავაბრალო, რისაგან არის?
ეს საქმენი ჩემის ჭკვისაგან არის!

თითქმის ვიყავ ქვეყანაში ქებული,
ჭიქასავით ოქროს ყუთში დებული!
ეს რა მომივიდა ახირებული!
განა ჩემი თავი ქვისაგან არის?!
რომელს დავაბრალო, რისაგან არის?
ეს საქმენი ჩემის ჭკვისაგან არის!

ბრინჯი ვიყავ – ქერობა რად მინდოდა?
მტრედი ვიყავ – მწყერობა რად მინდოდა?
ერთი მითხარ, ბერობა რად მინდოდა?
ვეჭვობ ჩემის უბედურ დღისაგან არის!
რომელს დავაბრალო, რისაგან არის?
ეს საქმენი ჩემის ჭკვისაგან არის!

აგერ მიღმა ურმებიცა ამართეს,
საფრანგეთის ტურფა საზი გამართეს!
ალთმიშული სატარულოდ წამართვეს
იმიტომ, რომ ერთსა ქოხში სდგეხარო!
რომელს დავაბრალო, რისაგან არის?
ეს საქმენი ჩემის ჭკვისაგან არის!

სააათნოვა შეინახე შენთანა...
საჯინიბოს დააყენე ცხენთანა!

57 ბერძენიშვილი (მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა), მასალები
საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. ნიგნი III (ალმშენებლობა, სახელ-
მწიფო ეკონომიკა, ქონება), 350-351, №248.

58 თანდართულ ლექსიკონში გამომცემელი ტერმინისთვის ადეკვატურ
განმარტებას ვერ პოულობს და თავადაც კითხვის ნიშანს უსვამს – „ექვსი
მიშული (?)”. გრიშაშვილი, სააათნოვა და ძველი ტფილისი, .

ველარ წავა ხონთქართან, ყეენტანა,
ნაქებია სუფრაშია ჩვენთანა...
ჩემი ჭიანური ხისაგან არის...
რომელს დავაბრალო, რისაგან არის?
ეს საქმენი ჩემის ჭკვისაგან არის!”⁵⁹

ვიცნობთ ისეთ შემთხვევასაც, როდესაც ოსმალური საფასით უშუალოდ ხელისუფლება ოპერირებს. ასე, მაგალითად, 1800 წლის 31 მაისს, ყურუშები (35 ცალი), მიზნობრივად გამოჰყვეს ოსმალეთის იმპერიაში გასახარჯად:

„ქ. ბერძენ იოვაკიმ დელი-ბალთას აზრუმიდამ ქარხანაჯის მოყვანის ფეხის ქირათ ბოძებია ყურუში ლე. [...]”⁶⁰

*

ქართლ-კახეთის სამეფოში სამონეტო მიმოქცევაში გარკვეულ როლს რუსეთის იმპერიის ვერცხლის საფასეც ასრულებდა.

„რუსისს თეთრი„ მოიხსენიება ადგილობრივ საბუთში უკვე გაერთიანებული ქართლ-კახეთის სამეფოს არსებობის გარიჟრაჟზე; კერძოდ, 1748 წლის დოკუმენტში (თარიღდება ბეჭდის ანაბეჭდის მიხედვით):

„ქ. დავსხედით დივანბეგის ბძანებითა ჩვენ, მონთონთ მიკრტუმამა და ტერტერას-შვილი შაქროამა და ბარათანთ სტეფანამა, სიმოვანას და ზურაბას საქმეზე. და ზურაბამ ათი თუმანის რუსისს თეთრის თამასუქი ქონდა. რათგან სიმოვანაც კადრი იყო, ახლა რათგან მაშინაც რუსისს თეთრი ნაკლები იყო, და ახლა ჰუზურჩიც არა იყო არა, და ცამეტი თუმანი ერთი წელიწადის უკან უნდა მიეცეს. სახლები გირაოთ დაინეროს, და ოთხი თუმანი ახლა უნდა მისცეს, რომ შეიქნება შვიდმეტი თუმანი. ჩვენი ჭკვა ასე გაგვიჭრა, ბრძანება თქვენი არის [ბეჭდები]”⁶¹

ქართლ-კახეთის სამეფოში რუსეთის იმპერიის სხვადასხვანაირი რუბლების მიმოქცევა⁶² ადასტურებს თავად მონარქის, ირაკლი II-ის წერილი რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლისადმი, ანტონ მოურავოვისადმი; გზავნილი 1770 წლის 3 ივნისით არის დათარიღებული და მასში ქართველი მონარქი განმარტავს ქართლ-კახეთის სამეფოში რუსეთის იმპერიის

59 იქვე, 107.

60 ბერძენიშვილი (მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა), მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. წიგნი III (აღმშენებლობა, სახელმწიფო ეკონომიკა, ქონება), 133, №90.

61 ბერძენიშვილი (მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა), მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. წიგნი II (ვალი, იჯარა, ვაჭრობა), 156, №214.

62 ფალავა, სირმა თეთრი. ქართული ეროვნული ვერცხლის საფასე, 248-256.

მონეტების გაცვლით კურსს:⁶³

„ბრწყინვალეო კნიაზო ანტონი მოურავოვ,
ჩემო კეთილ-სარწმუნო მეგობარო!

შენს ბრწყ. ჩვენთვის ეკითხა – მ. დიდ-ბის ოქრო და ვეცხლი როგორ იხარჯება გამომიცხადეო. ჩვენ ესე განვაცხადებთ შენს ბრწყინვალეობისადმი: რომელიც იმპერიალი არის მ. დიდ. ის ერთ თუმნად იხარჯება დაუყოვნებლად; რომელიც ძველი რუბლი არის ის ექვს აბაზად აქაურს თეთრზედ, და ახალი რუბლი ხუთ აბაზ ერთ შაურად. ჩვენ ჩვენს ქვეყანაში ბძანებით ძალსაც მოვინდომებდით ყოვლად მოწყალის ჯელმნიფის სამსახურისათვის, რომ უნამეტნავესადაც გასულიყო ოქროც და ვეცხლიცა, მაგრამ რადგანაც გარეშემო მეზობლებში მეტად არ დაიხარჯება, ამისთვის ვაჭართ ზიანს გაუფრთხილდით, რომ ქვეყანას სავაჭრო არ მოაკლდეს.

შენის სიკეთის მარადის წადიერი
მეფე ქართლისა და კახეთისა
ირაკლი

წელსა ჩლო, ივნისის გ.⁶⁴

1771-1772 წლებისთვის ქართლ-კახეთის სამეფოში რუსეთის იმპერიის სხვადასხვანაირი რუბლის მიმოქცევაზე წერს გიულდენშტედტიც:

„Abasi oder Abas, eine silbermünze [...] Diese is die häufigste und fast einzige Münze im Gebiete des Zaars Heraklius. Ihr eigentlicher Werth gegen Kupfermünze ist nur 20 Kop., man erhält aber für einen Katharinenrubel 5 ½ Abas und für einen Elisabeth- oder Annenrubel 6 ½ Abas.“⁶⁵

„აბაზი – ვერცხლის ფულია [...] ეს არის ყველაზე გავრცელებული და თითქმის ერთადერთი ფული ერეკლე მეფის სამფლობელოში. მისი წამდვილი (საკუთარი) ფასი, სპილენძის ფულთან შედარებით, არის მხოლოდ 20 კაპიკი; ეკატერინეს მანეთში [რუბლში – ი.ფ.] იღებენ 5 1/2 აბაზს, ხოლო ელისაბედის ან ანნას მანეთში [რუბლში – ი.ფ.] – 6 1/2 აბაზს.“⁶⁶

63 ამ პირველწყაროს მიაქცია ყურადღება ნიკოლოზ ქოიავამაც, მაგრამ „ძველი“ და „ახალი“ რუსული რუბლების განსხვავებული სინჯადობა არ გაუთვალისწინებია; საზოგადოდ, გაანგარიშებული აქვს მხოლოდ იმპერიალის ფარდობა ადგილობრივ საფასესთან. ქოიავა, *ფულის მიმოქცევა, კრედიტი და ფინანსები XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში*, 71-72.

64 Цагарели (под редакцией), *Грамоты и другие исторические документы относящиеся к Грузии. Том II, Выпуск I. Грузинские тексты с 1768 по 1801 год*, 37; ქოიავა, *ფულის მიმოქცევა, კრედიტი და ფინანსები XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში*, 71.

65 გიულდენშტედტი, *გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტომი პირველი* (გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა), 232, 234.

66 იქვე, 233, 235.

1774 წელს რუსეთის იმპერიის წარმომადგენელი, კაპიტანი ლვოვი თავის პატაკში ასევე ეხება ქართლ-კახეთის სამეფოში რუსეთის იმპერიის სხვადასხვანაირი რუბლის მიმოქცევის საკითხს: რუსული საექსპედიციო კორპუსის მოქმედების პერიოდში (1769 წლის აგვისტო – 1772 წლის მაის-ივნისი⁶⁷), და 1774 წელს.⁶⁸

ირაკლი II-ის „ძველი“ რუბლი უნდა იყოს იგივე ანნას ან ელისაბედის რუბლი; ანუ, 1731-1761 წლების საბანკო მონეტა, – საერთო ლიგატურული მასით 25.85 გ, და ვერცხლის შემადგენლობით 20.73 გ;⁶⁹ „ახალი“ კი ეკატერინეს რუბლია; ანუ, 1761-1796 წლების საბანკო მონეტა, – საერთო ლიგატურული მასით 24.00 გ, და ვერცხლის შემადგენლობით 18.00 გ.⁷⁰

1788 წლის ახლო პერიოდით დათარიღებულ საბუთშიც (როგორც ზემოთ დავინახეთ), ანგარიშსწორება ახალციხელსა (sic) და თბილისელს შორის ასევე „რუსის თეთრითაც“ წარმოებს: „ორ დაფათ კიდეც მე მომცა რუსის თეთრი.“⁷¹ სამწუხაროდ, არ არის დაკონკრეტებული თუ რა ნომინალის საფასე იგულისხმება, თუმცა კი, ტერმინ „თეთრი“-ს გამოყენება ცხადპყოფს, რომ საუბარია ვერცხლის მონეტებზე.

რუბლების გარდა, ქართლ-კახეთის სამეფოში ასევე მიმოიქცეოდა შედარებით დაბალნომიანი რუსული ვერცხლის საფასე – გრივენიკები (ГРИВЕННИК). ამ შემთხვევაში პირიქით – წერილობითი წყაროების დუმილის პარალელურად – ამ ნომინალის მონეტებს არცთუ მცირე რაოდენობით ვხვდებით ქართლ-კახეთის სამეფოში ტეზავრირებულ, როგორც ჩანს, ეთნოგრაფიულ-რელიგიური ხასიათის სამონეტო კომპლექსებში – კერძოდ, მთიანეთის I და ფშაველის განძებში რუსული გრივენიკების ხვედრითი წილი შეადგენს მონეტების საერთო რაოდენობის 17.4% და 52.9%-ს.⁷²

67 გიორგი პაიჭაძე, ქველი ჩხატარაიშვილი, „1768-1774 წლების რუსეთ-თურქეთის ომი და საქართველო“, *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*. ტომი IV. საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე (ტომის რედაქტორი მამია დუმბაძე) (თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1973), 652-658.

68 Александр Цагарели (под редакцией), *Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии. Том I, с 1768 по 1774 год. С картой Закавказья 1771 года* (С.-Петербург: Типография В. Киршбаума, 1891), 405.

69 Уздеников, *Монеты России. 1700-1917*, 412, 415.

70 იქვე.

71 ბერძენიშვილი (მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა), *მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. ნიგნი II (ვალი, იჯარა, ვაჭრობა)*, 82-84, №121.

72 ფალავა, *სირმა თეთრი. ქართული ეროვნული ვერცხლის საფასე*, 247.

თავი V. სპილენძი

ქართლ-კახეთის სამეფოში სპილენძის საფასის მიმოქცევის შესასწავლად განსახილველია რამდენიმე პირველწყარო:

- აღნიშნულ პერიოდში თბილისის ზარაფხანაში წარმოებული და, დავამატებთ, ნაწილობრივ, იქვე დადამლული სპილენძის მონეტები;
- ქართლ-კახეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ადგილობრივი თუ შემოტანილი ცალკეული სპილენძის მონეტები და მათი შემცველი სამონეტო განძები;
- თანადროული ქართული (ქართლ-კახეთის სამეფოს) დოკუმენტური მასალა.

*

1834 წელს, ქართლ-კახეთის სამეფოს მონეტარულ-ეკონომიკური ისტორიის დახასიათებისას თეიმურაზ ბატონიშვილმა აღნიშნა:

„შავი ფული, ესე იგი სპილენძისა, იჭრებოდა ტფილისში საკმაოდ“¹

თბილისის ზარაფხანა მართლაც დიდი როდენობით უშვებდა სპილენძის საფასეს, შავ ფულს.² ქართლ-კახეთის სამეფოს სპილენძის ემისიებში იკვეთება რამდენიმე სამონეტო ტიპი. ყველა აქამდეც გამოქვეყნებულა,³ ამიტომ თავს შევიკავებთ მათი თუნდაც მოკლედ აღწერისგან. განსხვავებულ სამონეტო ტიპებს აღვნიშნავთ წამყვანი იკონოგრაფიული ელემენტის მიხედვით; ვუთითებთ ასევე ემიტენტის სახელს; მოჭრისა თუ სამონეტო ტიპის შემოღების თარიღს.

- ლომი, თეიმურაზ II, ჰ. 1162 წ. (1748/9);
- კორტნა, თეიმურაზ II და ერეკლე II, ჰ. 1166, 1168 და 1169 წწ. (შესაბამისად, 1752/3, 1754/5 და 1755/6 წწ.);
- ბაგრატიონთა გერბი, ირაკლი II, ჰ. 1179 წ. (1165/6);
- თევზი, ირაკლი II, ჰ. 1190 წ. (1776/7);
- ორთავიანი არწივი, ირაკლი II, ჰ. 1201 წ. (1786/7), ჰ. 1201 წ. (1786/7) და 1787, ჰ. 1201 წ. (1786/7) და „1781“, ჰ. 1202 წ. (1787/8) და „1781“, ჰ. 1203

1 თეიმურაზ ბაგრატიონი, *თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები* აკად. მ. პროსესადმი (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო სოლომონ ყუბანიევიშვილმა), 41-42.

2 სხვა ამბავია, თუ რამდენად უწყვეტად თუ წყვეტილად აკეთებდნენ ამას; ჩვენი აზრით, შავი ფული მუდმივად არ იჭრებოდა, არამედ, - დროდადრო. ამ საკითხზე საგანგებო ნაშრომს ვამზადებთ.

3 Пахомов, *Монеты Грузии*, 256-270; ფალავა, "ჰერალდიკური იკონოგრაფია XVII-XIX სს-ის თბილისის სპილენძის მონეტებზე", 90-97.

ნ. (1788/9) და 1789, ჰ. 1203 ნ. (1788/9) და „1781“, ჰ. 1206 ნ. (1791/2) და 1791:

- ცალთავიანი არწივი, ირაკლი II, ჰ. 1210 ნ. (1795/6) და 1796 ნ.;
- თევზი, გიორგი XII, ჰ. 1213 ნ. (1798/9);
- ფარშევანგი, temp. დავით ბატონიშვილი / რუსული მმართველობა, ჰ. 1215 ნ. (1800/1).

ეს მონეტები რამდენიმე ნომინალად იჭრებოდა, რომლებიც მხოლოდ მონეტების წონა-ზომით განირჩეოდა.⁴

აღსანიშნავია, რომ როგორც ქართლ-კახეთის სამეფოს, ასევე უცხოურ (სამეფოს ტერიტორიაზე ნაპოვნ) შავ ფულეებზე არცთუ იშვიათად გხვდება თეიმურაზის დამლა, ან ირაკლის ორი (პატარა და დიდი) დამლიდან ერთ-ერთი.⁵

ქართლ-კახეთის სამეფოში გამოშვებული სპილენძის მონეტების ტირაჟზე მსჯელობისთვის რაიმე საბუთი არ შემორჩენილა. დღევანდელობამდე შემორჩენილ ცალთა სიუხვე გვაფარაუდებინებს, რომ ტირაჟები უმნიშვნელო არ იყო (თითო-ოროლა სამონეტო ტიპის გამოკლებით). მათ ფართო გავრცელებაზე მიუთითებს როგორც წინა პერიოდში (იხ. ევგენი პახომოვის შეგროვებული ცნობები), ასევე ბოლო წლების მრავალრიცხოვანი პოვნის ფაქტები; მართალია, ბოლოდროინდელი აღმოჩენების უმეტესი ნაწილი, სამწუხაროდ, უპასპორტოა, მაგრამ მათი გეოგრაფიული განაწილება, რამდენადაც შეგვიძლია ვიმსჯელოთ, საკმაოდ ფართოა, და უწინდელი ქართლ-კახეთის სამეფოს ტერიტორიას ფაქტიურად მთლიანად მოიცავს.

შეიძლება ისიც გვევარაუდა, რომ სპილენძის საფასის წარმოების მასშტაბი დროთა განმავლობაში უნდა გაზრდილიყო; ამას ხელს შეუწყობდა რამდენიმე გარემოება: 1) სახელმწიფოს დედაქალაქის, თბილისის, და სხვა დასახლებების ურბანული განვითარება (შედარებითი მშვიდობიანობის წყალობითაც), 1795 წლამდე მაინც; 2) საზოგადოდ, სახელმწიფოს ეკონომიკური წინსვლა (გეორგიევსკის ტრაქტატის დადებით გამოწვეული საგარე-სამხედრო საფრთხის მკვეთრად გაზრდამდე მაინც), რომლის ერთ-ერთ კომპონენტად ეკონომიკის გაზრდილი მონეტიზაციაც უნდა მივიჩნიოთ; 3) ფულად გარდაქმნისთვის ვარგისი სპილენძის დიდი რაოდენობით ხელმისაწვდომობა (ალავერდისა და, საფიქრებელია, ასევე, შამბლულის სპილენძსადნობი ქარხნის ამუშავების შემდეგ); 4) სახელმწიფოს მესვეურთა ფულადი პოლიტიკის ევოლუცია-განვითარება; უფრო მეტად გამოხატული საკრედიტო ბუნების მქონე საფასის შემოღება-დანერგვის იდეის ჩასახვა? (დიდი ალბათობით, საგარეო, კერძოდ, რუსეთის იმპერიისა და შვედეთის სამეფოს ანალოგების მიბაძვით)⁶ - ფისკალური მოგების

4 Пахомов, *Монеты Грузии*, 270-276; Евгений Пахомов, *Вес и достоинство медной монеты Тифлиса XVII-XVIII в.в.* (Баку, 1928).

5 Пахомов, *Монеты Грузии*, 269-270; Paghava, Lobzhanidze, Turkia, „Countermarking of Copper Coins in Late 18th Century Georgia”, 38-46.

6 ფალავა, „იოანე ბატონიშვილის „სჯულდება“ როგორც წყარო ფულადი

დამატებით გაზრდის მიზნით.

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ საკუთარი შავი ფულების სიუხვის პარალელურად, ქართლ-კახეთის სამეფოს ტერიტორიაზე პრაქტიკულად არ გვხვდება იმპორტირებული, – სინქრონული უცხოური (მეზობელი სახელმწიფოების, სახანოების) მონეტები – თუ არ ჩავთვლით რუსულ სპილენძის ფულს, რომელსაც ქვემოთ მივუბრუნდებით.

შეიძლება საკვირველი მოგვეჩვენოს, მაგრამ ქართლ-კახეთის სამეფოს ტერიტორიაზე თავად ქართლ-კახეთის სამეფოს მონეტების ფართო გავრცელების (ხშირად პოვნის) პარალელურად, აშკარად მცირეა ამ მონეტების შემცველი *განძების* რიცხვი.

(უპირატესად?) სპილენძის მონეტების შემცველი სამონეტო კომპლექსებიდან ცნობილია სულ 4 (ვერცხლის მონეტების შემცველ 19 განძს ვიცნობთ; – *vide supra*. მათ შორის ერთ-ერთი – გორის უფეზდის, შეიცავდა როგორც ვერცხლის, ასევე, უპირატესად, სპილენძის მონეტებს):

- პატარა ლილოს თეიმურაზ II-ის ფულების განძი (2024 წ.): ექსკლუზიურად თეიმურაზ II-ის სპილენძის მონეტები - სულ 11 ნახევარი ბისტი. განძის ტეზავრაცია, სავარაუდოა, მომდევნო სამონეტო ტიპის შემოღების წინარე პერიოდში, ანუ, დაახლოებით, 1750-იანი წლების დასაწყისში მომხდარიყო;
- გორის უფეზდის შერეული განძი (1906): ირაკლი II-ის დაახლოებით 60 სირმა აბაზი, და 5 ფუთზე მეტი სპილენძის მონეტა, აქედან რუსეთის იმპერიის (1760-, 1770-, 1780-იანი წლების) 5-კაპიკიანები, ისევე, როგორც, ჩანს, ეკატერინე II-ის 2-კაპიკიანებიც; ასევე ირაკლი II-ის სპილენძის ბისტები და ნახევარ-ბისტები, ძირითადად ერთთავიანი არწივის გამოსახულებით (1796), მაგრამ, მცირე რაოდენობით, ერთთავიანი არწივის გამოსახულებითაც (თარიღების სხვადასხვა კომბინაციით). განძის ტეზავრაცია XVIII ს. დასასრულით უნდა დავათარილოთ;⁷
- ირაკლი II-ის 1796 წლის ფულების უპასპორტო განძი (აღმოჩენილია აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, დაუზუსტებელ ადგილას) (2020-იანი წლების დასაწყისი): ირაკლი II-ის 1796 წლით დათარიღებული დაახლ. 15-25 ბისტი და ნახევარბისტი. განძის ტეზავრაცია 1790-იანი წლების დასასრულით უნდა დათარიღდეს;⁸
- რუსეთის იმპერიის ხუთკაპიკიანების ახმეტის განძი (2024 წ.): ეკატერინე II-ის სახელით ეკატერინბურგის ზარაფხანაში მოჭ-

პოლიტიკის დარგში ქართლ-კახეთის სამეფოს მმართველი ელიტის აზროვნების შესასწავლად / Paghava, „Prince Ioane’s *Sjuldaba* (Code) as a Window into the Mindset of Monetary Policymakers in the Kingdom of Kartli-Kakheti”, 31-33.

7 ფალავა, სირმა თეთრი. ქართული ეროვნული ვერცხლის საფასე, 229.

8 ფალავა, "ფულადი მიმოქცევა XVIII საუკუნის II ნახევრისა და XIX საუკუნის დასაწყისის ქართლ-კახეთში – დამატებითი ცნობები", 180-181.

რილი 8 ხუთკაპიკიანი (თარიღებით: 1763, 1769, 1770, 1771, 1779, 1780, 1781, 1784). სამონეტო კომპლექსის ტეზავრაციას 1780-იანი წლებით დავათარილებდით, უფრო კი ამ ათწლეულის II ნახევრით; ან, ყველაზე გვიანი, 1790-იანი წლებით.⁹

განძების შემადგენლობის შესწავლა იძლევა საშუალებას რამდენიმე დაკვირვება გავაკეთოთ.

პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს ტერიტორიაზე დომინირებს სწორედ ამ სახელმწიფოს შავი ფული. უცხოური მონეტები ტეზავრაციას, რამდენადაც ამ ოთხი კომპლექსით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, - არ ექვემდებარებოდნენ. ერთადერთი, და მეტად მნიშვნელოვანი გამონაკლისია რუსეთის იმპერიის სპილენძის მონეტები.¹⁰ უფრო მეტიც, თავად ქართლ-კახეთის სამეფოს საკუთარი, თბილური სპილენძის მონეტები ტეზავრაციას ნაკლებად ექვემდებარებიან; - თუ გავითვალისწინებთ მათ ნაკლებ ღირებულებას და მეტ ხელმისაწვდომობას მოსახლეობის ფართო ფენებისთვის, კიდევ უფრო თვალში საცემია მკვეთრი სხვაობა ცნობაში მოყვანილ ექსკლუზიურად სპილენძისა (3) და ექსკლუზიურად ვერცხლის მონეტების (18) განძებს შორის: 1:6. გარდა იმისა, რომ მოსახლეობა, ჩანს, ნაკლებად არის მიდრეკილი, ქართლ-კახეთის სამეფოს შავი ფულები გადაინახოს, - მათი მიმოქცევაც ქრონოლოგიურად დანაწევრებული ჩანს: სხვადასხვა ტიპის, ე.ი. სხვადასხვა დროის სპილენძის მონეტები ერთმანეთს პრაქტიკულად არ ერევა (გორის უფეზდის განძი ერთადერთი გამონაკლისია).

*

რაც შეეხება დოკუმენტურ პირველწყაროებს, ქართლ-კახეთის სამეფოს დროინდელი, ეკონომიკური ხასიათის საბუთები სავსეა ამა თუ იმ ვერცხლის საფასის ხსენებით; ანდა, უბრალოდ ციფრია მითითებული, რომელიც, ვერცხლის მონომეტალიზმის პირობებში, ასევე კანონიერი ვერცხლის საფასით ათვლილ თანხას აღნიშნავს. ამგვარი დოკუმენტები ასეულებს მოითვლის. საპირისპიროდ ამისა, თანადროულ საბუთებში სპილენძის ფული, როგორც ესეთი, უკიდურესად იშვიათად მოიხსენიება.

ჯერჯერობით ნაპოვნი გვაქვს მხოლოდ ორი საბუთი, რომელშიც მეტ-ნაკლებად არსებითი თანხის ანგარიში შავი ფულით სწორდება (თბილური შავი ფული უნდა იგულისხმებოდეს).

ამ ორიდან ერთი, საერთოდაც, სახელმწიფო უწყების მოქმედებას ასახვას, და, რთული სათქმელია, რამდენად ნებაყოფლობით გარიგებას წარმოადგენს (სახელმწიფოს მხრიდან კონტრაგენტებზე რაიმე ზენოლა ხომ არ მომხდარა); 1790 წლის *ახტალის ოქროს გამოსავლისა და ხარჯის*

9 იქვე, 181-183.

10 შეად. Кебуладзе, „Из истории русско-грузинских взаимоотношений по нумизматическим данным“, 91-104

ნიგნში ჩანს 30 თუმნის გასტუმრება:

„[...]
კვ ცფ [26 თუმანი და 2.5 მინალთუნი]

ქ. ამავე თვის იე ფქვილის
პატრონებს ფქვილის
ფასად მისცემიათ მ
ხარვრისათვის შავი
ფული ლ [30 თუმანი].
ამაში მიუცია თეთრი.
ეს პური ქიტესა ან-
ბარდრის თავლია იოსებ
მდივნის მარიფათით,
ღივან ბარათით. [...]”¹¹

მანუჩარ მდივნის (?), რომელიც ამ შემთხვევაში კერძო პირის როლში გამოდის, ასევე XVIII საუკუნის დასასრულით დათარიღებულ ანგარიშის ნიგნში კი მხოლოდ ორ მინალთუნზეა საუბარი:

„რაც ნაზირისათვის მიმიცია:

[...]
ც [2 მინალთუნი] ქ. სტეფან სარ(ა)იდრის ხელით მივე შავი ფუ-
ლი.”¹²

არ არის გამორიცხული, რომ ეს ორი დოკუმენტი ერთგვარ გამო-
ნაკლისადაც წარმოადგენდეს. ამგვარი, შავი ფულით ანგარიშსწორების
ამსახველი საბუთების სიმწირე ქართლ-კახეთის სამეფოში შავი ფულის
როლის თაობაზე გარკვეული დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა.
ქართლ-კახეთის სამეფოს საბუთებში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მართალია,
სხვადასხვა ტიპის (როგორც წესი, ოქროს ან, უფრო, ვერცხლის) საფასე
მოიხსენიება, მაგრამ ანგარიშსწორება ყოველთვის ვერცხლის მონეტაში
(აბაზ-მინალთუნ-თუმნის სისტემა) ნომინირებულ თანხებზე წარმოებს.

ამ მხრივ ნიშანდობლივია, რომ რუსეთის იმპერიის ფარგლებში რუსუ-
ლი სპილენძის მონეტებით ნასესხებ ფულს ქართლ-კახეთის სამეფოში
ვერცხლის საფასით (sic) ისტუმრებენ¹³ (1794 წლის 1 ივლისის ალა-სტეფანა

11 ბერძენიშვილი (მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა), *მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. ნიგნი III (აღმშენებლობა, სახელმწიფო ეკონომიკა, ქონება)*, 97, №67.

12 იქვე, 326, №220.

13 ბუნებრივია, ანგარიშსწორებისთვის სხვა, ძვირფასი ლითონის საფასესაც იყენებდნენ. ასე, მართალია ოდნავ უფრო გვიანდელ, 1802 წლის 1 იანვრით დათარიღებულ საბუთში, ჩვენთვის უკვე კარგად ნაცნობი ისტორიული პირები იმავე ასტრახანში ნიდერლანდულ დუკატებზე რიცდებიან:

„ქ. ავილე მე, ტერ-შმოვანანთ სტეფანას შვილმან სოლომანამ, თქვენ, კნიაზ მდივანი მანუჩარ თუმანოვისაგან, ოთხას ოცდა ცამეტი დანა ბაჯალლუს ოქრო, რომ ის ამისი ნახევარი ორას თექვსმეტ-ნახევარი დანა ბაჯალლუს ოქრო (სივ0)

აბიმელიქოვისა და მანუჩარ თუმანიშვილის ანგარიში):

„რნგ/ ჯქ (153 თუმანი, 8 მინალთუნი და 3 აბაზი]

„ქ.მერაბ-ალასძმის
კაკალას ვალში
მიეცა ჰაშტარხ-
ანს [ასტრახანში -
ი.ფ.] ორასი თუმ-
ანი რუსის შავი
ფული, იმისთვის
უნდა მივცე ქა-
ლაქის თეთრი.¹⁴

[...]”¹⁵

*

დოკუმენტური და მონეტარული მონაცემები ერთმანეთს ავსებს და შეესაბამება კიდევაც: ქართლ-კახეთის სამეფოში წამყვან როლს თამაშობს ადგილობრივი, თბილური შავი ფული (თუმცა, შემოღწეულია ასევე რუსეთის იმპერიის სპილენძის ფულიც); ამასთანავე, მისი მნიშვნელობა შეზღუდულია – მისი ტეზავრაცია იშვიათია; მეტ-ნაკლებად მსხვილ გარიგებებში მისი მონაწილეობა, ასევე, – უკიდურესად იშვიათია.

ამდენი. [...]

დაინერა ჰაშტარხანს, ჩყბ წელსა, იანვრის ა. მე თვითონ, სოლომანს, დამინერია და ყაბულიცა მაქვს, ეს ჩემი ხელია.” ბერძენიშვილი (მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა), *მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. ნიგნი II (ვალი, იჯარა, ვაჭრობა)*, 168-169, №238.

¹⁴ ყურადღებას იპყრობს თანაფარდობა ქართულ სირმა თეთრსა და რუსულ შავ ფულს შორის, - თბილისში: 1:1.3.

¹⁵ იქვე, 112, №169. იგივე ცნობა მეორდება 1798 წლის ახლო ხანაში შედგენილ მანუჩარ და სულხან თუმანიშვილების სესხის ნუსხაშიც. იქვე, 131-132, №188.

თავი VI. ანალიზი

ქართლ-კახეთის სამეფოს ეკონომიკაში წარმოდგენილი ფულადი მასა არაერთგვაროვანი იყო.

საუბარია არა მარტო მის ფიზიკურ, ნივთიერ გამოხატულებაზე – სხვადასხვა ლითონისგან დამზადებულ მონეტებზე, ქალაქის ფულზე, თუ სხვადასხვა სახის ფულად დერივატზე (თამასუქი თუ ბარათი, მიბარების ბარათი) – არამედ ფულის სხვადასხვა სახეობათა, ანუ, სხვადასხვანაირი ფულის განსხვავებულ საკრედიტო-სასაქონლო ბუნებაზე, და, შესაბამისად, განსხვავებულ ფულად ფუნქციაზე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საზოგადოებრივი ურთიერთობების მოდელიდან და გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან¹ გამომდინარე, ქართლ-კახეთის სამეფოს ბაზრისთვის სრულად თუ გამოხატულად საკრედიტო ფული მიუღებელი აღმოჩნდა. შავი ფულიც კი, ქალაქის ბანკნოტებისგან განსხვავებით, ნაწილობრივ არასაკრედიტო საფასეს წარმოადგენდა, ვინაიდან შედგებოდა მართალია არაძვირფასი, მაგრამ გარკვეული, და არცთუ სიმბოლური ღირებულების ლითონისგან; დადგენილია, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს სპილენძის მონეტებში შემავალი სპილენძი შეადგენდა შესაბამისი, სპილენძის ფულის ნომინალური ღირებულების საკმაოდ არსებით ნაწილს, კერძოდ, 30-50%-საც კი.² ალავერდში (და შამბლულში) უდიდესი რაოდენობით მოპოვებული სპილენძის ხელმისაწვდომობის მიუხედავად, და დაუშვავათ, XVII-XVIII საუკუნეების შვედეთისგან განსხვავებით, ქართლ-კახეთის სამეფოს მონეტარული ეკონომიკის გადაყვანა უპირატესად სპილენძის საკრედიტო ფულზე ხელისუფლებამ ვერ შეძლო; თუმცა კი, - უცდია: ნათელი მაგალითი იმისა, თუ როგორ ეწინააღმდეგებოდა მოსახლეობა მისთვის საკრედიტო საფასის დაძალებას,³ არის ქართლ-კახეთის სამეფოს სპილენძის მსხვილი ნომინალის შავი ფულის, - სპილენძის შაურის - მიღების სირთულეები.⁴

მსხვილ გარიგებებში მონაწილეობდა სრულფასოვანი, ასე ვთქვათ,

1 სახელმწიფო სარეპრესიო აპარატის სისუსტე? ეკონომიკური ურთიერთობების განუვითარებლობა და, შესაბამისად, ფულის მასაზე შეზღუდული მოთხოვნილება?

2 Paghava, „The Profitability of Minting Civic Copper Coins and the Identification of Emerging Nationalism as Seen Through Coin Imagery. A Case Study of the East-Georgian Kingdom Kartl-Kakheti”, 248.

3 რაც სახელმწიფოსთვის დიდი მოგების მომტანი იქნებოდა, მაგრამ ამ ფინანსური ინსტრუმენტის ბოროტად გამოყენების შემთხვევაში ეკონომიკისთვის, საბოლოო ჯამში, საზიანო აღმოჩნდებოდა.

4 Пахомов, *Монеты Грузии*, 261; Пагава, „Восточногрузинское царство и Гянджинское ханство (вопросы регионального нумизматического взаимодействия)”, 221-222.

სრული შინაგანი ღირებულების მქონე ვერცხლისა და ოქროს საფასე. თუმცა, მათი სტატუსიც არ იყო ერთნაირი. ქართლ-კახეთის სამეფო, ტრადიციულად, ვერცხლის მონომეტალიზმის ქვეყანას წარმოადგენდა, (მეტწილად იმპორტირებული) ოქროს მონეტა კი უფრო საქონელ-საფასეს წარმოადგენდა, რომელსაც არ ჰქონდა სტაბილური და დაკანონებული ღირებულება.

ვერცხლის მონეტები წარმოადგენდა სრულფასოვან საფასეს; მათი ნომინალური ღირებულება პირდაპირ კავშირში იყო მათში ძვირფასი ლითონის შემადგენლობასთან და მას თითქმის უდრიდა:

წარმოების ღირებულება + ვეჯუბი = ნომინალურ ღირებულებას

სადაც წარმოების ღირებულება მოიცავს ძვირფას ლითონზე დანახარჯებსაც, ვეჯუბი კი წარმოადგენდა კომისიას ლითონისგან მონეტის მოჭრისთვის (ლითონის ღირებულების, ჩანს, 2-2.5%⁵).

საბუთები (და მონეტარული წყაროები) ცალსახად ადასტურებენ, რომ ქართლ-კახეთის სამეფოში სწორედ ვერცხლის საფასე წარმოადგენდა ანგარიშსწორების ერთადერთ, კანონიერ და საყოველთაოდ მიღებულ საშუალებას:

„საერთო ეკვივალენტი და გადახდის კანონიერი საშუალება ვერცხლის ფული იყო; ყველას უფლება ჰქონდა მოეთხოვა გადახდა ვერცხლის ფულით და ყველა ვალდებული იყო გადაეხადა ვერცხლის ფულით“.⁶

სწორედ (მხოლოდ) ვერცხლის საფასე ასრულებდა ფულისთვის დამახასიათებელი ხუთივე ფუნქციას: იყო (ა) ღირებულების საზომი; (ბ) მიმოქცევის საშუალება (შუამავლობდა საქონლის/მომსახურების ყიდვა-გაყიდვისას); (გ) (გადავადებული) გადახდის საშუალება; (დ) დაგროვების საშუალება; და, ბოლოს, (ე) საერთაშორისო საფასე (ყოველ შემთხვევაში, რეგიონულ და რეგიონთაშორის გარიგებებს უზრუნველყოფდა, ანუ, ასე ვთქვათ, „მსოფლიო ფულსაც“ წარმოადგენდა).

ოქროს მონეტაც სრულფასოვან საფასეს წარმოადგენდა; - მისი ღირებულება შეესაბამებოდა მის შემადგენლობაში შემავალი ძვირფასი ლითონის რაოდენობას. ოღონდ, მას არ გააჩნდა ფიქსირებული ნომინალური ღირებულება (რომელიც ვერცხლის მონომეტალიზმის გათვალისწინებით, მხოლოდ ვერცხლის საფასეს ჰქონდა). როგორც აღვნიშნეთ, ოქრო საქონელ-ფულს წარმოადგენდა. შემადგენლობიდან გამომდინარე, რეალური ღირებულება კი ჰქონდა, მაგრამ მისი მსყიდველობითი უნარი

5 ფალავა, სირმა თეთრი. ქართული ეროვნული ვერცხლის საფასე, 179-180.

6 ქოიავა, „საქართველოს ფულის მიმოქცევა XVIII საუკუნეში“, 76.

ურთიერთშეთანხმებით, როგორც ამას დოკუმენტური მასალა გვიდასტურებს, დასაშვებია იყო ანგარიშსწორება სხვა ლითონის საფასითაც.

არ იყო ფიქსირებული-ნომინირებული. ამრიგად, შეეძლო ფულის ხუთი ფუნქციიდან მხოლოდ ოთხის შესრულება; – ღირებულების უნივერსალური საზომი ვერ იქნებოდა.

ვერცხლთან შესაბამისობაში იყო მოყვანილი ასევე რამდენიმე ნომინალად წარმოდგენილი სპილენძის ფულიც. გვიანდელი მონაცემების რეტროგრადული პროექციებით დგინდება სხვადასხვა წონის სპილენძის მონეტის ვერცხლში გამოხატული ნომინალური ღირებულება (შაური, ბისტი, ორფულიანი, ფული, ნახევარფულიანი).⁷

ოღონდ, განსხვავებით ოქრო-ვერცხლის მონეტებისგან, შავი ფული აშკარად მაინც უფრო საკრედიტო საფასეს წარმოადგენდა: მისი ნომინალური ღირებულება მკვეთრად აღემატებოდა რეალურს – ანუ, მასში შემავალი ლითონის ღირებულებას.

უფრო მეტიც, რომც არაფერი ვთქვათ შავი ფულის საკრედიტო ბუნებაზე (არასრულფასოვნებაზე), საბუთების შესწავლით დასტურდება (რაც ადგილობრივ მონეტარულ ტრადიციასაც შეესაბამება), რომ ქართლ-კახეთის სამეფოში ეკონომიკა შავ ფულს არ ეფუძნებოდა; – ანგარიშსწორების ძირითად და წამყვან, ლეგიტიმურ საშუალებას წარმოადგენდა ვერცხლის საფასე – ქართლ-კახეთის სამეფოს ეკონომიკა, ჭეშმარიტად, ვერცხლის მონომეტალიზმზე იყო აგებული.

შავი ფული უპირატესად წვრილ აღებ-მიცემობაში თუ გამოიყენებოდა; შავი ფულის არასრულფასოვნება, გამოყენების შეზღუდულობისა და სტატუსის მნიშვნელობით, ვერცხლის მონომეტალიზმზე დამყარებული ფულადი ეკონომიკის მქონე სახელმწიფოსთვის სავსებით ბუნებრივად უნდა ჩაითვალოს. მეტ-ნაკლებად არსებითი, არათუ მსხვილი გარიგებების მთავარ მატერიალურ სუბსტრატს ვერცხლის (იშვიათად, ოქროს) საფასე წარმოადგენდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შავი ფულის ფულადი ფუნქციებიც შეზღუდული იყო; – თავისთავად ის არ წარმოადგენდა ღირებულების საზომსა და საერთაშორისო საფასეს; ტეზავორირებული განძების იშვიათობასაც თუ გავითვალისწინებთ, შეზღუდულად ასრულებდა გადავადებული გადახდისა და დაგროვების საშუალების ფუნქციებს; თუმცა, უდავოდ, წარმოადგენდა მიმოქცევის საშუალებას.

*

ქართლ-კახეთის სამეფოს მონეტარული ეკონომიკის მატერიალური სუბსტრატი, ანუ, სხვადასხვა ლითონისგან დამზადებული საფასე, არსობრივად, განსხვავებული იყო; ამასთანავე, ის დინამიკაშიც ტრანსფორმირდებოდა. ამის მიზეზი სხვადასხვა ლითონის საფასისადმი ქართლ-კახეთის

7 Пахомов, Монеты Грузии, 270-276; Пахомов, Вес и достоинство медной монеты Тифлиса XVII-XVIII в.в.

სამეფოს ხელისუფლების განსხვავებული და თანაც ცვალებადი მიდგომა იყო; ხელისუფლების მიერ გატარებული ფულადი პოლიტიკის მრავალგვარობასა და ევოლუციას ვგულისხმობთ.

ირაკლი II-ის 1765/6-1768/9 (ჰიჯრის 1179-1182) წლების რეფორმამდე ქართლ-კახეთის სამეფოში ვერცხლის მონომეტალიზმი ემყარებოდა სხვადასხვა ტიპისა და წარმომავლობის, როგორც თბილურ, ასევე შემოტანილ მონეტაზირებულ ვერცხლს. ქართლ-კახეთში აღმოჩენილ მონეტებს შორის სირმა თეთრის შემოღებამდე მოჭრილი, და, ამასთანავე, არათბილური წარმომავლობის ვერცხლის მონეტების სიუხვევ⁸ ისევე როგორც რეფორმამდელი 2 განძის შემადგენლობა ადასტურებს, რომ გვიანდელი, სირმა თეთრის ემისიის პერიოდისგან განსხვავებით, თბილურ საფასეს არ ჰქონდა სამეფოს ტერიტორიაზე ექსკლუზიური სტატუსი; ის მიმოიქცეოდა სხვა ზარაფხანებში მოჭრილ ვერცხლის მონეტებთან ერთად; ვერცხლის მონეტებს შორის მისი ხვედრითი წილი არსებითი იყო, - საერთო რაოდენობის, სავარაუდოდ, რამდენიმე ათეული პროცენტი (ციფრი ემპირიულია, ზუსტი მონაცემები არ გავაჩნია); თუმცა, ეჭვს არ იწვევს, რომ გარიგებებში თავისუფლად მონაწილეობდა „დიდი ირანის“ და არა მარტო ირანის სხვა ზარაფხანების ნაწარმიც. ეს არც არის გასაკვირი, გამომდინარე ყველა ამ მონეტის მეტროლოგიური (სინჯი, წონა) და ვიზუალური იდენტიურობიდან (ინდურ რუფიებსა და, იერის მხრივ, ოსმალურ „ონლუქებს“ თუ არ ჩავთვლით). ნებისმიერი (ვერცხლის) მონეტის ღირებულებას, საფიქრებელია, განსაზღვრავდა მასში ძვირფასი ლითონის შემადგენლობა, ანუ, პირველ რიგში, წონა (ირანსა და რეგიონში სეფიანურ და პოსტ-სეფიანურ ეპოქაში, საკმაოდ იშვიათი გამონაკლისის გარდა, ვერცხლის მონეტები ძალიან მაღალი სინჯის, პრაქტიკულად, ხალასი ვერცხლისგან იჭრებოდა; საფასეს სინჯი მხოლოდ გვიანდელ კავკასიურ სახანოებში დაუნიეს, უკვე უფრო XVIII საუკუნის დასასრულისკენ. ამრიგად, სინჯის საკითხი შეიძლება უგულებელვყოთ). სირმა თეთრის შემოღებამდე რეგიონში მიმოიქცეოდა ირანული ტიპის საფასე (ოსმალური საოკუპაციო მონეტებიც, ჩანს, ირანული სტანდარტით მოიჭრა), ინდური რუფიებიდან ნადირის მიერ გადმოღებული „ნადირისა“ და თავად ინდური რუფიების დამატებით.

ირაკლი II-ის მიერ ჩატარებული რეფორმის შემდგომ კი ქართლ-კახეთის სამეფოს მონეტარულ ეკონომიკაში დომინირება დაიწყო „ქალაქის ახალმა თეთრმა“, ანუ, სირმა ვერცხლის საფასემ. სხვა ტიპის (ძველმა თუ თანამედროვე) ვერცხლის მონეტებმა დაკარგეს კანონიერი ანგარიშსწორების სტატუსი (მაგრამ არა ღირებულება). სამეფოს ვერცხლის მონომეტალიზმზე დამყარებული ეკონომიკა და სამონეტო ბაზარი სანყის სტადიაზე ღია იყო, ირაკლი II-ის რეფორმის შემდგომ კი შეძლებისდაგვარად ჩაიკეტა, და ეპიქორული გახდა.

8 Пахомов, *Монетные клады Азербайджана и Закавказья*, 32-33.

ვერცხლის მონომეტალიზმზე დაფუძნებული მონეტარული ეკონომიკის მქონე ქართლ-კახეთის სამეფოს შიდა ბაზრის დახურვა უცხოური, თუნდაც, ვერცხლის მონეტისთვის დამტკიცებულია 1770-იანი წლების დასაწყისისთვის: 1774 წლით თარიღდება სამეფოში რუსეთის იმპერიის წარმომადგენლის, კაპიტან ლვოვის მოხსენება, რომელშიც ის პირდაპირ ჩივის უნინ რუსულ [ვერცხლის] მონეტაზე „აკრძალვის“ არსებობას:⁹

“Хотя въ бытность здесь нашего войска много было употреблено старания въ разсуждении безъ убыточнаго нашихъ здесь денегъ обращенія въ сравненіи съ здешнею монетою, но совсемъ темъ, м. г., по тогдашнимъ здешнимъ противу насъ хитростямъ доведено было только до того, что старой нашъ рубль принимали здесь за сто пятнадцать, а новой за сто десять здешнихъ копеекъ; ныне же какъ здесь обнародовано, что бывшее предъ симъ о нашей монете запрещеніе уничтожено, и что оной свободной курсъ позволяется, то самыя теже наши рубли имеютъ предъ прежнимъ цену весьма превосходную, ибо старой рубль за сто тритцать, а новой за сто дватцать пять копеекъ на всякую здешнюю монету охотно променивають; о семь бывшемъ въ денгахъ насъ обмане я е. св. царю Ираклію пристойнымъ образомъ приметить не оставилъ.”¹⁰

„მართალია, ჩვენი ჯარის აქ ყოფნისას დიდი მცდელობა გავწიეთ რათა ჩვენს ფულს აქ ადგილობრივ მონეტასთან მიმართებაში უზარალოდ ეტრიალა, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, მონყალეო ხელმწიფე, მამინდელი ჩვენს სანინაალმდეგოდ [მიმართული] ეშმაკობების გამოისობით, მხოლოდ ის მოხერხდა, რომ ჩვენს ძველ რუბლს აქ ას თხუთმეტ, ახალს კი ას ათ ადგილობრივ კაპიკად იღებდნენ; ამჟამად კი რაც გამოქვეყნდა, რომ აქამდე ჩვენს მონეტაზე არსებული აკრძალვა გაუქმდა, და მისი [გაცვლის] თავისუფალი კურსიც არის ნებადართული, ზუსტად იგივე ჩვენი რუბლები წინანდელზე დიდი აღმატებით ფასობს, ვინაიდან ხალხით ცვლიან ნებისმიერ აქაურ მონეტაზე ძველ რუბლს ას ოცდაათ, ახალს კი ას ოცდახუთ კაპიკად; უნინ, ფულში ამ ჩვენს მოტყუებაზე მისი უდიდებულესობა მეფე ირაკლისთვის წესიერად ხსენება არ გამომჩენია.”¹¹

ხსენებული აკრძალვა, როგორც ვხედავთ, აბსოლუტური არ იყო; უბრალოდ, გაცვლითი კურსის მანიპულირებით, უცხოური ვერცხლის მონეტის ღირებულება ხელოვნურად დანიეს.¹²

საზოგადოდ, სირმა თეთრის, როგორც კანონიერი საფასის ექსკლუზიური სტატუსი არ გამოორიცხავდა ქართლ-კახეთის სამონეტო ბაზარზე

9 Цагарели (под редакцией), *Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии. Том 1, с 1768 по 1774 год. С картой Закавказья 1771 года*, 401-405.

10 იქვე, 405.

11 თარგმანი ჩვენია.

12 ფაღავა, *სირმა თეთრი. ქართული ეროვნული ვერცხლის საფასე*, 251-255.

სხვა ვერცხლის მონეტების ბრუნვასაც. თუმცა, ისინი, ოქროს საფასის მსგავსად, საქონელ-ფულს წარმოადგენდა, ფიქსირებული ღირებულების გარეშე. ძმები მანუჩარ და სულხან თუმანიშვილების 1799 წელს დაწერილ გიროების ნუსხაში ძალიან კარგად ჩანს რომ, მაგალითად, „ალთმიშლული“ – საქონელ-ფულია, ის არ მოიხსენიება საფასედ, ამ მონეტის სახელწოდება მითითებულია, როგორც საქონლის ზუსტად აღმწერი ტერმინი; იქვე კი აღნიშნულია თუნდაც ათჯერ ნაკლები თანხა (8 მინალთუნი 8 თუმნის მეთაედია), მაგრამ რა მონეტით, - დაზუსტებული არ არის, - უბრალოდ „თეთრით“; ეს იმიტომ, რომ 8 მინალთუნი გასწორებულია სახელმწიფოს კანონიერი საფასით (სირმა თეთრით), და, ამრიგად, აღარ არის საჭირო იმის დაზუსტება, თუ რა საფასეზეა საუბარი:

„[...]“
 უ ჯ ამან ზაქარიამ მოიტანა ალთმიშლული რ [100], იქნება
 უ [8 თუმანი] და თეთრი ჯ [8 მინალთუნი]. იქნება.
 თიბათვის თ.
 [...]”¹³

ხოიდან თბილისში გამოგზავნილი ალთმიშლულების ღირებულების რალაცა კურსით დაანგარიშებაზე 1794 წელს მანუჩარ გორჯასპოვიც წერდა – „როგორც რომ თქვენ მამწერთ და რიგია, აქ ალთმიშლულს იმ ფასათ უანგარიშებთ.“¹⁴

რუბლები იქნებოდა თუ ალთმიშლულები (ან ყურუშები), მათი კურსი არ იყო სტაბილური და დროთა განმავლობაში იცვლებოდა; ამ იმპორტირებული ვერცხლის მონეტების კურსი თეთრით, ანუ სახელმწიფოში დაკანონებული ვერხლის საფასით დაანგარიშდებოდა. ამ უკანასკნელში კი რეფორმამდე პერიოდში სხვადასხვა ტიპის (აბაზ-თუმნის ნომინალურ სისტემაში მოქცეული) ირანული ყაიდის ვერცხლის მონეტები უნდა ვიგულისხმოთ, რეფორმის შემდგომ კი, – ექსკლუზიურად სირმა თეთრი. სწორედ სირმა თეთრს გააჩნდა ფულისთვის დამახასიათებელი ხუთივე ფუნქცია, სწორედ ის წარმოადგენდა კანონიერ საფასეს.

შეიძლება შემთხვევითი არც იყოს, რომ სირმა აბაზიანების პარალელურად, გავრცელდა მაინცდამაინც ისეთი დიდრონი, მძიმეწონიანი (მაღალი ღირებულების მქონე) ვერცხლის მონეტები, როგორც რუსული რუბლებია და ოსმალური ყურუშები თუ ალთმიშლულები. ჩვენი აზრით, მათ დააკმაყოფილეს ბაზრის მოთხოვნილება დიდი (აბაზზე მეტი) ღირებულების მქონე ვერცხლის მონეტაზე.¹⁵ ქართლ-კახეთის სამეფოს არსებობის პირველ

13 ბერძენიშვილი (მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა), *მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. ნიგნი II (ვალი, იჯარა, ვაჭრობა)*, 146, №198.

14 იქვე, 108-109, №163.

15 ლიად რჩება შეკითხვა, ქართლ-კახეთის მონარქებმა თავად რატომ არ გა-

ორ ათწლეულში ესეთი საფასის როლს ასრულებდნენ დიდ მოლოლთა თუ ნადირ შაჰის 11.5-გრამიანი რუფიები; მაგრამ, რეფორმის ფარგლებში ამ ნაირნაირი ძველი ვერცხლის მონეტის დელეგალიზაციის პარალელურად სამონეტო ბაზარზე შეუვსებელი რჩებოდა ამგვარი – აბაზიანზე (და თუნ-დაც აბაზნახევრიანზე, რომელიც ბოლოს ჰ. 1190 წელს მოიჭრა) მეტი, და ოქროს დუკატზე ნაკლები ღირებულების მქონე - საფასის ნიში.

ამასთანავე, მძიმეწონიანი ალთმიშლულებისა და რუბლების გვერდით ქართლ-კახეთის სამეფოს ბაზარზე შემოდიან უფრო მცირე ნომინალის რუსული მონეტებიც, მაგალითად ელისაბედის 1756 წლის 5-კაპიკიანი მთიანეთის I განძში,¹⁶ ან, ეკატერინეს 1784 წლის 15-კაპიკიანი ფშაველის განძის შემადგენლობაში;¹⁷ განსაკუთრებით ხშირად გვხვდება ეკატერინე II-ს გრივენიკები¹⁸ (ნორმატიული წონით 2.37 გ; სინჯით 75%¹⁹). 1784 წლიდან სანქტ-პეტერბურგის ზარაფხანაში მათი დიდი რაოდენობით ემიტირება,²⁰ უდავოდ, ხელშემწყობი გარემოებაა. მაგრამ, როგორ ახერხებენ ისინი ეპიქორულ სამონეტო ბაზარზე შემოჭრას? ეს პროცესი თბილისის გვერდის ავლით ხდება? მიზეზი სრულფასოვანი, და, იმავდროულად, დაბალი წონის / ღირებულების მონეტის დეფიციტი ხომ არ იყო?

რუსული საფასის შემოსვლას, ბუნებრივია, ხელს შეუწყობდა ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიასთან კავშირების, მათ შორის, ეკონომიკურის კავშირების გაცხოველება.

*

მთელი თავისი არსებობის განმავლობაში ქართლ-კახეთის სამეფოში მიმოიქცეოდა ნაირნაირი ოქროს საფასე: ევროპული (უპირველეს ყოვლისა, ვენეციური ცეხინები და უფრო კი ნიდერლანდული დუკატები), რუსეთის იმპერიის (იმპერიალები), ოსმალური და ეგვიპტის, ირანული. ყველა ეს ოქროს მონეტა საქონელ-ფულის სტატუსით სარგებლობდა და არ წარმოადგენდა ღირებულების საზომს.

საკუთარი ოქროს საფასის მასობრივ ემისიას ქართლ-კახეთის ხელისუფლება მოერიდა. მართალია, სახელმწიფოს არსებობის სულ ბოლო წლებში

მოუშვეს უფრო მსხვილი (მეტი ზომა-წონის) ვერცხლის მონეტები? ტალერული ტიპის? პასუხი იქნებ თბილისის ზარაფხანის ტექნოლოგიურ შეზღუდულობაში დევს. თუ, მიზეზი, მაინც, შესაბამისი ტრადიციის არქონა იყო? მეორე მხრივ, იბრაჰიმის სახელით თბილისის ზარაფხანამ ხომ მოჭრა სამაბაზიანი (sic) ნომინალი. Пахомов, *Монеты Грузии*, 233-234.

16 ფალავა, *სირმა თეთრი. ქართული ეროვნული ვერცხლის საფასე*, 232.

17 იქვე.

18 იქვე, 232-233; ფალავა, "ფულადი მიმოქცევა XVIII საუკუნის II ნახევრისა და XIX საუკუნის დასაწყისის ქართლ-კახეთში – დამატებითი ცნობები", 179.

19 Уздеников, *Монеты России. 1700-1917*, 413.

20 Василий Уздеников, *Объем чеканки российских монет на отечественных и зарубежных монетных дворах. 1700-1917* (Москва: Малая Медведица, 1995), 41.

მმართველ ელიტაში უკვე ჩაისახა იდეა, - ქართული სირმა ოქროს შაურები მასობრივად გამოეშვათ; იოანე ბატონიშვილი თავის *სჯულდებაში* სხვა ღონისძიებების გატარებასთან ერთად ამასაც გვთავაზობს (ოღონდ, ამ ახალი მონეტისთვის იძულებით ამალღებული კურსი უნდა მიენიჭებინათ²¹):

„ერთი მისხალი ბაჯალღუს ოქრო ანუ ისე ოქრო, მოიჭრას ექვს შაურ ნავრუზისა, და თითო შაური იყოს ფასით შავ ფულზედ ხუთ აბაზად. ამ ფულს ხარჯშიაც მიიღებდეთ და ჯამაგირშიაც უბოძებდეთ. ამისთვის, რადგან თქვენ მიიღებთ, ხალხიც თანხმა შეიქნება და ესე დაიწყებს უფრო მუშაობასა და ვერცხლი მაშინ უფრო გამრავლდება. ამ ოქროს შაურს არც უნდა მოემატოს და არც დააკლდეს. სატარებლადცა იქნება სუბუქი.“²²

ვინაიდან საკუთარი ოქროს მონეტის (შახროჰის სახელის მატარებელი მეოთხედ-მოჭურებისა და, მოგვიანებით, სირმა ოქროს შაურის) გამოშვება შეზღუდული იყო, და თანაც, ვერცხლის მსგავსად, ის არასაკრედიტო საფასეს წარმოადგენდა, სახელმწიფო არ ზღუდავდა შიდა ბაზარზე უცხოური ოქროს საფასის შემოსვლასა და მიმოქცევას.

გამოვთქვამთ ვარაუდს: სურვილის შემთხვევაში, თბილისის ზარაფხანაში ვერცხლის გარდა, ოქროს საფასის მოჭრაც თავისუფალი ხომ არ იყო? (თუმცა, ამის დამადასტურებელი დოკუმენტური მასალა არ გავაჩნია; გვაქვს მხოლოდ ცნობები მონარქის დაკვეთით / განკარგულებით თბილისის ზარაფხანაში ოქროს შაურების მეტად ლიმიტირებული ტირაჟით მოჭრის შესახებ).

ის კი არის აღსანიშნი, რომ ვერცხლის მონომეტალიზმზე აგებული ეკონომიკის მქონე სახელმწიფოში ოქროს მონეტის კურსი, ჩანს, შედარებით დაბალი იყო. ზემოთ, III თავში, უკვე აღვნიშნეთ, რომ რუსეთის იმპერიის იმპერიანები „ერთ თუმნად იხარჯება დაუყოვნებლად“²³; გიულდენშტედტის მიხედვით, იმპერიანს, საერთოდ, *თუმანსაც* კი უნოდებენ,²⁴ რაც მათი ღირებულების იდენტიურობაზე უნდა მეტყველებდეს; თეიმურაზ ბატონიშვილის მიხედვითაც „ათი მონეთა ანუ ათი მინალთუნი ერთი თუმანი არის,

21 ფალავა, „იოანე ბატონიშვილის „სჯულდება“ როგორც წყარო ფულადი პოლიტიკის დარგში ქართლ-კახეთის სამეფოს მმართველი ელიტის აზროვნების შესასწავლად“ / Paghava, „Prince Ioane’s *Sjuldaba (Code)* as a Window into the Mindset of Monetary Policymakers in the Kingdom of Kartli-Kakheti“, 30, 32.

22 იოანე ბატონიშვილი, *სჯულდება. ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი რეფორმების პროექტი* (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ივ. სურგულაძემ), 9-10.

პროექტი არ განხორციელებულა.

23 Цагарели (под редакцией), *Грамоты и другие исторические документы относящиеся к Грузии. Том II, Выпуск I. Грузинские тексты с 1768 по 1801 год*, 37.

24 იოჰან ანტონ გიულდენშტედტი, *გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტომი პირველი* (გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელამვილმა), 236-237.

ანუ ერთი იმპერიალი”.²⁵ მაგრამ ეს თანაფარდობა მიუთითებს ოქროს მონეტაზე აშკარად არსებულ დიზაჟიოზე: 1764-1796 წლების იმპერიალებში ოქროს შემადგენლობა 12.0 გრამია; თუმანი კი 50 აბაზის აღმნიშვნელი საანგარიშო ერთეულია; 50 სირმა აბაზში (ნორმატიული მასა 3.072 გ, 97.4% სინჯით) ვერცხლის შემადგენლობა არის

$$50 \times 3.072 \text{ გ} \times 0.974 = 149.6 \text{ გ}$$

12.0 გ ოქრო 149.6 გ ვერცხლს შეეფარდება როგორც 1:12.47, დამრგვალებით, 1:12.5, რაც, აშკარად, ბევრად ნაკლებია ქართლ-კახეთის სამეფოში ოქრო-ვერცხლის მიღებულ თანაფარდობაზე 1:14.67-15.0.²⁶ სახეზეა რუსულ იმპერიალზე მაინც²⁷ ძალიან არსებითი დიზაჟიოს (15.0-16.9%) არსებობის ფაქტი. მართალია, დოკუმენტური მასალა რამდენადმე განსხვავებულ ინფორმაციას იძლევა: 1798 წლით დათარიღებულ გიორგი XII-ის ხარჯის ნუსხაში „ხარჯებათ მობარებული“ 14 „ენპერალია“ განფასებულია 15 თუმნად და 4 მინალთუნად;²⁸ ანუ, ამ შემთხვევაში იმპერიალის“ ღირებულება აღემატება 1 და უდრის ზუსტად 1.1 თუმანს (ანუ, 164.6 გრამ ვერცხლს);²⁹ დიზაჟიო გამოდის მხოლოდ 6.5-8.6%, თუმცა, მაინც, ძალაშია.³⁰

ვერცხლის მონომეტალიზმზე აგებული ეკონომიკის მქონე რეგიონსა და სახელმწიფოში ოქროს საფასეზე de facto არსებული³¹ დიზაჟიოთი ხომ არ აიხსნება ის ფაქტი, რომ ქართლ-კახეთის ხელისუფლებას არ გამოუხატავს სურვილი, მოპოვებული ოქროსგან მონეტა უფრო მასობრივად მოეჭრათ?

*

სპილენძის საფასის საკრედიტო ბუნებიდან გამომდინარე, მისი გამოშვება ხელისუფლებას სრულიად განსაკუთრებული დილემის წინაშე აყენებდა.

25 თეიმურაზ ბაგრატიონი, *თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები აკად. მ. ბროსესადმი* (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო სოლომონ ყუბანეიშვილმა), 41.

26 ფალავა, ბიჭიკაშვილი, ჩაგუნავა, „ქართლ-კახეთის სამეფოს ოქროს საფასე (ქართული ოქროს შაურის ისტორია)“, 224-226.

27 ხომ არ შეიძლება ამ დასკვნის განვრცობა სხვა იმპორტირებულ ოქროს მონეტებზედაც? ამ საკითხს ცალკე კვლევა ესაჭიროება.

28 ბერძენიშვილი (მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა), *მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. წიგნი III (აღმშენებლობა, სახელმწიფო ეკონომიკა, ქონება)*, 112, №81.

29 მომავლის საქმედ გვრჩება სხვადასხვა საფასეს შორის თანაფარდობათა შესწავლა.

30 უცხოურ ოქროს საფასეზე დიზაჟიოს შემცირება ქართული სახელმწიფოს დასუსტებასა და სამონეტო ბაზრის გაკონტროლების შემცირებულ უნარს ხომ არ უკავშირდება?

იხ. ასევე ნიკოლოზ ქოიავას მოსაზრება. ქოიავა, „თბილისის სამონეტო ბაზარი XVIII საუკუნეში“, 187.

31 თუ, მაინც, დაწესებული?

ერთი მხრივ, დამტკიცებულია, რომ სპილენძის საფასის გამოშვება ხაზინისთვის (რომელიც თუნდაც იჯარით გაცემულ ზარაფხანას აკონტროლებდა) დიდი მოგების მომტანი იყო: თუ ვერცხლის საფასის გამოშვებიდან უშუალო მოგება ვეჯუბის ალებით შემოიფარგლებოდა (ძვირფასი ლითონის ღირებულების დაახლოებით 2-2.5%,³² საოპერაციო ხარჯების გამოკლებით?), გამოშვებული საკრედიტო შავი ფულის ნომინალური (მოსახლეობისთვის ხელისუფლების მიერ თავს მოხვეული) ღირებულება აღემატებოდა მისი წარმოების თვითღირებულებას 100-150%-ით.³³

მეორე მხრივ კი, ქართლ-კახეთის სამეფოს ფარგლებში მოგების მაქსიმალიზაციის მიზნით საკრედიტო სპილენძის საფასის უზომო (გადაამეტებული) რაოდენობით გამოშვება სამონეტო ბაზრის ზეგაჯერებას გამოიწვევდა: შავი ფულის მიუღებლობას მოსახლეობისთვის; მისდამი, როგორც ანგარიშსწორების კანონიერი (და მისაღები) საშუალებისთვის ნდობის დაკარგვას. შედეგად გაჩნდებოდა ორმაგი (განსხვავებული) კურსი ვერცხლისა და სპილენძის საფასზე – სპილენძის საფასის კურსი თავის ნომინალურ ღირებულებაზე ნაკლები გახდებოდა, მისი გამოშვებით მიღებული მოგება კი შემცირდებოდა (როგორც ეს რუსეთის იმპერიაში მოხდა). სწორედ ამგვარი, ორმაგი კურსის არსებობაზე ხომ არ მიუთითებს 1790 წლის ზემოთ მოხსენიებული ოფიციალური საბუთი, რომელშიც 40 ხარვარი ფქვილის სანაცვლოდ „ფქვილის პატრონებს“ მიეცათ „შავი ფული ლ [= 30 თუმანს]“; ამასთანავე, „ამაში მიუცია თეთრი 36 ცფ [26 თუმანი და 2.5 მინალთუნი], (?).³⁴ იოანე ბატონიშვილის *სჯულდებაშიც* (1799) გაკვრით მოიხსენიება, რომ „შავ ფულსაც არა ძევს პატივი, (?).³⁵ სპილენძის საკრედიტო საფასის გაუფასურების რისკი განსაკუთრებით მაღალი იქნებოდა ქართლ-კახეთის სამეფოსნაირ შედარებით პატარა და სუსტ სახელმწიფოში, სადაც ხელისუფლების სარეპრესიო აპარატი (მოსახლეობისთვის საკრედიტო საფასის თავს მოხვევის პოტენციალი) შედარებით შეზღუდული იქნებოდა.

იოანე ბატონიშვილის *სჯულდების* იმ ნაწილის შესწავლა, სადაც საუბარია სამეფოს ფულის რეფორმირებაზე, ცხადჰყოფს, რომ მმართველ წრეებს, ყოველ შემთხვევაში, ავტორს, შეგნებული ჰქონდა/თ, რომ მოსახლეობა

32 ფალავა, სირმა თეთრი. ქართული ეროვნული ვერცხლის საფასე, 179-180, 197, სქოლიო 594.

33 Paghava, „The Profitability of Minting Civic Copper Coins and the Identification of Emerging Nationalism as Seen Through Coin Imagery. A Case Study of the East-Georgian Kingdom Kartl-Kakheti”, 248-249.

34 ბერძენიშვილი (მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა), *მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. წიგნი III (აღმშენებლობა, სახელმწიფო ეკონომიკა, ქონება)*, 97, №67.

35 იოანე ბაგრატიონი, *სჯულდება. ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი რეფორმების პროექტი* (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ივ. სურგულაძემ), 9.

ნანილობრივ საკრედიტო საფასეს (ოქროსიც რომ იყოს) უპირობოდ არ მიიღებდა, და მის გასაღებას საგანგებო ძალისხმევა დასჭირდებოდა -

„ამ ფულს ხარჯშიაც მიიღებდეთ და ჯამაგირშიაც უბოძებდეთ. ამისთვის, რადგან თქვენ მიიღებთ, ხალხიც თანხმა შეიქნება და ესე დაინყებს უფრო მუშაობასა“.³⁶

ქართლ-კახეთის სამეფოს ხელისუფლება დილემის წინაშე იდგა: ფისკალური ინტერესი ითხოვდა სპილენძის საკრედიტო ემისიების ინტენსიფიცირებას; ამასთანავე, სამონეტო რეგალიის გადამეტებით ექსპლუატაციას შეეძლო სამონეტო ბაზრის ზეგაჯერება და, პირიქით, შავი ფულის გაუფასურება გამოენვია - ანუ, შეემცირებინა მისგან მიღებული შემოსავალი (ეკონომიკისთვის მავნე ინფლაციაზე რომ აღარაფერი ვთქვათ). ფულადი მიმოქცევის, ისევე როგორც ემიტირებული საფასის ანალიზი გვაძლევს საშუალებას დავადგინოთ, მოქმედების თუ რა გზას დაადგა ქართლ-კახეთის სამეფო - ამ ორი ურთიერთგამომრიცხველი იმპერატივის გათვალისწინებით. მონაცემების შესწავლით დგინდება სპილენძის საფასისადმი ხელისუფლების სამოქმედო გეგმის ცალკეული კომპონენტები:

შიდა ბაზარზე უცხოური საკრედიტო, სპილენძის საფასის დაუშვებლობა. სამონეტო ბაზარი ვერ დაიტევდა ამგვარი საკრედიტო მონეტის ულიმიტო რაოდენობას. ბაზრის (თუნდაც ნანილობრივი) გაჯერება უცხოური საკრედიტო ფულით შეზღუდავდა საკუთარი საკრედიტო ფულის გამოშვებას, რაც ხაზინის შემოსავალს შეამცირებდა (როგორც უკვე აღვნიშნეთ, იოანე ბატონიშვილის *სჯულდებაში* თითქოს მინიშნებაა, რომ სამეფოს არსებობის ბოლოსკენ შავი ფულის კურსი უკვე დაცემული იყო). ლოგიკური მსჯელობის გარდა, ამ დასკვნამდე მივყავართ ქართლ-კახეთის სამეფოში უცხოური სპილენძის მონეტების იშვიათობასაც. ამასთანავე, გვხვდება უცხოური (მეზობელი სახანოების) მონეტები თეიმურაზისა და ირაკლის დამლებით. დადამღვა მეტყველებს ქართლ-კახეთის სამეფოში ამ უცხოური შავი ფულების *ლეგალიზაციის* საჭიროებაზე. ერთგვარ გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს სამეფოს ტერიტორიაზე დაუდამღავი რუსული ხუთკაპიკიანების განძის აღმოჩენის ფაქტი (თარიღდება 1780-1790-იანი წლებით); ასევე გორის უფეზდის განძში შემავალი რუსეთის იმპერიის სპილენძის მონეტები. დასაყენებელია საკითხი - ქართლ-კახეთის სამეფოში რუსული შავი ფული შემოჰქონდათ როგორც საფასე, თუ როგორც ლითონის ზოდები? და თუ როგორც საფასე, რამდენად აქტიურად მიმოიქცეოდა შიდა ბაზარზე, და რა ღირებულება ჰქონდა?

თბილისის ზარაფხანაში სპილენძის საფასის მოჭრის ბლოკირება. ზუსტად იგივე მოსაზრებებით ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ თბილისის ზარაფხანაში სპილენძის საფასის მოჭრა (განსხვავებით ვერცხლის სა-

36 იქვე, 9-10.

ფასისგან), ბლოკირებული უნდა ყოფილიყო - შიდა ბაზრის საკრედიტო საფასით გაჯერებაში ხელისუფლებისთვის კონკურენცია ამჯერად უკვე უცხო სახელმწიფოებს კი არა, კერძო პირთ რომ არ გაენიათ (საკუთარ მოქალაქეებსა თუ უცხო სახელმწიფოების ქვეშევრდომებს);

სპილენძის საფასის პერიოდული (იძულებითი) განახლება (Renovatio monetae). ახალ-ახალი სპილენძის საფასის მოჭრით მეტი და მეტი მოგება რომ მიეღო, ხელისუფლებას პარალელურად უნდა დაეცალა სამონეტო ბაზარი უკვე იქ მბრუნავი შავი ფულისგან. ამ მიზნით ქართლ-კახეთის მონარქებმა მიმართეს რეგიონში ჯერ კიდევ სეფიანთა ირანში დამკვიდრებულ პრაქტიკას - მიმოქცევაში არსებული სპილენძის ფულის დროდადრო ბათილად გამოცხადება (მისი ოფიციალურად გაუფასურებით, თუ, სულაც, აკრძალვით), და ჩანაცვლება ახალმოჭრილი (დამატებითი მოგების მომტანი) მონეტებით.³⁷ ქართლ-კახეთის სამეფოში სპილენძის ფულის პერიოდულ განახლებას ადასტურებს (ა) ახალ-ახალი სამონეტო ტიპების ემისია (რატომ არ შეიძლებოდა ერთი და იმავე სამონეტო ტიპის უფრო ხანგრძლივი დროის განმავლობაში გამოშვება როგორც ეს, მაგალითად, რუსეთის იმპერიაში ხდებოდა?); (ბ) შავი ფულებისგან შემდგარი განძების უკიდურესი იშვიათობა (მოსახლეობა ერიდებოდა იმ ფულის გადანახვა-გადამალვას, რომელიც ხელისუფლებას შეეძლო ნებისმიერ დროს გაებათილებინა და პერიოდულად აბათილებდა კიდევაც, - უეჭველია, მოსახლეობისთვის წინასწარ ამის შეტყობინების გარეშე); (გ) განძების ერთგვაროვნება - სხვადასხვა ტიპის მონეტების შეურეგლობა; სამონეტო კომპლექსები შედგება ერთი, ან, მსგავსი ტიპის მონეტებისგან: მხოლოდ თეიმურაზ II-ის „ლომებისგან“, ან ირაკლი II-ის „ერთთავიანი არწივებისგან“; მართალია, გორის უაეზდის განძში გვხვდება პარალელურად როგორც „ორთავიანი“, ასევე „ერთთავიანი არწივები“, თუმცა, საყურადღებოა, რომ ამ კომპლექსშიც ერთთავიანი არწივის გამოსახულებიანი მონეტები ჭარბობს, ორთავიანი არწივის გამოსახულებიანი კი ბევრად ნაკლებია; - განძის პატრონმა ვერ მოასწრო (აპირებდა?) უკვე გაუქმებული მონეტების ზარაფხანაში ჩაბარება?

სპილენძის საფასის დადამლვა. ქართლ-კახეთის სამეფოს სხვადასხვა ტიპის სპილენძის მონეტები არცთუ იშვიათად დადამლულია - თეიმურაზის (ერთი), ან ირაკლის (ორიდან ერთ-ერთი) დამლით. ზოგჯერ ერთსა და იმავე მონეტაზე გვხვდება ორივე მონარქის დამლა; ამასთანავე, ირაკლის დამლა, როგორც უფრო გვიანდელი, ბუნებრივია, სრესს თეიმურაზისას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, იშვიათად, მაგრამ გვხვდება უცხოური (სახანოების, ქალაქურ-ისლამური ტიპის) მონეტებიც, ასევე ქართული დამლებით.

37 უნდა ითქვას, რომ ამ ქმედებებით მოსახლეობას ნდობას შავი ფულისადმი ქართლ-კახეთის სამეფოს ხელისუფლება, ჩანს, თავადვე უკარგავდა - იმნამიერი მოგების მიღების გულისა, გრძელვადიან პერიოდში შესაძლოა, კარგავდა შესაძლებლობას, შინაგანად სტაბილური შავი ფული მეტი რაოდენობით გამოეშვა და ამით მეტი მოგებაც კი ეხანა.

საკუთარი თუ უცხოური საფასის დადამლვა აიხსნება მისი ვალიდაციის საჭიროებით (უდავოდ, გარკვეული საკომისიო გადასახადის სანაცვლოდ); ვალიდაციის საჭიროება კი მეტყველებს საკუთარი სპილენძის საფასის ლეგიტიმაციის შეწყვეტაზე, ხოლო უცხოურის, – არალეგიტიმურობაზე. ამ შემთხვევაში, შავი ფულის განახლების პროცესის ფარგლებში ხელისუფლება ტოვებს მიმოქცევაში წინანდელ ფულს, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ მისი დადამლვის პირობით. დადამლვა, ფაქტიურად, სხვა არაფერია, თუ არა *renovatio monetae*; ოღონდ, ტექნიკურად უფრო მარტივი და ნაკლებ ხარჯიანი მეთოდით – გაბათილებულ ძველ სპილენძის მონეტებს კი არ გადაადნობენ და მიღებულ ლითონს ხელახლა მოჭრიან მონეტად, არამედ უბრალოდ პუნსონზე უროს ერთი დარტყმით დამლავენ.

*

ღირსშესანიშნავ მოვლენად გვეჩვენება ქართლ-კახეთის სამეფოში ფულის ისეთი ქალაქის დერივატების მიმოქცევა, როგორცაა *თამასუქი* (ბარათი), თუ *მიბარების ბარათი*. მოსახლეობისთვის ამგვარი „საფასის“, ანუ, ფაქტიურად, უნაღდო ანგარიშსწორების მისაღებობა ადასტურებს ამ ქართულ სახელმწიფოში ეკონომიკურ ურთიერთობათა დონეს და, წინანდელ ეპოქასთან შედარებით, აღმავლობასაც კი.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ თამასუქ-ბარათთა გამოყენება არსებითად ზრდიდა მიმოქცევაში მყოფი ფულადი მასის მოცულობას, რაც სამეფოს ეკონომიკური მდგომარეობის გასააზრებლად არცთუ უმნიშვნელო ფაქტად გვეჩვენება.

*

სხვადასხვა ტიპის საფასის განსხვავებული ბუნებისა და ღირებულების გათვალისწინებით, ლოგიკური ჩანს, რომ ქართლ-კახეთის სამეფოში მათი მიმოქცევის სფეროც განსხვავდებოდა. მონაცემები ქართლ-კახეთის სამონეტო ბაზარსა და მასზე სახელმწიფოს მხრიდან დაწესებულ კონტროლზე ცხრილის სახით გვაქვს შეჯამებული (ცხრილი VI.1).

ბაზრის მსხვილ აქტორებს, – მეფე, კათალიკოსი, შეძლებული კომერსანტები თუ სხვა წარჩინებული პირები, – შორის მსხვილ ტრანსაქციებს, როგორც ჩანს, უფრო ოქროს მონეტები, პირველ რიგში, ჰოლანდიური დუკატები ემსახურებოდა; ასევე დიდნონიანი ოსმალური (ასევე, საფიქრებელია, რუსული) მონეტებიც.

გარკვეულ როლს ფულის ქალაქის დერივატებიც თამაშობდა – თამასუქები და ბარათები.

სირმა თეთრი კი ყველასთვის ხელმისაწვდომი იყო; წვრილ თუ საშუალო მასშტაბის ტრანსაქციებს უზრუნველყოფდა – ხელის ქირის გადახდა, მეტ-ნაკლებად მსხვილი ყოფითი დანახარჯები (თუნდაც, საკვებ პრო-

ცხრილი VI.1. ქართულ-კახეთის სამეფოს ფუულადი ბაზარი

საფასის ტიპი	ქართულ-კახეთის სამეფოს ემისიები		შიდა ბაზარზე დომინირებს		ხელისუფლების ფუულადი პოლიტიკა	
	ირაკლი II-ის რეფორმამდე	რეფორმის შემდგომ	ირაკლი II-ის რეფორმამდე	რეფორმის შემდგომ	ირაკლი II-ის რეფორმამდე	რეფორმის შემდგომ
ქალაქი	—	—	მიუღებელია		ემისიას არ განიხილავს	
ფულის ქალაქის დერივაციები	კერძო პირთა მიერ გაცემული თამასუქები / მიზარების ბარათები (?)	კერძო პირთა მიერ გაცემული თამასუქები / მიზარების ბარათები	ნეგოციანტთა წრეში მისაღებად კერძო ქართულენოვანი თამასუქები / მიზარების ბარათები		დერივაციების გამოშვება კერძო ინიციატივით ხდება	
ოქრო	ავშარული ტიპის ოქროს საფასე მინიმალური რაოდენობით	სირმა ოქროს შაური მინიმალური რაოდენობით	სხვადასხვა ტიპის ოქროს საფასე, უპირატესად ევროპული (კენეკიური ცეხინები, უფრო კი ნიდერლანდების დუკატები)		შიდა ბაზარი ღიაა	
ვერცხლი	ავშარული, შემდეგ ზენდური ტიპის ვერცხლი	სირმა ვერცხლი	სხვადასხვაანირი ორიენტალური ვერცხლის მონეტები	სირმა ვერცხლი (დიდნონიანი რუბლებისა და ყურუშ-ალთიმისმლულების მინარევით)	ბაზარი ღიაა დახურულია	
სპილენძი	თბილური შავი ფული	თბილური შავი ფული (მეტად ნაკიონალურ სამოსელში)	თბილური შავი ფული (რუსული ხუთკაპიკიანების მინარევით?)		ბაზარი დახურულია	

დუქტებზე), თუმცა, ამასთანავე, სესხის აღება-გაცემა (სირმა ვერცხლი, კერძოდ კი, სირმა აბაზიანები წარმოადგენდა ტეზავრაციისთვის ვარგის ძირითად საფასეს. ამ გარემოებას განაპირობებდა ვერცხლის მონომეტალიზმზე დაფუძნებული ეკონომიკის მქონე სახელმწიფოში სირმა თეთრის, როგორც ანგარიშსწორების კანონიერი საშუალების სტატუსი.

სპილენძის საფასის ეკონომიკურ მნიშვნელობას რაც შეეხება; ეჭვს არ იწვევს, რომ თეიმურაზ II-ის, ირაკლი II-სა და გიორგი XII-ის შავი ფული გამოიყენებოდა წვრილ აღებ-მიცემობაში, ხურდა ფულის სახით; ამასთანავე, ამ საკრედიტო საფასის ფულადი ფუნქციები აშკარად შეზღუდული იყო, რაც შედარებით აკნინებდა კიდევაც მის როლს სახელმწიფო ეკონომიკაში და დაიყვანდა უმეტესწილად წვრილი აღებ-მიცემობის მომსახურებამდე.

დასასრულს აღვნიშნავთ, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს საფასის მიმოქცევის საკმაოდ განვითარებული და მრავალკომპონენტური სისტემა ახასიათებდა.

ჩამოყალიბება-განვითარებაზე ზემოქმედებდა მრავალი ობიექტური ფაქტორი, როგორცაა სამეფოს ტერიტორიაზე სამივე სამონეტო ლითონის მოპოვების დაწყება, რეგიონში მსოფლიო ფულის (დუკატური ოქროს მონეტის) დომინირება, მეზობელი სახელმწიფოების დიდრონი ვერცხლის მონეტების შემოსვლა, ორიენტალური (ირანული) სამონეტო ტრადიციის ცხოველმყოფელობა.

ამასთანავე, ჩამოყალიბებული მდგომარეობა, ზოგჯერ მაინც, - ხელისუფლების მიზანმიმართული ქმედებების, მის მიერ გატარებული ფულადი პოლიტიკის შედეგსაც წარმოადგენდა. ამ მხრივ განსაკუთრებით თვალში საცემია შავი ფულის რეგულირებისადმი ხელისუფლების მრავალმხრივი მიდგომა, ასევე, - ირაკლი II-ის სამონეტო რეფორმის შემდგომ პერიოდში შიდა ბაზრის დახურვა უცხო ვერცხლის საფასისთვის - და, შესაბამისად, საკუთარი სირმა ვერცხლის მასობრივად გამოშვება; იმავდროულად კი, მასობრივად სირმა ოქროს გამოშვებაზე უარის თქმა.

დამყარებულმა ფულადმა სისტემამ, სამეფოს ეკონომიკური რესურსების შეზღუდულობისა და ძალადობის აპარატის სისუსტის გამოისობით, ვერ დაკარგა უშუალო კავშირი მატერიალურ სუბსტრატთან, სამონეტო ლითონთან, და, კვლავინდებურად, სახელმწიფოს მიერ დამონმებული ზოდების, - მონეტების ერთობლიობას წარმოადგენდა. თუმცა, ფულის ქალაქის დერივატების დახმარებით ხერხდებოდა უნაღდო ანგარიშსწორებაც; ამასთანავე, სახელმწიფოს ეკონომიკაში იზრდებოდა ფულის მასაც.

შეიძლება ითქვას, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს სამონეტო სისტემა მონოდებებს ადეკვატურად პასუხობდა და ქართლ-კახეთის სამეფოს ეკონომიკის მოთხოვნილებებს ადეკვატურად აკმაყოფილებდა.

MONEY CIRCULATION IN THE KINGDOM OF KARTL-KAKHETI

(MATERIALS FOR THE STUDY OF STATE MONETARY POLICY)

Preface

The Kingdom of Kartl-Kakheti (hereafter abbreviated as KKK), 1744-1801, was the most prominent Georgian State of the early modern era. It occupies a very distinctive place in the history of Georgia and of the Georgian nation. Within its boundaries, the eastern provinces of Georgia were united, for the least – thereby creating a foundation upon which a broader Georgian reunification might have been built. As we know, however, events took a different course. The rise and fall of the KKK constitutes one of the most significant wathersheds in Georgian history. The study of all aspects of its past acquires particular historiographical importance.

Any account of the history of the Kingdom of Kartl-Kakheti would remain incomplete if its *economic dimension* were neglected. Numismatic data represent the most abundant, objective, and *quantifiable* primary sources for investigating the economy of this Georgian state. For this reason, the present work focuses on *money* – the primary *instrument* of economic life – and its circulation both within the KKK and in neighbouring political entities. In researching monetary circulation, it is imperative to collect and analyse, insofar as possible, evidence pertaining to local monetary circulation, including both hoards and single-coin finds, as an indispensable preliminary stage for next-stage meta-analysis.

Yet the monetary circulation of the KKK – whether consisting of local emissions or the importation of foreign currencies - was not determined solely by accidental or spontaneous factors. The will and policies of the ruling monarchs likewise played a decisive role. Subjective internal and external influences interacted with considerations of state and dynastic interest. The interplay of these forces shaped what may properly be termed the monetary policy of the KKK.

Despite the efforts of several generations of scholars,¹ no up-to-date and com-

1 Cf. Евгений Пахомов, *Монетные клады Азербайджана и Закавказья. Труды общества обследования и изучения Азербайджана, выпуск 3* (Баку: Издание Общества обследования и изучения Азербайджана, 1926); Евгений Пахомов, *Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа. Выпуск IV* (Баку: Издательство АН Азербайджанской ССР, 1949); Евгений Пахомов, *Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа, Выпуск IX* (Баку: Издательство Академии наук Азербайджанской ССР, 1966); რევაზ ქებულაძე, “სირმა-ვერცხლის მიმოქცევის ხანგრძლივობა საქართველოში”, *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე*, ტ. 53 (1969), 757-760; რევაზ ქებულაძე, “ფხოველის განძი”, *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე*, XXXI-B (1975), 104-122; Реваз Кебуладзе, “Из истории русско-грузинских взаимоотношений по нумизматическим данным”, *საქართველოს სსრ მეცნიერებათა*

prehensive study devoted exclusively to the monetary circulation in the KKK and incorporating recent discoveries has hitherto appeared. The present monograph seeks to fill this gap.

The study of the monetary policy of the KKK must rest upon several interrelated components:

- (a) coinage/money issued by the authorities;
- (b) coinage/money circulating within the state (which may or may not coincide with the former);
- (c) documentary primary sources; and
- (d) narrative primary sources.

This work aims to provide a comprehensive analysis of monetary circulation in the KKK – one of the most significant elements of its economic history – through the systematic study of diverse primary sources, thereby laying the foundation for researching and reconstructing the monetary policy of this Georgian state.

*

The present research builds upon and incorporates our articles published since 2008,² as well as our monograph *Sirma Tetri, Georgian National Silver Money* (of

აკადემიის მაცნე, 4 (1969): 91-104; ნიკოლოზ ქოიავა, “თბილისის სამონეტო ბაზარი XVIII საუკუნეში”, *თბილისი 1500. საიუბილეო კრებული* (თბილისი: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1958), 179-189; ნიკოლოზ ქოიავა, “საქართველოს ფულის მიმოქცევა XVIII საუკუნეში”, *ი. სტალინის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები*, XXVIII (1946), 1-22; ნიკოლოზ ქოიავა, *ფულის მიმოქცევა, კრედიტი და ფინანსები XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში* (თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1963).

2 Cf. ირაკლი ფალავა, “ავშარიანთა დინასტიის საფასე კავკასიის ფულად მიმოქცევაში”, *ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები*, 2(8) (2010), 391-407; ირაკლი ფალავა, “ირაკლი II-ის 1765/6-1768/9 (ჰიჯრის 1179-1182) წლების სამონეტო რეფორმა”, *ენრიკო გაბიძაშვილი 90*. (რედაქტორი ნინო მელიქიშვილი) (თბილისი, 2021), 343-370; ირაკლი ფალავა, “ფულადი მიმოქცევა ქართლ-კახეთის სამეფოში (1744-1801 წწ.)”, *History, Archaeology, Ethnology. ისტორია, არქეოლოგია*, XI (2024), 739-759; ირაკლი ფალავა, “ფულადი მიმოქცევა XVIII საუკუნის II ნახევრისა და XIX საუკუნის დასაწყისის ქართლ-კახეთში – დამატებითი ცნობები”, *ახლო აღმოსავლეთი და საქართველო*, XVI (2025), 174-192; ირაკლი ფალავა, “ჰერალდიკური იკონოგრაფია XVII-XIX სს-ის თბილისის სპილენძის მონეტებზე”, *ჰეროლდი*, 6 (2017), 90-97; ირაკლი ფალავა, იოსებ ბიჭიკაშვილი, რაულ ჩაგუნავა, “ქართლ-კახეთის სამეფოს ოქროს საფასე (ქართული ოქროს შაურის ისტორია)”, *საისტორიო კრებული*, ტომი 4 (2014), 200-272; Irakli Paghava, “Prince Teimuraz and His Essays on Georgian Sphragistics and Numismatic History (at the Dawn of National Georgian Numismatic Scholarship)”, *4th Simone Assemani Symposium. Trieste, 26-27 September, 2014* (Edited by Bruno Callegger and Arianna D’Ottone Rambach) (Trieste: EUT, 2015), 199-214; Irakli Paghava, “The Yellow Metal Coins

the Kingdom of Kartl-Kakheti), printed in 2023.³ The process of summarizing and meta-analysing the data and issued addresses in earlier publications would have been impossible without revisiting and reproducing certain lines of reasoning previously advanced. Consequently, some sections of this monograph represent revised and substantially reworked versions of earlier published material.

The structure of the present book is as follows. After the *Preface*, the text is divided into six chapters.

The 1st chapter is devoted to the available *primary sources*, and to the author's methodological approaches.

The 2nd chapter examines the *paper derivatives of money* that circulated within the Kingdom, namely promissory notes and bills of exchange;

